ვაჟიტრა მეჩიკა

ლაზი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 იანვარი **შაბათი** 2011
№016 (13313) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ფინანსური ანგარიში

● ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი

ალმასკომი ამგკიცებს, რომ ყველაფერს ამგკიცებს

დღეს, 22 იანვარს, ფეხბურთის ფედერაციის მე-19 ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ კანდიდატი მხოლოდ ერთია - მოქმედი პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**. ფედერაციის გუშინ ჩატარებული ალმასკომის სხდომა სწორედ ყრილობისა და არჩევნების, ასევე სხვა საკითხებს მოიცავდა. ალმასკომმა სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად ზვიად სიჭინავა დაამტკიცა. დამტკიცდა ისიც, რომ ხმის მიცემის პროცედურა ფარული იქნება.

დამტკიცდა აგრეთვე ეროვნული ჩემპიონატის, უმაღლესი და პირველი ლიგების, დუბლებისა და ჭაბუკთა ლიგის დებულებები და მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპის კალენდარი. საფეხბურთო კლუბ გორის „გორს", რომელიც პირველ ლიგაში ასპარეზობს, კლუბის მესვეურთა თხოვნით ძველი სახელი, „დილა" დაუბრუნდა და ეს გუნდი სეზონს სწორედ ამ სახელით განაგრძობს.

ცვლილებები შევიდა ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში.

უმაღლეს და პირველ ლიგებში შიდა ტრანსფერისას კლუბი 100 ლარს იხდიდა, ამიერიდან ეს წესი აღარ იმოქმედებს.

ჭაბუკთა ლიგის რეგლამენტით, გუნდს განაცხადში 30 ფეხბურთელზე მეტის შეყვანის უფლება არ ჰქონდა. ეს ლიმიტი უკვე გაუქმდა.

ჩემპიონატის რეგლამენტით გუნდის განაცხადში 30-ს ზემოთ თითო ფეხბურთელის შეყვანაზე კლუბს 100 ლარის გადახდა უწევდა. ამიერიდან განაცხადში 30-ს ზემოთ შეყვანილ თითო მოთამაშეზე უმაღლესი ლიგის კლუბი 500 ლარს გადაიხდის, პირველი ლიგისა - 300-ს, ხოლო დუბლების ჩემპიონატში გადასახდელი 100 ლარი იქნება.

„ალმასკომის სხდომაზე გავითვალისწინეთ უმაღლესი და ქვედა ლიგების კლუბების პოზიცია და ჭაბუკთა ლიგის გუნდებს განაცხადში ფეხბურთელების შეყვანის ლიმიტი მოვუხსენით. თუმცა უმაღლეს და პირველ ლიგებში, ასევე დუბლების ჩემპიონატში კლუბებს 30 ლიმიტირებულ ფეხბურთელს ზემოთ სხვადასხვა ოდენობის თანხის გადახდა მოუწევთ. სანაცვლოდ, უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებს შიდა ტრანსფერებზე გადასახადი აღარ ექნებათ.

გარდა ამისა, ალმასკომმა ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად ზვიად სიჭინავა დაამტკიცა. ხვალ არჩევნებია და ყველა დელეგატს დაურიგდება ის გეგმა, რომლის განხორციელებაზე მუშაობასაც ზვიად სიჭინავა მომდევნო საპრეზიდენტო ვადაში აპირებს", - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ**.

ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტებმა უკვე წარადგინეს 33 ხმოსანი დელეგატის კანდიდატურა:

1. გიორგი არევაძე (ს. კ. ბოლნისის „სიონი")
2. გიორგი აღდგომელაძე (სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია)
3. თეიმურაზ ბარქაია (ს. კ. ფოთის „კოლხეთი")
4. რუსლან ბაქრაძე (ინვალიდ-ამპუტანტ ფებურთელთა ლიგა)
5. შოთა ბაქრაძე (ეზოს ფეხბურთის ასოციაცია)
6. აკაკი ბირბიჩაძე (საფეხბურთო სკოლების ასოციაცია)
7. ჯემალ გოგია (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია)
8. გიორგი დარჯანია (ფუტსალის ასოციაცია)
9. მერაბ დგებუაძე (აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია)
10. ავთანდილ თადუმაძე (ს. კ. „სამტრედია")
11. ვახტანგ თამაზაშვილი (თბილისის ფეხბურთის ფედერაცია)
12. თამაზ თევდორაძე (პროფესიული ფეხბურთის ლიგა)
13. გიორგი კიკაჩეიშვილი (იმერეთის რფფ)
14. ილია კოკაია (ს. კ „ზესტაფონი")
15. თამაზ კოსალაშვილი (ს. კ. რუსთავის „ოლიმპი")
16. სერგო კოტრიკაძე (ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი)
17. გელა მაისურაძე (სამცხე-ჯავახეთის რფფ)
18. ირაკლი ნაკაიძე (პლაჟის ფეხბურთის ასოციაცია)
19. რევაზ პერტაია (ს. კ. ზუგდიდის „მგლები")
20. ვაჟა ჟვანია (ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი)
21. ალექსანდრე რევაზიშვილი (შიდა ქართლის რფფ)
22. დავით სამუშია (ს. კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია")
23. დიმიტრი სანაკოევი (ს. კ. ცხინვალის „სპარტაკი")
24. ნინო სორდია (ქალთა ფეხბურთის ფედერაცია)
25. თენგიზ ტურძელაძე (მცხეთა-მთიანეთის რფფ)
26. რომან ფიფია (ს. კ. „დინამო თბილისი")
27. ლევან ფხაკაძე (ს. კ. ქუთაისის „ტორპედო")
28. ლევან ქორიძე (აჭარის ფეხბურთის ფედერაცია)
29. ავთანდილ შალამბერიძე (მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი)
30. ერმილე ჩიტალაძე (რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რფფ)
31. კარლო ჩხაიძე (ქვემო ქართლის რფფ)
32. ხარიტონ ჩხატარაშვილი (გურიის რფფ)
33. გიორგი ციხცაძე (კახეთის რფფ)

უკვე მოგახსენეთ, რომ ხმის მიცემის პროცედურა ფარული იქნება. არჩევნების პირველივე ტურში გამარჯვებისთვის 50% პლუს 1 ხმა, ანუ 17 ხმაა საჭირო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზვიად სიჭინავას კანდიდატურა 20-მა სუბიექტმა წარადგინა, უკვე შეგვიძლია, ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტს ახალი, 4-ნლიანი ვადით არჩევა მივულოცოთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-19 ყრილობა და არჩევნები სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" ჩატარდება.

დავით ცაბაძე

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ძალამიძე, ლოძი, ვიძევი

ნიკას ტესტი გადაედო

ამ ცოტახის წინ ვწერდით 18 ნლის შემტევ ნახევარმცველ **ნიკა ძალამიძის** პოლონეთში შესაძლო გადასვლაზე. ეს ინფორმაცია თავად ნიკამაც დაგვიდასტურა, მაგრამ კლუბის დასახელებისგან თავი შეიკავა. გუშინ კი გაცხადდა, რომ ეს პოლონური კლუბი ლოძის „ვიძევია", ლეგენდარული **ზბიგნევ ბონეკის** ყოფილი გუნდი. ამჟამად „ვიძევს" ბელარუსში დაბადებული 40 ნლის **ჩესლავ მიჩნიევიჩი** ნვრთნის. გასულ ჩემპიონატში სწორედ მან მოაგებინა ლოძელებს პირველი ლიგა და მთავარ დივიზიონში, ექსტრაკლასში გადაიყვანა.

ლოძელთა გუნდში ძალამიძის ტესტირების შესახებ პოლონურმა საიტებმა გუშინვე გაავრცელეს ინფორმაციები. თუმცა ყველაზე ვრცლად ამ ამბავზე „ვიძევის" ოფიციალურ ვებგვერდი იუწყება:

„სხვადასხვა ეროვნების ფეხბურთელთან ერთად „ვიძევში' ქართველიც გამოჩნდა - 18 ნლის ნიკა ძალამიძე, რომელიც გასულ წელს ზუგდიდის „ბაიდან" მოსკოვის ცსკა-ში იყო განათხოვრებული. ძალამიძეს საქართველოს 17 და 19-ნლამდელთა ნაკრებებში უთამაშია, ბოლოს კი 21-ნლამდელთა გუნდშიც მიიწვიეს. მას საქართველოში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. როგორც თავად ფეხბურთელმა თქვა, პოლონეთში ჩამოსვლამდე ყველაზე ცნობილ ქართულ გუნდში, თბილისის

„დინამოში" ვარჯიშობდა. ის ამბიციურია, ცსკა-ში მხოლოდ დუბლებში უწევდა თამაში და სხვა გუნდში გადასვლა არჩია. ქართველს, რომელიც ხუთშაბათ საღამოს გამოჩნდა ლოძში, შემტევ ნახევარმცველად და თავდამსხმელად შეუძლია თამაში. „ვიძევის" მთავარმა მწვრთნელმა ჩესლავ მიჩნიევიჩმა- ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ძალამიძე ტესტირებაზეა და საკონტროლო მატჩებში გამოცდიან".

წლეულს პირველ ამხანაგურ მატჩში ლოძელთა გუნდმა გუშინ პირველლიგელი გდინიას „ბალტიკა" სტუმრად 4:0 დაამარცხა. კლუბის საიტის დილის ინფორმაციით, ამ შეხვედრაში ძალამიძესაც უნდა ეთამაშა, მაგრამ ნიკა მოედანზე არ გამოჩენილა. ვითარებაში გასარკვევად მამამისს დავუკავშირდით და შევიტყვეთ, რომ გუნდის თავკაცმა მიჩნიევიჩმა გეგმა შეცვალა, რადგან ნიკა ახალი ჩასულია პოლონეთში, საკონტროლო მატჩში სათამაშოდ გდინიაში არ წაიყვანა და დასვენების საშუალება მისცა. მწვრთნელს უთქვამს, რომ ორშაბათს მომდევნო საკონტროლო შეხვედრაში გათამაშებო.

დავით ცაბაძე

● ეროვნული ჩემპიონატი. სუპერლიგა

სიონი: მოულოდნელი გამოკლება შეკრებამდე

ალარც ბოგოხიძე და ჭელიძეები

გუშინ ბოლნისის „სიონი" მოსამზადებელი შეკრებისთვის ურეკში ჩავიდა. უკვე გაცნობეთ, რომ გუნდს გამოაკლდა მწვრთნელი **გიორგი ყიფიანი**. ბოლნისელთა გუნდს **გიორგი ყიფშიძე** უხელმძღვანელებს. „სიონი" შეკრებაზე ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

მეკარეები: **მინდია ბობღიაშვილი, მირზა მერლანი;**

მცველები: **გივი დიდავა, მიხეილ კობაური, სერგი ორბელაძე, კახა ჩხეტიანი, ლევან ჩხეტიანი, გიორგი თარგამაძე, საბა ადამაშვილი, შალვა კვანტალიანი, ოთარ ნაყოფია, ლექსო ინწკირველი;**

ნახევარმცველები: **ლაშა ნოზაძე, ლაშა ვაშაკიძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ვაჟა ქორიძე, ლაშა ალფაიძე, მანუჩარ ოქროპირიძე, გიორგი ოქროპირიძე, გიორგი მელქაძე, ლევან სანიკიძე, ირაკლი ჩირიკაშვილი;**

თავდამსხმელები: **გიორგი რეხვიაშვილი, ვილი ისიანი, რევაზ ჯიქია.**

კლუბის პრესატაშე **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, გუნდს ზღვისპირეთში ტრავმის გამო ვერ გაჰყვა ნახევარმცველი **გიორგი ჩივაძე**. შუახაზელ **ვაჟა ნემსაძეს** კი „სიონში" საიჯარო ხელშეკრულების ვადა დაუმთავრდა. ურეკში გამგზავრების წინ ბოლნისელებს სამი ფეხბურთელი გამოაკლდათ - თავდამსხმელები **მიხეილ ბობოხიძე** და **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე**, მცველი **ლაშა ნოდარის ძე ჭელიძე**. გუნდს ზღვისპირეთში ტესტირებისთვის არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი შეუერთდება. „სიონი" ურეკში 2 თებერვლამდე დარჩება და რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

დავით ცაბაძე

იანვარი: თურქეთისთვე

ვიტ ჯორჯიაც გაემგზავრა

ქვედალიგელ სტუ-სა და „ლოკომოტივის" ერთნაირი ანგარიშით, 2:0 ძლევის შემდეგ გუშინ „ვიტ ჯორჯია" „ზოოვეტს" გაეჯიბრა და 1:1-ს დასჯერდა. კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა ვიტელთა კარნახით წარიმართა, მაგრამ **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა მხოლოდ ერთი გატანილი ბურთი იკმარა. მე-18 წუთზე **ირაკლი ჭანკვეტაძის** ჩაწოდებულ ბურთს **გიორგი ვასაძემ** კარის ბადეში მიუჩინა ადგილი და ანგარიშიც ასე გაიხსნა. ვიტელები შესვენების შემდეგაც დომინირებდნენ, მაგრამ ვეღარ გაიტანეს, **მიხეილ მახათაძემ** კი კონტრშეტევისას წონასწორობა აღადგინა.

კოჭლაშვილმა ასეთი შემადგენლობები ათამაშა:

პირველი ტაიმი: **მიქაბერიძე - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ჭანკვეტაძე - მაისაშვილი, ვასაძე - ბეჭვაია, ჯანელიძე, ღანიაშვილი - ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმი: **ძაძამია - ბეჭვაია, გოგიაშვილი, კასრაძე, ჭანკვეტაძე - ვასაძე, მაისაშვილი (68. დვალაშვილი) - კორიფაძე (73. ჯუღელი), გიორგი გურეშიძე, ზაქრაძე - როსტიაშვილი.**

დღეს, 22 იანვარს „ვიტ ჯორჯია" მოსამზადებელი შეკრებისთვის თურქეთს გაემგზავრება. მერაბ კოჭლაშვილი 23 ფეხბურთელს წაიყვანს:

მეკარეები: **არდალიონ მიქაბერიძე, ჯინო რეჭია, გიორგი ძაძამია;**

მცველები: **ლაშა კასრაძე, ირაკლი ჭანკვეტაძე, დავით ხურცილავა, რევაზ ღანიაშვილი, გიგა ბეჭვაია, ჯემალ გოგიაშვილი, გურა ადამაძე;**

ნახევარმცველები: **გიორგი ვასაძე, გურამ გურეშიძე, გიორგი კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, მირიან დვალაშვილი, დავით მაისაშვილი, გიორგი ჯანელიძე;**

თავდამსხმელები: **მიხეილ როსტიაშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე, გიგა ჯუღელი, ლაშა გაბრიჭიძე, ბექა ზაქრაძე, ილია ქავთარაძე.**

გუნდი ქალაქ სიდუმი 5 თებერვლამდე დარჩება და 4 ამხანაგურ მატჩს გამართავს.

დავით ცაბაძე

მილოცვა



დავით კუპრეიშვილი - 60

იხარე და იდღეგრძელე!

ჩვენო დავით, "წლები ჩემი სიმდიდრეაო", თამამად შეგიძლია თქვა, რამეთუ დრო შენთვის იყო სიკეთის ქმნის საშუალება და მუდამ იყავი სულით მდიდარი, მოკრძალებული და მოსიყვარულე, ამიტომაც ყოველთვის ყველაზე მთავარს - სახელს იხვეჭდი, როგორც ნაღდი ფოთელი, მისთვის თავდადებული, მისი უპირველესი მასპინძელი. როგორც კარგი ხელმძღვანელი, არაერთ წარმოებას ედექი სათავეში. 6 წლის განმავლობაში, როგორც კლუბ ფოთის "კოლხეთის" პრეზიდენტმა, დიდი წვლილი შეიტანე ფეხბურთის განვითარებაში, უშურველად აფინანსებდი მას ქალაქის პრესტიჟისათვის და ქომაგთა გულის გასახარად. 60 წელინადია, ღირსეულად ატარებ შენი თაობისა და ფოთელობის მძიმე ტვირთს. კვლავაც წელთა სიმრავლეს, წინააღმდეგობათა დაძლევას, სიყვარულსა და ბედნიერებას გისურვებთ.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სპორტის სამსახური

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 ნლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სანაკრებო ბაზა

ელირსებაო ბასასა...

ელირსება: ნაკრებს არაშენდა შენდება

მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას ფეხბურთის ფედერაციამ აგარარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის სანაკრებო ბაზად გადაკეთება გადაწყვიტა. სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა თანადგომით ასეც მოხდა და ბაზის მშენებლობა დაიწყო. იდეა ფიფასა და უეფაშიც მოიწონეს, მორალურად და ფინანსურად ნაგვახალისეს და საქმე დაიძრა.

თუმცა დაიძრა და ვერ გაგრძელდა. მას შემდეგ ფიფამ და უეფამ უამრავი გრანტი გამოგვიყვეს, მაგრამ ტექნიკური ცენტრი "ბასა" ლამის არაშენდად იქცა. შენობა კი აშენდა და დამშვენდა, მაგრამ ათი წელია, ხეირიანი საფრის დაგება არა და არ გვეღირსა. მერე უმცროსი **ნოდარ ახალკაცის** ფედერაციამ ყურადღება სულაც "ლოკომოტივის" საგურამოს ბაზაზე გადაიტანა და ასე დაიკარგა ძვირფასი დრო, რომელიც სხვა პროექტების განხორციელებას უნდა მოხმარებოდა.

ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** "ბასას" მოწესრიგებას გასული წლის მარტამდე დაგვპირდა, მაგრამ აგარარულ უნივერსიტეტში ხანგრძლივი იჯარით აღებული ტერიტორიის გარდაქმნის ნებართვას დრო დასჭირდა და ამას კიდევ ერთი წელი შეენირა.

მოკლედ, ვერ გაიგებდი, საფეხბურთო ბაზა შენდებოდა თუ სურამის ციხე. თუმცა ახლა "ბასაში" გაგანია მუშაობაა და იმედია, "ზურაბის ჩატანება" არ დაგვჭირდება. ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილი** ამბობს, რომ ბაზა ეროვნულ ნაკრებს ხორვატიასთან მატჩისთვის შესაკრებად მოემსახურება.

"ბაზაზე მრავალი პრობლემა დაგვხვდა, მაგრამ ყველაზე სამარცხვინო ის იყო, რომ ნორმალური საფრის დაგებას წლობით ვერ ვახერხებდით. ფედერაციამ ყველაფრის შეცვლა გადაწყვიტა, ნაკრებს სხვაგან ვარჯიში რომ არ დასჭირდეს და შეკრება სრულფასოვნად გაიაროს. მოედნის საფრის დაგება უკვე დაწყებულია, კეთდება ტრენაჟორების დარბაზი, კვების ბლოკი, დასასვენებელი ოთახები, საუნა, აუზი და სხვა. უკვე მონყობილია სტანდარტული ხელოვნურსაფრიანი მოედანი. სხვათა შორის, "ბასაზე" 3000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნაც აშენდება, ანუ ეს იქნება პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი სტადიონი, სადაც შესაძლებელი იქნება თუნდაც უმაღლესი ლიგის მატჩების ჩატარება. მოკლედ, ყველაფერი კეთდება, ხორვატიასთან 26 მარტის შეხვედრამდე ნაკრებმა შეკრება "ბასაზე" რომ გაიაროს", - ამბობს დვალიშვილი.

ფედერაციას საკუთრებაში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონიც გადაეცა. 17 იანვარს თბილისს სტადიონის სანახავად და სარეკონსტრუქციო პროექტის შესადგენად ენვია არქიტექტორი **მარკ ფენვიკი**, რომლის დაპროექტებულიცაა "ესპანიოლისა" და "ვალენსიას" სტადიონები, რომლის ვიზიტიც დეკემბერში თბილისში უეფას ვიცე-პრეზიდენტ **ჯოზეფ მიფსუდისა** და ეროვნული ასოციაციების დეპარტამენტის უფროს **ტიერი ფავრის** სტუმრობისას გადანყდა. ფენვიკს "მიხეილ მესხის" რეკონსტრუქციაში ჩართვას სთავაზობენ.

"ფენვიკი რეკონსტრუქციის პროექტს ცოტა ხანში წარმოგვიდგენს. ჩვენი სურვილი სტადიონის სრული რეაბილიტაციაა. უნდა დაიგოს ახალი საფარი, დამონტაჟდეს ინდივიდუალური სკამები, ვიპ და პრესლოჟები, ტრიბუნები სანახევროდ უნდა გადაიხუროს. მოკლედ, ეროვნული სტადიონის გარდა თბილისში უმაღლესი დონის კიდევ ერთი სტადიონი უნდა გვქონდეს", - ამბობს დვალიშვილი.

მისი თქმით, ფეხბურთის ფედერაციას სტადიონის სათადარიგო მოედანიც გადაეცა, რომლის მთავარი სტადიონისგან გამოყოფაც მავანთ სურდათ, მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ".

"ვაკის სტადიონის სათადარიგო მოედანიც გადმოგვეცა, სადაც ასევე შეიძლება პატარა სტადიონის მონყობა. ახლა ფედერაციის ამოცანა "ბასას" და "მიხეილ მესხის" სრული რეაბილიტაციაა. ბაზის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ვაკის არენაზე კი სამუშაოები პარალელურ რეჟიმში უნდა დაიწყოს".

● ქართველები უცხოეთში

...თორემ ბევრს დავკარგავთ

ბელინცონაში ქართველი გამოჩნდა. თანაც აძ გაზრდილი

მცირე ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 19 წლის ქართველმა ნახევარმცველმა **სანდრო ჭელიძემ** შვეიცარიის უმაღლესლიგელ "ბელინცონასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დაიწერა ისიც, რომ სანდრო მოსკოვის "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია.

თუმცა დავინტერესდით და სხვაგვარი ამბები შევიტყვეთ. სანდრომ პირველი ნაბიჯები საქართველოში გადადგა, 9 წლისა თბილისის "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაში შეიყვანეს, 14-ისა კი თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში. ის თბილისის "ლოკომოტივში" 16 წლის დაბრუნდა, სადაც დუბლებში თამაშობდა. მოსკოვში ამის შემდეგ გადაბარგდა.

ჭელიძეს რუსეთის პასპორტი აქვს, მაგრამ მალე საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს და საქართველოს ნაკრების სახელით თამაშის უფლება ექნება. ის "ბელინცონაში" ზაფხულში ისინჯებოდა და კლუბის ხელმძღვანელობას მაშინ მოეწონა.

სანდრომ "ბელინცონას" შემადგენობაში საკონტროლო შეხვედრა 13 იანვარს "რომას" სარეზერვო გუნდის წინააღმდეგ ჩაატარა. შვეიცარიული ინტერნეტსააგენტო "ტიო" იუწყება, რომ კლუბში **ჭელიძესთან** ერთად კიდევ ერთი ქართველი - **შერბაკი** ისინჯებოდაო. შესაძლოა, ისიც საქართველოდანაა, მაგრამ მსგავსი გვარის ფეხბურთელს ვერ ვიხსენებთ. ისინი შვეიცარიაში **რობერტო მორინინის** წყალობით მოხვდნენ.

საინტერესოა, როდემდე უნდა გავიცნოთ ქართველი ბიჭები მხოლოდ ასეთი დონის კლუბში მოხვედრის შემდეგ? ვფიქრობთ, ფეხბურთის ფედერაციას მეტი ხარჯების გაღება მოუწევს, საინტერესო მოთამაშეებზე დასაკვირვებლად მწვრთნელები რომ მიავლინოს, თორემ ბევრს დავკარგავთ.

დანიის პირველი ლიგის "ორჰუსმა" კი 18 წლის ქართველ ნახევარმცველ **გიორგი დიასამიძეს** კონტრაქტი გაუფორმა. ხელშეკრულება ნახევარწლიანია და წარმატებით თამაშის შემთხვევაში კიდევ ნახევარ წლით გახანგრძლივდება. შეგახსენებთ, რომ გიორგი 19-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო.

მისგან განსხვავებით, 19-წლამდელთა ნაკრების მეკარე **დავით ლეგაშვილი** და თავდამსხმელი **ლაშა შინდაგორაძე** კონტრაქტს ჯერ ვერ აფორმებენ, რადგან 18 წელი არ შესრულებიათ, ევროკავშირში კი 18-წლამდელ არაევროკავშირელთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება დიდ წინაღმდეგობას აწყდება.

● თანამეგობრობის თასი

ცხადაძის გუნდი მშრალკარას თამაშობს

ინტერპრეტაციები ინტერის თემაზე

კახა ცხადაძე (მარცხნივ) და ინტერი თანამეგობრობის თასის ფინალში ითამაშებენ

პეტერბურგში მიმდინარე "თანამეგობრობის თასის" გათამაშებაში **კახა ცხადაძის** და **გიორგი ჩიხრაძის** განწვრთნილი ბაქოს "ინტერის" სომხურ "მიკასთან" 4:0 გამარჯვებას დიდი რეზონანსი მოჰყვა და ამ ორ ქვეყანას შორის მიძინებული კონფლიქტი ინტერნეტგაზეთებში გააღვიძა. ეს იმდენად რთული და დელიკატური თემაა, თავს უფლებას ვერ მივცემთ, მეზობლების დავა განვიხილოთ. თუმცა საინტერესოა, ამ სიტყვიერი შეხლა-შემოხლისას ქართველებზე რა იწერება.

"აზერისპორტის" სტატიაში "50 ათასი დოლარი "ინტერთან" მოგებისთვის?" სომხურ გამოცემა "არმენიანრეპორტის" წერილს განიხილავენ. აზერბაიჯანელები გაოცებულები და კმაყოფილები არიან სომეხთა სტატიით და თან უკვირთ, ობიექტურად დაწერილიაო. თუმცა...

"მიუხედავად სტატიის ობიექტურობისა, სომეხმა ჟურნალისტმა ვერ მოახერხა საყვარელი თემის, "ძველი სომხეთის მითების" გვერდის ავლა. მაგალითად, ასეთი ფრაზა:"...არადა, ცოტა ხნის წინ სომხური ფეხბურთი ამიერკავკასიაში საუკეთესო იყო! ჩვენი ფეხბურთის წარმატების პიკი 1973 წელზე მოდის, როდესაც "არარატი" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა".

ერევნელთა წარმატებიდან ორ წელიწადში ორმოცი წელი სრულდება, რაც "მცირე ხნის წინ" სულაც არ არის. ეს ერთი. მეორეც, ამიერკავკასიის ფეხბურთის ლიდერები ყოველთვის ქართველები იყვნენ. მხოლოდ თბილისის "დინამომ" მოახერხა თასების თასის მოპოვება, გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რამდენჯერმე გახდა, მაგრამ ჩვენს დასავლელ მეზობლებს ხომ მითების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ".

გუშინ "თანამეგობრობის თასის" ნახევარფინალში ბაქოს "ინტერი" მასპინძლებს, პეტერბურგის "ზენიტი 2"-ს შეხვდა. ცხადაძის გუნდს მეოთხედფინალში წინა მატჩის დარ ბაირამობას არ უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ „ინტერმა" მეტიც შეძლო. აზერბაიჯანის ჩემპიონმა თამაში მშვენივრად დაიწყო. მე-7 წუთზე **ზლატინოვმა** ანგარიში გახსნა, სამ წუთში **კარლსონსმა** ბაქოელების უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა, მე-15-ზე კი მანვე "ზენიტის" კარის ბადე მესამედ შეარხია. ვერ გეტყვით, ასეთი კატასტროფული ანგარიში დაბრალდა თუ ტრავმა მიიღო, მაგრამ მე-17 წუთზე პეტერბურგელებმა **იგორ ჩემინავა** შეცვალეს.

მასპინძლებს ვერც ამან უშველა და 53-ე წუთზე კარლსონსის ჰეთ თრიქმა „ზენიტის" რეზერვისტები მეოთხედ დაამწუხრა. 68-ე წუთზე **ამირასლანოვმა** ტურნირზე პირველი აზერბაიჯანული გოლი გაიტანა - 5:0.

ბაქოელთა ძირითად შემადგენლობაში იყვნენ **გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი** და **დავით ოდიკაძე, კახა მჟავანაძე** და **ბაჩანა ცხადაძე** კი მოედანზე 55-ე წუთზე გამოჩდნენ.

თავის გამოჩენა ოდიკაძესაც შეეძლო, მაგრამ „ზენიტის" მეკარეს ვერ აჯობა, თუმცა მეოთხე გოლი მისი გადაცემით გავიდა.

მოკლედ, "თანამეგობრობის თასის" გათამაშება, რომელშიც ქართული კლუბი არ მონაწილეობდა, მაინც ქართველთა ტრიუმფად იქცა - აზერბაიჯანის ჩემპიონს ორი ქართველი წვრთნის, გუნდში კი ექვსი ქართველი თამაშობს. ცხადაძისა და ჩიხრაძის შეგირდებს ხუთ შეხვედრაში გოლი არ გაუშვიათ, თავად კი 16 გაიტანეს - მშვენიერი შედეგია.

მეორე ნახევარფინალში სოლიგორსკის "შახტიორმა" რიგის „სკონტოს" 2:1 მოუგო და 23 იანვარს ფინალში "ინტერს" „თანამეგობრობის თასს" შეეცილება.

● ფუტსალი

ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი

8 საქართველო 0 ესტონეთი

წარმატებული გამოდგა საქართველოს ფუტსალის ნაკრები **ზაალ ჩიტალაძის** დებიუტი მთავარი მწვრთნელის რანგში. გუშინ მაკედონიაში, ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში საქართველომ ესტონეთი 8:0 გაანადგურა.

ბალტიისპირელებისთვის საბედისწერო გამოდგა მე-2 წუთი, როდესაც **დავით ბობოხიძემ** და **არჩილ სებისკვერაძემ** ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, მე-4 წუთზე კი სებისკვერაძემ 3:0 დაგვანინაურა. **შოთა ჭანუყვაძემ** და ბობოხიძემ კიდევ გაიტანეს და საქართველომ პირველი ტაიმი 5:0 მოიგო.

მეორე ნახევარში ქართველებმა სამი ბურთიც მიითვალეს - ისევ ბობოხიძემ, სებისკვერაძემ და **დიმიტრი მაყაშვილმა**.

საბოლოოდ, 8:0 და ჯგუფური ეტაპიდან გასვლის იმედი.

საქართველოს ნაკრები: ჯამბურია, კობაიაძე, მაყაშვილი, ბობოხიძე (კაპიტანი), სებისკვერაძე; კეფაშვილი (მეკარე) ჭანუყვაძე, კაკაბაძე, დევდარიანი, შერმადინი, მაისაია, ლუკავა.

გოლები: **ბობოხიძე (1, 20, 23), სებისკვერაძე (1, 5, 25), ჭანუყვაძე (12), მაყაშვილი (35).**

დღეს საქართველოს ნაკრები ინგლისს შეხვდება, მაკედონია კი - ესტონეთს.

● ბენდელას თასი

სპარტაკს გრიშიკაშვილმა მოაგებინა

გუშინ ურეკში "ბენდელას თასის" გათამაშების პირველი შეხვედრა გაიმართა. ცხინვალის "სპარტაკი" პირველი ლიგის ერთ-ერთ ლიდერს, მარტვილის "მერანს" შეხვდა. ცხინვალელებმა მატჩი სრული შემადგენლობით ვერ ჩაატარეს, რადგან **მანჩხავას, უგრეხელიძესა** და **ჭაფოძეს** მცირე ტრავმები აწუხებთ და მთავარმა მწვრთნელმა **ბადრი კვარაცხელიამ** დაასვენა, **ალავიძე** კი გაციებული იყო და, ცხადია, მოედანზე ვერ გავიდა.

გამარჯვებული თამაშის ძირითად დროში ვერ გამოვლინდა - მატჩი 0:0 დასრულდა. ტურნირის დებულებით, ფრის შემთხვევაში პირდაპირ პენალტების სერია ინიშნება დამატებითი დროის გარეშე, მოსამზადებელ ეტაპზე ისედაც დატვირთული ფეხბურთელები რომ არ გადაიღალონ. პენალტები ცხინვალელებმა მოწინააღმდეგეზე უკეთ შეასრულეს და 3:2 გაიმარჯვეს. 11-მეტრიანები ზუსტად შეასრულეს **მეტრეველმა, ტეტუნაშვილმა** და **შონიამ**, ხოლო **ბუზალაძის** დარტყმა მარტვილელთა მეკარე **შეროზიამ** მოიგერია. მარტვილელთაგან გაიტანეს **თურმანიძემ** და შეროზიამ, **ფონიავას** და **კუჭუხიძის** დარტყმები კი "სპარტაკის" მეკარე **გრიშიკაშვილმა** მოიგერია და ცხინვალელებს მეხუთე პენალტის შესრულება არ დასჭირვებიათ.

"სპარტაკი": გრიშიკაშვილი - ლობჟანიძე, მგელაძე, ტეტუნაშვილი, ბოიომო - დეკანოიძე, შონია, ბოლქვაძე, კილასონია - ბარაბაძე, მეტრეველი.

შეცვლაზე შევიდნენ: სეფიაშილი, კლოვისი, ბუზალაძე, კაკაშვილი, ნარიმანიძე.

"მერანი": შეროზია - ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, კაკუშაძე, ჯოელი, ილურიძე, ბერუაშვილი, კუჭუხიძე, ამბროლაძე, ჩალაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: თურმანიძე, ფონიავა, ტორაძე, ტაპე, წოწორია, მელიავა, ფაცაცია.

"სპარტაკიდან" გვაცნობეს, რომ "სიონიდან" წასული მცველი **მურმან ქურასბედიანი** კლუბს შეკრების შემდეგ შეუერთდება. ცხინვალელები კი ათდღიან ურეკულ შეკრებას დღეს დაასრულებენ.

გუშინ გაირკვა, რომ ტურნირს ხაშურის "ივერია" გამოაკლდა, მის ნაცვლად კი **რევაზ ძოძუაშვილის** სახელობის საფეხბურთო აკადემია ითამაშებს.

პერგია ქართველებს აკვირდება

ლატვიის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი "დაუგავა" სეზონისთვის ემზადება. კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ პერტიამ** გუნდში რამდენიმე მოთამაშე მიიწვია, მათ შორის ორი ქართველია. ყატარში ნათამაშები მეკარე **სოსო ხომერიკი** "გაგრას" დუბლშემადგენლობის წევრი იყო. მეორე **შალვა ფურცელაძეა**. ეს უკანასკნელი რა პოზიციაზე თამაშობს და რომელი კლუბიდან მოხვდა ლატვიაში, უცნობია.

გვერდი მოამზადა

მერაბ მამულაშვილმა

ოლიმპი

რევოლუცია ჯერ არნახული, ოლიმპური

ასე იწყებოდა...

უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონი „ოლიმპისათვის“ მართლაც რომ ტრიუმფულად წარიმართა: ახალგაზრდა მწვრთნელების, **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა პირველი წრე ჩინებულად ჩაატარა და ზამთრის პაუზას ერთპიროვნული ლიდერის რანგში შეხვდა. თუმცა მეორე წრისთვის გუნდში უამრავი ცვლილება მოხდა: მწვრთნელების გარდა „ოლიმპიდან“ ფეხბურთელთა ჯგუფიც (**როინ ონიანი, ვახტანგ კვარაცხელია, გოჩა ხოჯავა, ირაკლი სირბილაძე, გია თოდუა, ლერი ხოხონიშვილი, ლაშა მიმინოშვილი**) წავიდა; ახალ მთავარ მწვრთნელს **რევაზ ძოძუაშვილს** კი ასევე ახალი ფეხბურთელებიც „მოჰყვნენ“: **მირზა მერლანი, ზურაბ ძამსაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, რევაზ გოცირიძე, დავით ჭიჭვეიშვილი, ზურაბ არზიანი, ლევან ბერუაშვილი**. შედეგი ყველასათვის ცნობილია: „ოლიმპმა“ სრულიად დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა, თუმცა სულ მალე გუნდში კარდინალური ცვლილებები მოხდა; ანუ, მთავარ მწვრთნელთან ერთად გუნდის საჩემპიონო შემადგენლობაც შეიცვალა და ევროტურნირებზე ყაზახური „ასტანას“ წინააღმდეგ „ოლიმპის“ ახალ თავკაცს **ვარლამ კილასონიას** უამრავი ახალწვეულის გამოყვანა მოუხდა. ყოველ შემთხვევაში, **გიორგი ონიანი, გელა ხუბუა, თორნიკე აფციაური, გიორგი სეთურიძე** და **ზურაბ ძამსაშვილი** წინა სეზონში „ოლიმპის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებად მიიჩნეოდნენ. ახალწვეულთა სიაც არანაკლებ შთამბეჭდავი იყო: **ლევან სილაგაძე, სერგი ორბელაძე, რეზო ჯიქია, ალექსანდრე კოშკაძე, ჯაბა დვალი,** პლუს სამი ლეგიონერი (**უივკოვიჩი, მასუაგა, აკუასაგა**). 2007-08 წლების სეზონში გუნდში კიდევ არაერთი ცვლილება მოხდა: კილასონიას ნაცვლად „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელად ანატოლი პისკოვეცი დაინიშნა, ვინც ჯერ კიდევ პირველი ეტაპის დასრულებამდე თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდა ფეხბურთელებს (**დავით დევდარიანი, გიორგი ყრუაშვილი, ნიკა მგელაძე**) მისცა. აი, ზამთარში კი გუნდის შემადგენლობა სანახევროდ კი არა, ლამის მთლიანად შეიცვალა: სხვადასხვა მიზეზით „ოლიმპიდან“ წასულების (ჟივკოვიჩი, აკუასაგა, ნავალოვსკი, ქებაძე, ჯიქია, დვალი, დვალიშვილი, კოშკაძე, ალავიძე, მერლანი) ნაცვლად ათამდე ახალწვეული გამოჩნდა. აქედან ორი (**კოვალევსკი, ომელიანოვი**) პისკოვეცის თანამემამულე გახლდათ, დანარჩენები კი საქართველოს ჩემპიონატის სხვადასხვა გუნდში ასპარეზობდნენ: **გიორგი იმედაძე, გიორგი გაბეჯერ** ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, გუნდი რომ დატოვეს: **სერგი ორბელაძე, მიხეილ მახვილაძე, ლევან სილაგაძე, რევაზ გეწაძე, გიორგი კახელიშვილი, დავით დევდარიანი, ნიკა მგელაძე, ვლადიმერ ჯოჯუა, ნიკოლოზ სტეფანიშვილი, ბექა შეყრილაძე, გელა ხუბუა, გიორგი გაბედავა, გიორგი რეხვიაშვილი, გიორგი ლომაია** და ზემოთნახსენები ორი უკრაინელი ლეგიონერი. არანაკლებ სოლიდური და შთამბეჭდავი იყო ახალწვეულთა სიაც: **მირზა მერლანი, თემურ ღონღაძე, გიორგი სეთურიძე, ნოდარ მაჭავარიანი, აქვსენტი გილაური, ერნესტ აკუასაგა, გიორგი გაბიდაური, შოთა ბაბუნაშვილი, დენის დობროვოლსკი, გიორგი მეგრელაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, გიორგი დეკანოსიძე, გოგა ფიფია, გაგა ჩხეტიანი, კოკა მიკუჩაძე, თენგიზ ჩიკვილაძე, ზვიად სტურუა, კახა ალადაშვილი.** თანაც, ამათგან, სულ მცირე, სამი-ოთხი ფეხბურთელი „ოლიმპს“ ერთი ან... ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ასეთი შემადგენლობიდან გამომდინარე, „ოლიმპი“ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ოცამდე (!) ახალწვეულს ერთმანეთთან შესათამაშებლად დრო რომ სჭირდებოდა, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. მოკლედ, გუნდმა ნარუმატებელი სტარტი აიღო და VI ტურიდან „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელად კვლავაც ვარლამ კილასონია დაინიშნა. საბოლოო შედეგს კი ურიგო კი არა, წარმატებული უფრო ეთქმოდა: „ოლიმპმა“ ჩემპიონატი III ადგილზე დაასრულა, ამასთან, თასის ფინალშიც გავიდა, სადაც პენალტების სერიაში დამარცხდა. თუმცა, მანამდე ხომ ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი იყო და პირველად კლუბის ხანმოკლე ისტორიაში, „ოლიმპში“ განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა: გუნდიდან მხოლოდ 5 ფეხბურთელი (მირზა მერლანი, აქვსენტი გილაური, გიორგი ფეიქრიშვილი, კახა ალადაშვილი, კოკა მიკუჩაძე) წავიდა და სანაცვლოდ 6-7 ახალი სახე გამოჩნდა; თუმცა ამათგან სამი (**მიხეილ ალავიძე, გიორგი რეხვიაშვილი, გელა ხუბუა**) „ოლიმპში“ მანამდეც თამაშობდნენ.

ოლიმპის ორი საჩემპიონო ზეიმი

გაგრძელება იძნება...

XXI ჩემპიონატის დაწყების წინ „ოლიმპში“ კვლავაც სერიოზულზე სერიოზული ცვლილებები მოხდა: პოლონურ „ლეგიასთან“ წაგებას კილასონიას ... გათავისუფლება მოჰყვა. თუმც მანამდე ხომ ძირითადი შემადგენლობა, ფაქტობრივად, მთლიანად გამოიცვალა! სხვადასხვა მიზეზის გამო „ოლიმპის“ დატოვება მოუხდათ: გელა ხუბუას, გიორგი სეთურიძეს, გიორგი გაბიდაურს, გიორგი მეგრელაძეს, გიორგი ჭელიძეს, გიორგი დეკანოსიძეს, გოგა ფიფიას, გაგა ჩხეტიანს, თენგიზ ჩიკვილაძეს, გიორგი ონიანს, ზვიად სტურუას, თემურ ღონღაძეს; სამაგიეროდ, ახალ მთავარ მწვრთნელს **კორლალიძეს** გუნდში ერთი-მეორეზე გამოცდილი ახალწვეულები დახვდა: **გრიგოლ ჭანტურია, სევასტი თოდუა, დავით იმედაშვილი, ოლეგ გველესიანი, ვალერი აბრამიძე, ზაზა ჭელიძე, დაჩი ფოფხაძე.** აღარაფერს ვამბობთ იმ დროისათვის ფართოდ რეკლამირებულ „ბრაზილიურ პროექტზე“: რუსთაველთა გუნდში „ატლეტიკო პარანენსეს“ ხუთი ფეხბურთელი ჩაირიცხა! სამწუხაროდ, ამ ხუთეულიდან მხოლოდ ორი იყო „ნაღდი ბრაზილიელი“ — **აკინო** და **ფრაგა,** რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით **ჟონატასზე, ჟერონიმოსა** და განსაკუთრებით, **ჩოკოზე.** ამ ხუთეულს მოგვიანებით კიდევ ერთი ბრაზილიელი მიემატა, მაგრამ **სალესმაც** ვერაფრით გამოჩინა თავი და მეორე ეტაპზე გუნდში მხოლოდ ფრაგა და აკინო იყვნენ დარჩენილნი. თუმცა, ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე „ოლიმპში“ კვლავ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი — გუნდის გაძღოლა **თემურ მახარაძეს** ანდეს; ზამთარში კი „ოლიმპისათვის“ დამახასიათებელი სურათიც ვიხილეთ: ოთხი ბრაზილიელის გარდა, გუნდის დატოვება ათამდე ფეხბურთელს მოუხდა; თუმცა, შევსება ამ შემთხვევაშიც სოლიდური იყო: ზოგი დაუბრუნდა „ოლიმპს“ (ღონღაძე, ჯიქია, მერლანი, ხუბუა), ზოგი პირველად ჩაირიცხა რუსთავის გუნდში (**დავით გიგაური, პაატა დათუნაიშვილი, გიორგი ხიდეშელი**); ცალკე უნდა აღვნიშნოთ „ოლიმპის“ იმდროინდელი ორი მართლაც „ხმაურიანი“ ახალწვეული — **გია კვარაცხელიამ** და **სანდრო იაშვილმა** მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსთავული გუნდის მეორე ტრიუმფში. აი, ნიგერიელი **ელოხი** რა დამსახურებით მოხვდა „ოლიმპში“, ამას ალბათ, ვერავინ იტყვის...

... გინახავთ სადმე, საჩემპიონო სეზონის შემადგენლობა ევროტურნირების დაწყების წინ თითქმის 80-90 პროცენტით შეცვლილიყოს? „შორს წასვლას“ ნუ დაიწყებთ — მსგავსი რამ მხოლოდ და მხოლოდ, საქართველოში, კონკრეტულად კი რუსთავის „ოლიმპში“ შეიძლება მოხდეს! აი, ისე — როგორც მიმდინარე სეზონის დაწყების წინ, როცა ჩემპიონი-გუნდის შემადგენლობიდან 17(!) ფეხბურთელი წავიდა! თუმცა, რუსთაველთა გუნდში მალე „საშნვრთნელო კარუსელიც“ დატრიალდა: ჯერ თემურ მახარაძე გაათავისუფლეს, შემდეგ მისი შემცვლელი **რამაზ მუმლაძეც** და პირველი ეტაპის ბოლომდე დარჩენილ სამ ოფიციალურ მატჩში „ოლიმპის“ თავკაცად უკვე ახალგაზრდა სპეციალისტი თორნიკე მაისურაძე მოგვევლინა. აი, ამის მერე რაც მოხდა, ამაზე უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, თუმცა, გვჯერა, რომ გაგრძელება იქნება...

არის რეკორდი!

შესაძლოა, ბევრს ჰგონია, რომ „ოლიმპში“ სარეკორდო რაოდენობის ცვლილებები გასულ ზაფხულს მოხდა, მაგრამ საიუბილეო, XX ჩემპიონატის წინ გუნდში რომ ფეხბურთელთა „მიდი-მოდი“ იყო, მსგავსი შემთხვევა სხვაგან, ალბათ, არსად მომხდარა. მოდი, **დავა, ვლადიმერ ჯოჯუა, ბექა შეყრილაძე, თემურ აფრიამაშვილი, ნიკოლოზ სტეფანიშვილი;** გუნდში ჩაირიცხა ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილი **გიორგი რეხვიაშვილი,** თუმცა მთავარი შენაძენი მაინც მეკარე **გიორგი ლომაია** გახლდათ. იმ სეზონის ბოლომდე „ოლიმპში“ კიდევ ერთი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა: უკანასკნელი 8 ტურის განმავლობაში გუნდი მოედანზე **ხვიჩა ქასრაშვილს** გამოჰყავდა.

გია ტუხაშვილი

● სერია A. XXI ტურის წინ

საინტერესო მატჩის მოლოდინში

ინტერის გამოცდა უდინეში

დღეს

პალერმო-ბრეშა 21.00
დისკვალიფიკაცია: კამოციერი - ბეგა, დიამანტი.
ტრავმა: ერნანდესი, პინილია, გოიანი, გარსია - სერენი, ედერი, ვასი, ტადეი.

პარმა-კატანია 21.00
დისკვალიფიკაცია: პაჩი (პარმა).
ტრავმა: პიზანო - ბიაჯანტი, მორიმოტოპოტენცა.

რომა-კალიარი 23.45
დისკვალიფიკაცია: ნ. ბურდისო (რომა).
ტრავმა: პიზარო, ადრიანო - ლადარი, პინარდი.

ხვალ

უდინეზე-ინტერი 15.30
დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: ბასტა, ფერონეტი, ანჯელა - სნეიდერი, კოუტინიო, სამუელი, ჟულიო სეზარი, მილიტო.

ბარი-ნაპოლი 18.00
დისკვალიფიკაცია: დონატი (ბარი).
ტრავმა: გეზალი, ს. მაზიელო, ბარეტო, დალესანდრო, რივასი - გრავა, ვიტალე.

ბოლონია-ლაციო 18.00
დისკვალიფიკაცია: ლიხტშტაინერი (ლაციო).
ტრავმა: მენი, გარდიო, მათუზალემი, როკი, სული (ლაციო).

კიევო-ჯენოა 18.00
დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: ლუჩანო - პალოსკი, ანტონელი.

ფიორენტინა-ლეჩე 18.00
დისკვალიფიკაცია: მესბაჰი (ლეჩე).
ტრავმა: ვარგასი, ავრამოვი, ნატალი, ჩერჩი, იოვეტიჩი, ფრეი - ჯულიატო, ოფერე.

სამპდორია-იუვენტუსი 18.00
დისკვალიფიკაცია: მელო (იუვენტუსი).
ტრავმა: სემიოლი, პადალინო, ძაური, გასტალდელო - რინაუდო, დე ჩელიე, იაკვინტა, კვალიარელა, ტონი, გროსო.

მილანი-ჩეზენა 23.45
დისკვალიფიკაცია: ჯაკერინი.
ტრავმა: ბოატენგი, ძამბროტა, ინძაგი, ამელია, პირლო - ლაურო, ნაგატომო.

„მილანი“ დაუმარცხებელი გუნდის შთაბეჭდილებას არ ტოვებს და ქულებსაც უხვად კარგავს - ეს კი იმას ნიშნავს, რომ სერია A-ში ჯერ არაფერი დასრულებულა და სკუდეტოსთვის მებრძოლ გუნდთა სიაც საკმაოდ დიდია. ვერ გეტყვით, რამდენად არის „ლაციო“, ან თუნდაც „ნაპოლი“ მზად იბრძოლოს პირველი ადგილისთვის, მაგრამ სატურნირო ცხრილის მიხედვით, სკუდეტოსთვის მებრძოლ გუნდებად უნდა მივიჩნიოთ. ჯერჯერობით არც „რომაა“ სტაბილური, მაგრამ ამ გუნდს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მოუმატოს და სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად იქცეს. აღარაფერს ვამბობთ „ინტერზე“, რომელიც ოპტიმალურ ფორმაში შედის და თამაშს თამაშზე იგებს.

XXI ტურის სამი შეხვედრა დღეს გაიმართება, რომელთა შორის „რომა“-„კალიარის“ ჯახი უნდა გამოვარჩიოთ. „ჯალოროსიმ“ შუა კვირაში „ლაციო“ დაამარცხა, იტალიის თასის მეოთხედფინალურ ეტაპზე გავიდა და რაც მთავარია, დერბიში გამარჯვებით გულშემატკივრები გააბედნიერა. მიუხედავად ამისა, რომაული გუნდის ბანაკში გარკვეული პრობლემებია - არაერთი ფეხბურთელია უკმაყოფილო იმით, რომ ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. მთლად ბედნიერი არც **ფრანჩესკო ტოტი** ჩანს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩებში სასტარტოში იყო. ყოველთვის თავდაჭერილმა **კლაუდიო რანიერიმ** პრესასთან ერთობ ემოციურად ისაუბრა: *„ფეხბურთელებმა უნდა გაიგონ, რომ შედეგ ზე პასუხისმგებელი მე ვარ და არა ისინი. თითოეულ მოთამაშეზე ნამდვილად ვერ ვიზრუნებ, ჩემი ვალია, რომ გუნდის ინტერესებიდან გამოვიდე და ასეც ვიქცევი. იმ ფეხბურთელებს ვათამაშებ ძირითად შემადგენლობაში, ვინც კონკრეტულ მომენტში საუკეთესო ფორმაშია“.*

„რომას“ საკადრო პრობლემები აქვს - ტრავმის გამო „კალიარის“ წინააღმდეგ **დავიდ პისარო** და **ადრიანო** ვერ იასპარეზებენ. ამ უკანასკნელმა სათასო პაექრობაში ხელი მოიტეხა და მინიმუმ ერთ თვეს დაისვენებს.

კვირის მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს „უდინეზე“-“ინტერის“ დაპირისპირება იწვევს. ფრიულელთა უკანასკნელი პაექრობები დრამატული სცენარით ნარიმართა და უხვგოლიანობით გამოირჩა. იგივე შეიძლება ითქვას „ინტერის“ თამაშებზეც და წესით, უდინეში ძალიან საინტერესო მატჩი უნდა ვიხილოთ. **ანტონიო დი ნატალესა** და **ალექსის სანჩესის** შემტევი ტანდემი ერთ-ერთი საუკეთესოა აპენინებზე და მილანელ მცველებს ალბათ დიდი ჯაფა დაადგებათ. იმავეს თქმა შეიძლება **სამუელ ეტოოსა** და **დიეგო მილიტოს** წყვილზეც, მაგრამ ეს უკანასკნელი კიდევ ერთხელ დაშავდა და „უდინეზეს“ წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს. საგონებელში ჩავარდნილ **ლეონარდოს** ისღა დარჩენია, რომ კამერუნელთან ერთად შეტევის წინა ხაზზე **გორან პანდევი** დააყენოს. ფორვარდთა უკან **დეიან სტანკოვიჩი** გაირჯება, კიდევ უკან კი სავარაუდოდ **ძანეტი, კამბიასო** და **ტიაგო მოტა**. ვნახოთ, უდინეში, წესით, ფიცხელი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი საკუთარ მოედანზე „ჩეზენას“ მიიღებს და შეეცდება ორმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტოს. დიახ, „მილანისთვის“ ორი მატჩიც კი ნამდვილად სერიაა, რომელიც უნდა შეწყდეს. სწორედ ასეთი განწყობა აქვთ „როსონერის“ ბანაკში, რაც **მასიმილიანო ალეგრის** სიტყვებით დასტურდება: *„ყოველ მიზეზგარეშე უნდა გავიმარჯვოთ და სამი ქულა ჩავიწეროთ აქტივში. „ლეჩესთან“ დასანანი ქულები დავკარგეთ და ასეთი შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვაქვს. მომწიფდა თუ არა კასანო ძირითადი შემადგენლობისთვის? - მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ანტონიოთი ძალიან კმაყოფილი ვარ“.*

თუ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, კასანო კვლავ სათადარიგოთა სკამზე იქნება, ძირითადში კი **რობინიო** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გაირჯებიან. გამთამაშებლის პოზიციაზე **კლარენს ზეედორფი** იმოქმედებს, მის უკან კი შემდეგი სამეული: **მასიმო ამბროზინი, მატიო ფლამინი** და **ჯენარო გატუზო**.

საინტერესოა გენუაში - გასამართი პაექრობა, სადაც „სამპდორია“ „იუვენტუსს“ მიიღებს. არც გენუელები არიან კმაყოფილნი სატურნირო მდგომარეობით და არც ტურინელები - დასაკარგი არაფერი აქვთ და ალბათ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეასკდებიან ერთმანეთს. **კვალიარელა, იაკვინტა** და **ტონი** რომ დაშავებულნი არიან, გეცოდინებათ - ამიტომ, **ალესანდრო დელ პიეროს** მხარდამხარ, წესით, **კარვალიო ამაური** უნდა ვიხილოთ. „ლაციო“ „ბოლონიას“ ესტუმრება, „ნაპოლი“ კი „ბარის“. ფავორიტებად რომაელები და ნეაპოლელები მიიჩნევიან, მაგრამ პროგნოზები რომ უმადური საქმეა, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაშიც არაერთხელ დავრწმუნდით.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მილანი	20	12	5	3	35-18	41
2. ნაპოლი	20	11	4	5	30-20	37
3. ლაციო	20	11	4	5	26-18	37
4. ინტერი	19	10	5	4	32-19	35
5. რომა	20	10	5	5	28-24	35
6. იუვენტუსი	20	9	7	4	35-25	34
7. პალერმო	20	9	4	7	33-25	31
8. უდინეზე	20	9	3	8	31-27	30
9. კალიარი	20	7	5	8	24-19	26
10. სამპდორია	19	6	8	5	20-18	26
11. ფიორენტინა	19	6	6	7	20-20	24
12. კიევო	20	5	8	7	20-22	23
13. ჯენოა	19	6	5	8	15-19	23
14. პარმა	20	5	7	8	19-25	22
15. კატანია	20	5	7	8	18-25	22
16. ბოლონია	20	6	7	7	20-28	22
17. ჩეზენა	20	5	4	11	15-25	19
18. ლეჩე	20	5	4	11	19-37	19
19. ბრეშა	20	5	3	12	17-26	18
20. ბარი	20	4	5	11	13-30	14

ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა

ბომბარდირები: 13 – დი ნატალე, კავანი (ნაპოლი); 12 - ეტოო (ინტერი); 11 - დი ვაიო (ბოლონია), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

● იტალიის თასი. 1/8 ფინალი

ზედმეტი პრობლემების გარეშე

მილანი-ბარი 3:0

მილანი (4-3-1-2): რომა - ოდო, იეპესი, ნესტა, ანტონინი - ამბროზინი, გატუზო (46. აბატე), მერკელი (72. პატო) - რობინიო - კასანო (66. პირლო), იბრაჰიმოვიჩი.

ბარი (4-4-2): პადელი - რაჯი, როსი, გლიკი (70. კრიმი), პარიზი - ალვარესი, პულეტი (46. ა. მაზიელო), დონატი, გომესი - კუტუზოვი (75. კაპუტო), კასტილო.

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (19), 2:0 მერკელი (45), 3:0 რობინიო (65).

ITALIIS თასის ბოლო მეოთხედფინალისტი „სან სიროზე“ გამართულ პაექრობაში გამოვლინდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ეს გუნდი „მილანი“ გახლავთ. ლომბარდიელებმა საკუთარ მოედანზე“ „ბარი“ დაამარცხეს და თანაც, საკმაოდ იოლად, სამბურთიანი უპირატესობით. **მასიმილიანო ალეგრიმ** არ გარისკა და სერია A-ს აუტსაიდერს ძირითადი შემადგენლობით დაუპირისპირდა. მართალია, როდესაც „მილანზე“ ვლაპარაკობთ, ძირითადი შემადგენლობა პირობითი ცნებაა, მაგრამ ფაქტია, რომ მწვრთნელმა წამყვან ფეხბურთელებს დასვენების საშუალება არ მისცა. სასტარტოში იყო **ალესანდრო ნესტაც, ჯენარო გატუზოც, მასიმო ამბროზინიც, რობინიოც** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩიც**. ანგარიში სწორედ იბრამ გახსნა და თანაც მეტად ეფექტური დარტყმით - მე-19 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც რობინიოს პასი ჩინებულად მიიღო, ერთ მეურვეს გასცდა და მეკარისაგან შორეულ კუთხეში ულამაზესი გოლი გაიტანა. მეორე გოლი სტუმრებმა დიდხანს აპროტესტეს და სრულიად სამართლიანადაც - სანამ ბურთი **ალექსანდერ მერკელამდე** მივიდოდა, იქამდე რობინიო თამაშგარე მდგომარეობაში ჩარჩა, მაგრამ ლანსმენმა ვერ შენიშნა და ბრაზილიელმაც ახალგაზრდა თანაგუნდელს საგოლე გადაცემა გაუკეთა. რაც შეეხება მესამე გოლს, თავად რობინიომ იხეირა - მეკარესთან პირისპირ დარჩა და აუღელვებლად გაასამა ანგარიში.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე **ალეგრიმ** კმაყოფილება გამოთქვა შეგირდების თამაშით: *„ბოლო თამაშებში ფეხი დაგვიცდა და თასზე გამარჯვება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ ყველა ნამყვანი ფეხბურთელი ვათამაშე და საბედნიეროდ, დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. შეგირდებით კმაყოფილი ვარ, რადგან ბოლომდე ითამაშეს და თავი არ დაუზოგავთ“.*

იბრა გოლს ზეიმობს

● სატრანსფერო სიახლეები

ლაციოს მცველი

ნაპოლის თავდამსხმელი

INTERESI სატრანსფერო სიახლეები გაავრცელა გუშინ „გაძეტა დელო სპორტმა“, რომლებზეც აუცილებლად უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ „სამპდორიას“ მცველი **ციგლერი** რომის „ლაციოში“ გააგრძელებს ასპარეზობას. დედაქალაქელებს საკადრო პრობლემები შეექმნათ, განსაკუთრებით უკანა ხაზში და გასაკვირი არ არის, რომ მცველის გადაბირებით დაინტერესდნენ - ციგლერიც შესაფერესი კანდიდატურაა. „გაძეტას“ ცნობით, რომაელები მზად არიან, ფეხბურთელში სამი მილიონი ევრო გადაიხადონ, გენუელებს კი მინიმუმ ხუთი მილიონის მიღება სურთ. კომპრომისული ვარიანტი ოთხი მილიონია და გავრცელებული ინფორმაციით, შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია.

კიდევ უფრო საინტერესო ამბავი მოგვვიდა ნეაპოლიდან, სადაც სულ მალე შესაძლოა **მაქსი ლოპესი** გადაბარგდეს. დიახ, „კატანიას“ არგენტინელი თავდამსხმელი გუნდის გამოცვლას ლამობს, სამ ფრონტზე მებრძოლ „ნაპოლის“ კი მისი კვალიფიკაცია და ბომბარდირული თვისებები ნამდვილად არ აწყენდა. ამ შემთხვევაში თავს ვერ დავდებთ, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ მოლაპარაკებები რომ გადამწყვეტ ფაზაშია შესული, წყალი არ გაუვა. თავად ლოპესს ძალიან უნდა „ნაპოლიში“ გადასვლა და ამას არც მალავს:

„სიმართლე გითხრათ, „კატანიაში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, რადგან ამ გუნდში არაერთი ჩემი თანამემამულე ასპარეზობს. თუმცა, კარიერულ წინსვლაზე ვფიქრობ და მსურს, უფრო ამბიციურ გუნდში გავაგრძელო ასპარეზობა. „ნაპოლი“ მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და ევროტურნირზე თამაშობს, რაც ძალიან დიდი სტიმულია ნებისმიერი ფეხბურთელისთვის. იმედი მაქვს, ტრანსფერი შედგება და კარიერას „ნაპოლიში“ გავაგრძელებ“.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

მაქსი ლოპესი

უცხოური ფეხბურთი

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტურის წინ



დარენ ბენტი



ედინ ჯეკო

დღეს ბენტი გოლს გაიგანსო...

დღეს

ვულვერჰემპტონი-ლივერპული 16:45
დისკვალიფიკაცია: ელოკობი - ჯერარდი
ტრავმა: მენსიენი, ედუარდსი, კიგთლი გუუდიურა, დევისი - კარაგერი

არსენალი-უიგანი 19:00
დისკვალიფიკაცია: სანია (არსენალი)
ტრავმა: დიაბი, ალმუნია, ვერმაელენი, ფრიმპონგი, გიბსი, ფაბიანსკი, სკილაჩი - კლიეერი, კირკლენდი, მაკკარტი, დი სანტო, მოზესი

ბლეკბული-სანდერლენდი 19:00
ტრავმა: გრენდინი, ჰერეგუდი, ბეშემი, გილკსი, ელმონდი, კლარკი - მეილერი, კეტერმოლი, ტერნერი, კემპბელი, მენსა

ევერტონი-ვესტ ჰემი 19:00
დისკვალიფიკაცია: ობინა (ვესტ ჰემი)
ტრავმა: ჯეგიელკა, ჰეიტინგა, ბარკლი - დაიერი, მაკკარტი, ილუნგა, ედგარი, და კოსტა, ჰიცშპერგერი, კოლისონი, კურუუი

ფულჰემი-სტოკი 19:00
ტრავმა: ბრიგსი, ჰეელიჩი, სტორი, ზამორა, სენდეროსი - სიდიბე

მანჩესტერ იუნ.-ბირმინგემი 19:00
ტრავმა: ო'ში, ჰარგრივზი, ვალენსია – მაკფადენი, დანი

ნიუკასლი-ტოტენჰემი 19:00
დისკვალიფიკაცია: ქაბული, დეფი (ორივე ტოტენჰემი)
ტრავმა: ქეროლი, კემპბელი, ტიოტე, ბენ არფა, რ. ტეილორი - ირნჩარი, კინგი, ჰადლსტოუნი, ო'ჰარა, ვუდგეიტი

ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი 21:30
დისკვალიფიკაცია: ე. იანგი, ჰესკი (ორივე ასტონ ვილა)
ტრავმა: ლ. იანგი, დელფი - რიჩარდსი, ბალოტელი

ხვალ

ბლეკბერნი-ვესტ ბრომვიჩი 20:00
დისკვალიფიკაცია: ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი)
ტრავმა: ჯონსი, გრელა, ენდრიუსი, რობერტსი – რიდი, მეტოკი

ზეგ

ბოლტონი-ჩელსი 24:00

დღეს პრემიერლიგის მოყვარულებს ერთი დიდი სეირი ელით: ბირმინგემის „ვილა პარკზე" ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან გუნდები, რომელთაც ბოლო ხანს, ჯამში თუ ვიანგარიშებთ, დაახლოებით 50 მილიონი ფუნტი გაიღეს, რათა თავდასხმა გაეძლიერებინათ. ამ გუნდებს მიმდინარე სეზონში სულ სხვადასხვა მიზანი ამოძრავებთ, მაგრამ დღევანდელ შეხვედრაში ამოცანა ერთნაირი აქვთ - გამარჯვება. სხვა საქმეა, რომ ორივე ვერ მოიგებს და ამიტომ ერთ-ერთს გული აუცილებლად დასნყდება: ან „მანჩესტერ სიტი" შეფერხდება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, ან „ასტონ ვილა" ჩარჩება ისეთ ადგილას, სადაც ერთი უშნო გადასახედია და იქიდან ქვედა ლიგა - „ჩემპიონშიპი" მოჩანს.

დიახ, „ვილა" გასავარდნ სამეულზე მაღლა მხოლოდ გატანილ-გაშვებულთა უკეთესი ბალანსის გამოა, თორემ ქულებით იქვეა - „უიგანის" ტოლად და „ვულვზზე" ერთით მაღლა. და აი, დღეს, ეს გუნდი კიდევ უფრო უარეს დღეში ჩავარდნისგან უნდა იხსნას თავდამსხმელმა, რომელმაც წინა ტური „სანდერლენდის" შემადგენლობაში ჩაატარა, მერე კი 24 მილიონ ფუნტად „ასტონ ვილაში" „გაიქცა" და ამ ნაბიჯით დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია - **დარენ ბენტზე** მოგახსენებთ, რომლის შესახებაც ამ დღეებში იმდენს გიამბობთ, რომ ამ წერილში მასზე დიდხანს აღარ შევჩერდებით. მხოლოდ იმას გავიმეორებთ, რაც პრეზენტაციაზე მის შესახებ „ვილას" ფრანგმა თავკაცმა **ჟერარ ულიემ** თქვა:

„ერთადერთი, რაც მისი დებიუტის შესახებ შემიძლია მოგახსენოთ, ის არის, რომ როდესაც ბენტი ამა თუ იმ გუნდში პირველად თამაშობს, მას გოლი გააქვს. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ამ სიტყვებით მეტოქესა და მის მწვრთნელ რობერტო მანჩინიზე ზემოქმედებას ვცდილობდე, მაგრამ იმედი, რომ ამჯერადაც ასე მოხდება და ბენტი „მანჩესტერ სიტის" გოლს გაუტანს, ნამდვილად მაქვს".

ჩავხედოთ სტატისტიკას: როდესაც „ტოტენჰემში" გატარებული არცთუ წარმატებული პერიოდის შემდეგ დარენ ბენტი „სანდერლენდში" გადავიდა, მართლაც პირველივე შეხვედრაში შეაგდო, შემდეგ კი ჩრდილო-აღმოსავლეთის გუნდის მაისურით 52 შეხვედრაში 32 გოლი დაუგროვდა.

„მინდა „ასტონ ვილას" ქულების მიმატებაში დავეხმარო, - თქვა ბენტმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე. - ეს გუნდი არასახარბიელო პოზიციაზეა. ბირმინგემელები აქ ყოფნას არ იმსახურებენ. მე ძალიან ვამაყობ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ დიდი ნდობა გამომიცხადა და მინდა მადლობა საქმით გადავუხადო".

ხოლო „მანჩესტერ სიტიმ", მოგეხსენებათ, „ვოლფსბურგიდან" **ედინ ჯეკო** გადაიყვანა და მართალია, წინა ტურში უკვე ათამაშა, ბოსნიელისგან თანდათან მეტს და მეტს ელის. საერთოდაც, ბოლო რამდენიმე ტურია, რაც ისტლენდელებმა თავი ტიტულის ნამდვილ კანდიდატებად წარმოაჩინეს. ამ გუნდს ოთხეულისთვის მებრძოლად ადრეც აღიქვამდნენ, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი ინგლისის ჩემპიონობაზე ჩამოვარდებოდა, მეტწილად ირონიული შენიშვნებით შემოიფარგლებოდნენ-ხოლმე. დღეს უკვე სხვა სურათია: „სიტი" გულშემატკივარს კარგი თამაშით, მოგებებით და ბევრი გოლით ახარებს. განსაკუთრებით კარგ ფორმაშია არგენტინელი **კარლოს ტევესი**, რომელმაც ბოლო სამ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა. ახლა მას ჯეკო შეუწყვილდება და თუ შეთამაშდნენ...

„სიტის" ვეტერანი, ფრანგი **პატრიკ ვიეირა**: *„მე თუ მკითხავთ, ბევრი განსხვავების მიუხედავად კარლოსი ისეთივე დონის თავდამსხმელია, ტიერი ანრი რომ იყო. როდესაც ჩემპიონობისთვის იბრძვი გუნდში აუცილებლად უნდა გყავდეს ფორვარდი, რომელიც სეზონის განმავლობაში 20-25 ან კიდევ უფრო მეტ გოლს გაიტანს".*

პრემიერლიგის დაუმარცხებელი ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი" დღესვე მასპინძლობს „ბირმინგემ სიტის". მეტიც, „იუნაიტედის" თამაში უფრო ადრეა, ასე რომ, „სიტის" მოედანზე გასვლის წინ უკვე ეცოდინება რა ქნა თანაქალაქელმა კონკურენტმა. „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად იწყება „არსენალისა" და „უიგან ატლეტიკის" თამაშიც. მასპინძელი „არსენალია" და შესაბამისად, მოგების დიდი შანსი აქვს. სხვა სიტყვებით, ისტლენდელებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება „მეთოფეებსაც" შეუძლიათ.

„იუნაიტედმა" წინა ტურში „უაით ჰართ ლეინზე" „ტოტენჰემთან" 0:0 ითამაშა - ეს გახლდათ სტუმრად, ლიდერის მერვე ფრე მიმდინარე სეზონში. მანჩესტერელთა ვებსაიტზე ნახევარმცველმა **მაიკლ ქერიკმა** დაწერა:

„თუკი ჩემპიონატის ბოლოს პირველ ადგილზე აღმოჩნდები, უკან გამოიხედავ, განვლილ გზას თვალს გადაავლებ და იტყვი, რომ რომელიღაცა პერიოდში საუკეთესო ფორმაში არ იყავი, მაგრამ საბოლოოდ მთავარი მაინც ერთი რამ არის - გახდი თუ არა ჩემპიონი. იგებ თუ ფრეებს თამაშობ, არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ჩემპიონობისკენ სავალი გზა იპოვო".

„ტოტენჰემი, რომლის მიზანი, ალბათ, ოთხეულში მოხვედრაზე მეტი არ უნდა იყოს, ნიუკასლში მიდის. გამარჯვების შემთხვევაში **ჰარი რედნაპის** ბიჭები „ჩელსის" გადაასრულებენ და ოთხეულში შევლენ - „ლურჯები" ხომ ორშაბათამდე არ თამაშობენ. ორშაბათს „ჩელსი" „ბოლტონს" ესტუმრება. ამბობდნენ, რომ შეხვედრაში შეიძლება ვარჯიშზე დაშავებულ **ფრენკ ლემპარდს** ვერ ეთამაშა, მაგრამ ბოლო ტესტები იმედისმომცემი გამოდგა.

	თ	გ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	21	12	9	0	43:19	45
2. სიტი	23	13	6	4	37:19	45
3. არსენალი	22	13	4	5	45:22	43
4. ჩელსი	22	11	5	6	38:19	38
5. ტოტენჰემი	22	10	7	5	31:25	37
6. სანდერლენდი	23	8	10	5	26:23	34
7. ბოლტონი	23	7	9	7	34:31	30
8. სტოკი	22	9	3	10	28:26	30
9. ნიუკასლი	22	8	5	9	35:32	29
10. ბლეკბული	21	8	4	9	31:36	28
11. ბლეკბერნი	23	8	4	11	29:37	28
12. ევერტონი	22	5	11	6	25:27	26
13. ლივერპული	22	7	5	10	27:31	26
14. ვესტ ბრომვიჩი	22	7	4	11	29:41	25
15. ფულჰემი	22	4	11	7	23:25	23
16. ბირმინგემი	21	4	11	6	21:26	23
17. ასტონ ვილა	22	5	7	10	24:39	22
18. უიგანი	22	4	10	8	19:34	22
19. ვულვზი	22	6	3	13	24:38	21
20. ვესტ ჰემი	23	4	8	11	22:41	20

ბომბარდირები: 14 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი), ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 10 - ნოლანი (ნიუკასლი); 9 - ტ. კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 8 - ბენტი (სანდერლენდი), დროგბა - (ჩელსი), მალუდა (ჩელსი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 7 - ბეილი (ტოტენჰემი), კემპბელი (ბლეკპული), შამახი (არსენალი), კ. დევისი (ბოლტონი).

ერმოვნული ბიბლიოთეკა

● ამბები

გრეგორიანელი სიტი

„მანჩესტერ სიტი" 22 წლის ჰოლანდიელი მარჯვენა მცველის **გრეგორი ვან დერ ვილის** შეძენას ბჰირებს. „აიაქსის" ფეხბურთელს ისტლენდელები ერთ წელიწადზე მეტია აკვირდებიან, თუმცა ოფიციალურად „სიტის" ოთხკაციანი დელეგაცია ტექნიკური დირექტორის **მაიკ რიგის** ხელმძღვანელობით ამსტერდამს მხოლოდ ოთხშაბათს ეწვია და ნახა, როგორ მოუგო „აიაქსმა" „ფეიენოორდს" 2:0.

გრეგორი ვან დერ ვილი „სიტის" ნახევარმცველის **ნაიჯელ დე იონგის** ახლო მეგობარია. მას „აიაქსთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და ხელშეკრულებაში უწერია, რომ თუ გაიყიდება, 17 მილიონ ფუნტად უნდა გაიყიდოს. საინტერესოა, რომ ვან დერ ვილის შეძენაზე უარს არც „ჩელსი", „არსენალი" და „ინტერი" იქნებიან.

ინგლისელი პორტუგალიიდან

ერიკ დაიერი 17 წლის ინგლისელი მცველი გახლავთ, რომელიც ლისაბონის „სპორტინგის" საკუთრებაა და ახლა, ივნისის ბოლომდე „ევერტონმა" იქირავა. „სპორტინგში" ის სარეზერვო გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. დაიერს „სპორტინგთან" 2013 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული.

საიდან მოხვდა ეს ყმაწვილი ლისაბონის გუნდში? მიზეზი ფეხბურთთან არ არის დაკავშირებული. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც ერიკი 7 წლისა იყო, დედამისმა ლისაბონში სამსახური იმოვა და პორტუგალიაში გადაბარგდა. ბავშვმაც სწორედ იქ დაიწყო ფეხბურთზე სიარული. 2010 წლის აპრილში მას პროფესიული კონტრაქტის გაფორმების დრო დაუდგა. იმ მომენტისთვის დაიერს ინგლისური გუნდები უკვე აკვირდებოდნენ. მასთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება „არსენალმა", „ტოტენჰემმა" და მისმა საყვარელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" სცადეს, მაგრამ ბიჭმა აღმზრდელ „სპორტინგს" უერთგულა.

საინტერესოა, რომ „სპორტინგში" ერიკ დაიერს იმდენად ნიჭიერ ყმაწვილად მიიჩნევენ, რომ 16 წლისას 19-ლამდელების გუნდში ათამაშებდნენ. ცენტრალური მცველი სიმაღლეში 188 სანტიმეტრია. მას გამოარჩევენ უნივერსალურობით და გოლების გატანის უნარით. ცნობისთვის: პაპამისი **ტედ კროკერი** 1973-89 წლებში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივანი იყო. ახალგაზრდობაში ის „ჩარლტონსა" და „კიდერმინსტერში" თამაშობდა.

ბენდტნერს ვერ გააგდებთ

დანიელი თავდამსხმელი **ნიკლას ბენდტნერი** ამბობს, რომ მისი ნების წინააღმდეგ „არსენალიდან" ვერავინ გააგდებს. მოგეხსენებათ, 23 წლის ფორვარდს ამ სეზონში „მეთოფეთა" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ და იგი ამით უკმაყოფილია. მის სამშობლოში დაინერა, რომ „არსენალმა" ბენდტნერი 15 მილიონ ფუნტად გასაყიდად „დახლზე ვაიტახა", რამაც ფეხბურთელი კიდევ უფრო აღაშფოთა. მამამისმა, რომელიც იმავდროულად შვილის აგენტის ფუნქციას ასრულებს, განაცხადა:

„თუ „არსენალი" ნიკლასის გაყიდვას აპირებს და ფასიც დაადო, მისი ნებაა. ჩვენ, ჩვენი მხრივ ვაცხადებთ, რომ არსად გადასვლას არ ვაპირებთ".

ბენდტნერის პოზიცია მას მერე შეიზღუდა, რაც „მეთოფეებმა" 2010 წელს „ბორდოდან" 27 წლის მაროკოელი თავდამსხმელი **მარუან შამახი** იყიდეს. ახლა, როდესაც **რობინ ვან პერსიც** გამოჯანმრთელდა, დანიელი ფორვარდის შანსი კიდევ უფრო შემცირდა, თუმცა თავად კლუბი აცხადებს, რომ მას მხოლოდ დიდ ფასად გაყიდის.

ბლეკბერნს რიკელმე უნდა

„ბლეკბერნისა" და **პასკალ შიმბონდას** გზები გაიყარა. არც კლუბს გაუგდია 31 წლის ფეხბურთელი და არც ფეხბურთელი გაქცეულა კლუბიდან, ყველაფერი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდა. ახლა შიმბონდას შეუძლია თავად აირჩიოს ახალი კლუბი. ამბობენ, რომ მისი შეძენა „ქუინზ პარკსა" და „იფსვიჩს" სურთ.

„ბლეკბერნს" კი, ამასობაში, მზერა ოკეანის გადაღმა გადაუწვდენია და „ბოკა ხუნიორსიდან" ვეტერანი ვარსკვლავის **ხუან რომან რიკელმეს** გადაბირება უნდა. უფრო სწორად, საქმეს ისე ეტყობა, რომ რიკელმეს მხარემ თავად შესთავაზა პრემიერლიგის კლუბს 32 წლის ფეხბურთელი. ამ ისტორიაში უცნაური ის არის, რომ რიკელმემ „ბოკასთან" სულ ახლახან მოაწერა ხელი გრძელვადიან ხელშეკრულებას, მაგრამ აგენტ **ბერი მაკინტოშს** ამის არ ეშინია. მან თქვა: *„რიკელმეს შესახებ „ბლეკბერნის" საქმეებით დაკავებულ ჯერომ ანდერსონს ველაპარაკე და მან მითხრა, რომ ყველაფერს ანონ-დაწონის".*

„ბლეკბერნს" „ბირმინგემისგან" 25 წლის შვედი ნახევარმცველის **სებასტიან ლარსონის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ **ალექს მაკლიშისგან** უარი მიიღო. ახლა გუნდს „პალერმოდან" 30 წლის რუმინელი მცველის **დორინ გოიანის** გადაბირებაზე გადაურთავს ძალა და ენერგია.

ილია ბაბუნაშვილი



● სატრანსფერო ამბები

როგორ გავაბრაზოთ კოლეგები

იან ჰოლოუეი „ასტონ ვილას“ მკვახედ შეუძახა: ბირმინგემელებმა „სანდერლენდისთვის“ 24 მილიონ ფუნტად **დარენ ბენტის** „წართმევის“ შემდეგ, ორიოდე დღეში, „ბლექპულისგან“ **ჩარლი ადამის** მოპარვაც სცადეს. 25 წლის შოტლანდიელი ნახევარმცველი „ბლექპულის“ გამოკვეთილი ლიდერია და კლუბში თავს კარგად გრძნობს, „ვილას“ შეფების საქციელმა კი შეიძლება მოსვენება დააკარგვინოს - სწორედ ამან განარისხა ჰოლოუეი. შეგახსენებთ, რომ „ბლექპულის“ თავკაცი ბოლო ორ კვირაში უკვე მეორედ ესხმის ბირმინგემელთა თავკაცს **ჟერარ ულიეს** თავს. ერთი კვირის წინ მან თქვა, რომ ადამის სანაცვლოდ 3,5 მილიონი ფუნტის შეთავაზება ცინიზმია და მეტი არაფერი.

აღსანიშნავია, რომ ჰოლოუეი შეგუებულია იმას, რომ ადრე თუ გვიან ადამს წაართმევენ - ისეთ ნიჭიერ მოთამაშეს, როგორიც 185 სანტიმეტრი სიმაღლის შოტლანდიელი გახლავთ, „ბლექპულში“ არავინ დატოვებს. აქ, უბრალოდ, საქმე ფასშია: 47 წლის სპეციალისტის აზრით, ადამის ფასი 46 მილიონი ფუნტია, ეს თანხა კი 3,5 მილიონისგან საგრძნობლად განსხვავდება. ჰოლოუეიმ თქვა:

„ბირმინგემელებს დიდი კლუბი ჰყავთ და სწორედ ამიტომ არის ჩემთვის გაუგებარი, რატომ შეეშალათ ასეთი უბრალო რამ: რა პრინციპით შეაფასეს დარენ ბენტი 24 მილიონ ფუნტად, ჩარლიში კი 3,5-ს იძლევიან. ეს სასაცილოა. ყველაფერზე ნათლად მეტყველებს ის თანხა, რომელიც თავად გადაიხადეს „ასტონ ვილას“ კამერუნელ ჟან მაკუნში - 6 მილიონი ფუნტი. რა გამოდის, რომ მაკუნი ადამზე 2,5 მილიონი ფუნტით ძვირი უნდა ღირდეს?

აქ ყველაფერი მარტივია, ისინი ჩარლის მოტაცებას ცდილობენ. მე, რასაკვირველია, შეგუებული ვარ იმას, რომ ჩარლის „ბლექპულში“ არავინ დატოვებს, მაგრამ გარწმუნებთ, მას ისე გავუშვებ, რომ ღირსებას არ დავკარგავ. გარშემო ისეთ ხალხს ადევს საკმაოდ ძვირი ფასი, რომელთა თამაში თვალით არ მინახავს ან მინახავს და ვიცი, რომ ჩარლიზე გაცილებით უარესი ფეხბურთელები არიან. დღეს ფაქტი ასეთია: ადამი კონტრაქტის თანახმად „ბლექპულის“ საკუთრებაა და კიდევ 18 თვის განმავლობაში ჩვენთან უნდა ითამაშოს. მესმის, რომ ამდენ ხანს ის აქ ვერ დარჩება, მაგრამ დღეისათვის ჩარლი ჩვენი ლიდერია და ეს თავადაც კარგად მოეხსენება. მან ისიც კარგად იცის, რომ თუ ესა თუ ის კლუბი შესაფერის ფასს შემოგვთავაზებს, შეუძლია წავიდეს. ასე რომ, ჩვენს გუნდში სიტუაციის არევის მიზნით პროვოკაციული წინადადებებით გამოსვლას არავის ვურჩევ. დაანებეთ თავი „ბლექპულისა“ და ჩარლი ადამის შეურაცხყოფას“.

იმაში, რომ „ბლექპული“ დღეისათვის პრემიერლიგის ცხრილში მეათე ადგილზეა და გასავარდნთა ზონას 6 ქულით აღემატება, ადამის დიდი დამსახურებაა.

ახლა კი „ასტონ ვილაზე“ გაბრაზებულ მეორე კაცზე, „სანდერლენდის“ მწვრთნელ **სტივ ბრუსზე** გადავერთოთ. მას რომ დარენ ბენტი „მოსტაცეს“ ბოლო დღეებში უკვე ბევრჯერ დავწერეთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ ამან ბევრი გააღიზიანა. გაღიზიანებულთა შორის შორის უმთავრესი, რასაკვირველია, ბრუსი გახლდათ, მაგრამ აქამდე არ გვითქვამს, რომ 50 წლის მწვრთნელმა თავის კოლეგას, „ვილას“ თავკაც ჟერარ ულიეს პირადად შეუტია.

მთავარი, რასაც ბრუსი ულიეს ედავებოდა, უპატივცემულობა გახლდათ. ასე განსაჯეთ, ბენტთან დაკავშირებასა და მისთვის „ასტონ ვილაში“ გადასვლის შეთავაზებამდე ბირმინგემელთა ფრანგ თავკაცს სანდერლენდელი კოლეგისთვის არც დაურეკავს, ის საქმის კურსში საერთოდ არ ჩაუყენებია - ყველაფერი ბრუსის ზურგს უკან ჩატარდა. ბრუსმა თქვა:

„ბატონ ულიეს დიდ პატივს ვცემდი და რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ადამიანი ერთხელაც არ დამირეკავდა. რომ შემხმიანებოდა და ეთქვა, მე თქვენი ამა და ამ ფეხბურთელით ვარ დაინტერესებულიო, ელემენტარული პატივისცემის გამოხატულება იქნებოდა. გარდა ამისა, რამეს ვიღონებდი, შანსი გამიჩნდებოდა, ასე უსუსურად არ გამოვჩენილიყავი. ვინმე შემცვლელს მოვძებნიდი. ახლა ვიღაც მეტყვის, რომ ჩვენ ბენტს კვირას საღამოს 8 საათზე მოლაპარაკებების მაგიდაზე დაჯდომის შანსი თავად მივეცით... ასე მსჯელობა შეურაცხმყოფელია. ასე ხდება ხოლმე, აბა რა უნდა გვექნა? აქ ცუდი ის არის, რომ ის, ვისაც ძალა აქვს, ამ ძალას თავხედურად იყენებს“.

ილია ბაბუნაშვილი

● ინტერვიუ

დიეგო მარადონა: ადრე თუ გვიან ნაკრებში დავბრუნდები

გრონდონასა და ბილარდოს ძალიან ცოტა დრო დარჩათ

დიეგო მარადონა არგენტინის ნაკრებიდან დათხოვნას ალბათ, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოინელებს. ალბისელესტეს ყოფილი თავკაცი სამხრეთამერიკული მუნდიალის შემდეგ ბევრ ადამიანზეა ნაწყენი, უპირველესად კი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონასა და სახელოვან კარლოს ბილარდოზე, რომელიც ნაკრებში ეხმარებოდა.

მარადონამ გაზეთ „კლარინთან“ ინტერვიუში, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ, ამ ორი პიროვნების შესახებ საკუთარი აზრი ჩვეული პირდაპირობით დააფიქსირა და იმედი გამოთქვა, რომ ნაკრებში დაბრუნებას შეძლებს.

- რატომ მიგაჩნიათ კარლოს ბილარდო მოღალატედ?

- ცოტა შორიდან დავიწყებ. არგენტინის ნაკრებში ბილარდო სწორედ ჩემი მეშვეობით მოხვდა. ერთი „არა“ რომ მეთქვა, „ალბისელესტეში“ მისი ფეხი არ იქნებოდა. ნაკრების მწვრთნელობა ხულიო გრონდონამ შემომთავაზა და მხოლოდ ამის შემდეგ მკითხა, რა აზრის ვიყავი ბილარდოსთან ერთად მუშაობაზე. მადლიერმა ბილარდომ მითხრა, რომ ამ სიკეთეს არასოდეს დამივიწყებდა, მაგრამ...

- მას უთქვამს ოდესმე თქვენთვის, რომ ბრაუნსა და ბატისტასთან ერთად მუშაობა არ უნდოდა?

- არა, პირიქით, ბრაუნმა და ბატისტამ მითხრეს, რომ ნაკრებში ბილარდოსთან ერთად ყოფნა არ სურდათ. თუმცა მათ ვამშვიდებდი და ვარწმუნებდი, რომ ეს კაცი საერთო საქმისთვის საჭირო იყო.

- ბილარდოს ახლა რა როლი აკისრია ნაკრებში?

- ფიტულივითაა, ფეხბურთელებს არ იცნობს, საქმეში ჩახედული არაა, არავინ არაფერს ეკითხება. ვეტერანი მოთამაშეები ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ნაკლებად უსმენენ, ახალგაზრდებს კი მისი აზრი საერთოდ არ აინტერესებთ. ერთი სიტყვით, ბილარდოს დიდი ხანია, პენსიაზე გასვლის დრო დაუდგა, მაგრამ ამას ვერა და ვერ მიმხვდარა.

- ბილარდო ნაკრების მთავარ მწვრთნელად ბატისტას დანიშვნას რატომ ემხრობოდა?

- იგი ბატისტასთანაც იმუშავებს და ნებისმიერთანაც, მთავარია, ნაკრებიდან არავინ გააგდოს და ყოველთვიური დაუმსახურებელი ხელფასი მიიღოს.

- ცნობილია, რომ გრონდონაზეც ნაწყენი დარჩით.

- იგი დამპირდა, რომ ყველაფერში მხარს დამიჭერდა, მაგრამ პირველივე რთული სიტუაციის დროს ზურგი მაქცია. ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გერმანიასთან განცდილი მარცხიდან ხუთი წუთის შემდეგ გრონდონა ჩვენს გასახდელში შემოვიდა და ყველას გასაგონად თქვა, მთელ სამწვრთნელო შტაბს ძველებურად ვენდობიო. ყველამ კარგად იცის, როგორ მალე გატეხა მან სიტყვა. ყველაფრის თავი და თავი ისაა, რომ გრონდონასა და ბილარდოს ფეხბურთი ცხოვრებაში არ უთამაშიათ და ვერც ფეხბურთელისას ხვდებიან ვერაფერს და ვერც – გულშემატკივრისას. მათ არ იციან, რას ნიშნავს ალბისელესტეს ფორმის ჩაცმა, რას ნიშნავს მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. მათგან განსხვავებით, მე მაქვს იმის უფლება, რომ არგენტინელ ქომაგებს თვალებში ჩავხედო. ისიც კარგად ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ნაკრებში დავბრუნდები.

- ამის იმედი კიდევ გაქვთ?

- რა თქმა უნდა. ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ორი პიროვნება არგენტინულ ფეხბურთს ჩამოსცილდება. მერწმუნეთ, მათ ძალიან ცოტა დრო დარჩათ.

- გრონდონამ ხომ ნაკრებში დარჩენა შემოგთავაზათ, ოღონდ იმ პირობით, რომ თქვენი ასისტენტების უმრავლესობა გუნდიდან უნდა წასულიყო.

- მათ გარეშე ჩემს მუშაობას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ასეთ პროფესიონალებს არგენტინის ნაკრებში არასოდეს უმუშავიათ, ახლა კი ეს ხალხი სახლებში ხალათებით ზის.

- გრონდონას ბებერი მარაზმატიკი რატომ უწოდეთ?

- წელიწადში სამჯერ იგი შვეიცარიაში მდებარე კლინიკას სტუმრობს და კოსმეტიკურ ოპერაციებს იკეთებს. დანარჩენის განსჯა თქვენთვის მომინდვია.

- თუ არ ვცდებით, რუჯერიზეც ნაწყენი ხართ.

- დიახ, რადგან იგი გრონდონასთან დაახლოებული ხალხის გარემოცვაში არაერთხელ შემინიშნავს. ამის მიუხედავად, მას საჯაროდ ვერ გავლანძღავ, რადგან არგენტინის ნაკრებს ერთგულად ემსახურა.

- ალფიო ბასილე, რომელიც არგენტინის ნაკრებს თქვენამდე წვრთნიდა, აცხადებს, რომ იგი თქვენ „დაძირეთ“ აგუეროს, მესისა და ჰაინცეს მეშვეობით.

- რა სისულელეა! ნუთუ ვინმეს მართლა სჯერა, რომ ამ ფეხბურთელებმა ჩემი თხოვნით განგებ ითამაშეს ცუდად, რომ ბასილე გადაეყენებინათ? საერთოდაც, მეეჭვება, ეს ბასილეს ეთქვას, რადგან მას ფეხბურთიც უთამაშია და წესიერი ადამიანიცაა. მგონია, რომ სოციალურ ქსელში ეს მისი სახელით დარეგისტრირებულმა არამზადამ დაწერა.

ლევან ჯანეზაშვილი

ბილარდო და მარადონა ერთ დროს ასეთ სიამტკბილობაში იყვნენ

● მსოფლიოს ჩემპიონატი

BIDDING NATION
RUSSIA

კავკასია უმუნდიალოდ დატოვეს

მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ უდიდესი საფეხბურთო ტურნირის მატჩებს კავკასია არ უმასპინძლებს. რუსებმა ამგვარი გადაწყვეტილება, ცხადია, უსაფრთხოების მიზნით მიიღეს.

„დღეისათვის ვერ ვიტყვით, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მშვიდობა ბოლომდეა დამყარებული, ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთზე ნეგატიურად ლაპარაკის საბაბი რომ არ მივცეთ, ეს ნაბიჯი ამიტომაც გადავდგით. ჩვენ ხომ ისედაც ბევრი მოწინააღმდეგე გვყავს, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის რუსეთში ჩატარება არ ესიამოვნათ. ზედმეტი რისკის გაწევას არ ვაპირებთ“, - აცხადებს რუსეთის პრეზიდენტის რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში, ვიცე-პრემიერი **ალექსანდრ ხლოპოლინი.**

მუნდიალის მასპინძელი ქალაქების საბოლოო შერჩევამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, ეს სიახლე კი ყველაზე მეტად ჩეჩნეთის ამბიციურ პრეზიდენტ **რამზან კადიროვს** გაანაწყენებდა, რომელმაც ამას წინათ მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრის გროზნოში ჩატარების სურვილი საჯაროდ დააფიქსირა.

ლევან ჯანეზაშვილი

● მომწიფებული ტრანსფერი

რუუდი აუცილებლად დაბრუნდებაო...

გონსალო იგუაინის მძიმე ტრავმამ „რეალი“ მძიმე დღეში ჩააგდო. მისი შემცვლელი **ქარიმ ბენზემა,** რბილად რომ ვთქვათ, ვერ ბრწყინავს, რამაც სამეფო კლუბი ახალი ცენტრფორვარდის შეძენის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

რამდენიმე კანდიდატურას შორის **რუუდ ვან ნისტელროი** გამოიკვეთა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ ჰოლანდიელმა მადრიდში არაერთი ნაყოფიერი სეზონი გაატარა, რის შემდეგაც „ჰამბურგში“ გაყიდეს. ჟოზე მოურინიომ მის გასხვისებას უკვე უწოდა შეცდომა და 34 წლის მეგოლის დაბრუნების სურვილიც გამოთქვა.

„რეალის“ ხელმძღვანელობაც დაფაცურდა და „ჰამბურგს“ ვან ნისტელროის სანაცვლოდ „ჰამბურგს“ 2 მილიონი ევრო შესთავაზა. გერმანელებს მისი გაყიდვა ხელს აძლევთ, რადგან რუუდს სეზონის ბოლოს კონტრაქტი ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება.

„მარკას“ ცნობით, ამ ტრანსფერს წინ ვერაფერი უნდა აღუდგეს და ვან ნისტელროის მადრიდში დაბრუნებას დღე-დღეზე წინასწარმეტყველებს. დაველოდოთ...

ლევან ჯანეზაშვილი

უცხოური ფეხბურთი

● ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტურის წინ

ეს იყო 29 აგვისტოს ონოესტადიზე, მოურინიოს უგერგილო დებიუტი პრიმერაში

102 ქულისა და 122 გოლის ამბავი

ნამდვილ ბრძოლას ვალენსიასთან მატჩით ვიწყებთ

დღეს

სევილია-ლევანტე 21:00
დისკვალიფიკაცია: ალექსისი
ტრავმა: ნანო, სერხიო, მ. პერესი (?), ნ. გონსალესი (?)

ბარსელონა-რასინგი 23:00
დისკვალიფიკაცია: მუნიტისი (რას)
ტრავმა: დ. ალვეში, ჟეფრენი - სერანო, ციოლისი

ვალენსია-მალაგა 01:00
ტრავმა: სესარი, მოია, ალბელდა - რუბენი

ხვალ

ალმერია-ოსასუნა 20:00
დისკვალიფიკაცია: მბამი (ალმ)
ტრავმა: ნიეტო - სეხუდო, მონრეალი, რუპერი, პანდიანი, მედინა

ხეტაფე-ესპანიოლი 20:00
ტრავმა: მანუ, მარიო - ოსვალდო, ბაენა, დე ლა პენია, გალანი, მატიონი, ხ. ლოპესი

სპორტინგი-ატლეტიკო 20:00
ტრავმა: ბოტია - აგუერო, რეიესი, მ. სუარესი (?)

სარაგოსა-დეპორტივო 20:00
ტრავმა: იაროშიკი (?) - მორელი, საული

რეალი-მალიორკა 22:00
დისკვალიფიკაცია: სენდროსი, დე გუზმანი (მალ)
ტრავმა: პეპე, დუდეკი, იგუაინი - ვიქტორი, მარტი, გ. კასტრო (?)

ვილიარეალი-რეალ სოსიედადი 00:00
დისკვალიფიკაცია: ზურუტუზა
ტრავმა: ხ. კარლოსი, სენა, ნილმარი, მარჩენა - იფრანი, კ. მარტინესი

ზეგ

ბილბაო-ერკულესი 00:00

ამ ტურით იწყება ლა ლიგის II ნახევარი, რომელსაც ჩემპიონი „ბარსელონა“ 4-ქულიანი ჰანდიკაპით იწყებს. დღეს „ბარსელონა“ „რასინგს“ მასპინძლობს, რომელიც 20 ქულით მე-14 ადგილზეა. დღეს კი „რეალი“ „მალიორკას“ შეხვდება, რომელიც 27 ქულით მე-9 ადგილზეა.

„იანვარში ტიტულებს არ იგებენ“, - **ხოსეპ გვარდიოლას** ბოლო ფრთიანი ფრაზაა. მართალია, იანვარში ტიტულს ვერ მოიგებ, მაგრამ საფუძველი შეიძლება ჩაუყარო. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მატჩია სანტანდერის „რასინგთან“ დაპირისპირებაც, რომელშიც „ბარსელონა“ უბრალოდ ვალდებულია სამი ქულა მოიპოვოს. ამ ტურის წინ „ბარსას“ განსაკუთრებული მოტივაციაც აქვს - ოთხთვიანი დაუმარცხებელი სერია ოთხშაბათს შეწყდა, თანაც ვისთან - სეგუნდადივიზიონის კლუბთან! ამიტომაც, ვიტყვით, რომ კანტაბრიელებს არ გაუმართლათ, ცუდ დროს უწევთ „კამპ ნოუზე“ სტუმრობა.

როგორც უკვე ვთქვით, სეზონის ნახევარია გასული და მეორე ნახევარიც ასეთი ტემპით რომ გააგრძელოს, „ბარსელონა“ საოცარ რეკორდს შემოგვთავაზებს. წარმოიდგინეთ, სეზონის ბოლოს „ბარსას“ 102 ქულა და 122 გოლი ექნება გატანილი, ბურთების შეფარდებაში ლამის +100 გოლი შედეგით. მაგრამ ეს შთამბეჭდავი სტატისტიკაც კი ვერ მივა ახლოს იმასთან, თუ როგორ სტილში ანადგურებს კატალონიური გრანდი მეტოქეებს. ზედიზედ 13 ტურია „ბლაუგრანა“ იმარჯვებს, აქედან 10 შეხვედრაში ჩემპიონი მეტოქეებს სამი და მეტი გოლით „ასაჩუქრებს“.

და რა უნდა დაუპირისპიროს სანტანდერის „რასინგმა“ ასეთ „ბარსელონას“? კლუბი დღე-დღეზე ალბათ მეპატრონეს შეიცვლის, მდიდარი ინდოელი ბიზნესმენის ხელში გადავა და ფინანსური კრიზისი აღარ შეაწუხებს კანტაბრიულ კლუბს. მანამდე კი, არ ვიცით, რით ვანუგეშოთ „რასინგის“ გულშემატკივრები. სეზონის პირველ მატჩში „რასინგი“ 0:3 დამარცხდა „ბარსელონასთან“ და მიუხედავად იმისა, რომ მათთვის თითოეულ მოპოვებულ ქულას დიდი ფასი აქვს პრიმერაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში, „კამპ ნოუზე“ „რასინგი“ უკეთეს შედეგს არ უნდა ელოდოს.

პეპ გვარდიოლას ამ მატჩში **დანი ალვეშთან** ერთად **ჟეფრენ სუარესიც** დააკლდება, რომელსაც ახლახან 5-კვირიანი დასვენება გამოუწერეს მუცლის კუნთის დაზიანების გამო. სამაგიეროდ, ნორმალურად ივარჯიშა გუნდის კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** და ის კვლავ უხელმძღვანელებს „ბარსას“ დაცვის ხაზს. „რასინგმა“ ახლახან **ოსკარ სერანო** დაკარგა, რომელიც ახალი გამოჯანმრთელებული იყო, ოპერაციის შემდეგ მისი თამაში კარგა ხნით გამორიცხულია. „რასინგს“ ნაავადმყოფარი მეკარე **ფაბიო კოლტორტი** უბრუნდება. კანტაბრიელებს არ ეყოლებათ გამოცდილი **პედრო მუნიტისი**, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

„ბარსელონას“ ერთადერთი კონკურენტი ტიტულისთვის ბრძოლაში ხვალ იწყებს სეზონის მეორე ნახევარს. „სამეფო კლუბს“ ჩემპიონზე ძლიერი მეტოქე ჰყავს - „მალიორკა“. სეზონის პირველი ნახევარი „რეალმა“ უხეიროდ დაასრულა - „ალმერიასთან“ ქულები დაკარგა. **ჟოზე მოურინიოს** გუნდი შეეცდება კუნძულელებთან მსგავსი გაუთვალისწინებელი რამ აღარ შეემთხვეს. ჟოზეს „მალიორკასთან“ ძველი ანგარიში აქვს გასასწორებელი - პრიმერაში დებიუტი ხომ „მალიორკამ“ ჩაუმწარა 0:0-ით.

„რეალს“ ისევ ის სამეული არ ეყოლება, რომელიც კარგა ხანია დაშავებულია: **დუდეკი, იგუაინი** და **პეპე**. „ატლეტიკოსთან“ მატჩში დაშავდა **ალვარო არბელოა**, თუმცა მისი ტრავმა სერიოზული არ არის და ითამაშებს „მალიორკასთან“ თუკი ჟოზე მას სასტარტო შემადგენლობაში ანდობს ადგილს. **მიქაელ ლაუდრუპს** დისკვალიფიკაციის გამო ორი მნიშვნელოვანი ფიგურა არ ეყოლება - **ჯონათან დე გუზმანი** და **პაუ სენდრონი**. არ იქნება არც ფორვარდი **ვიქტორ კასადესუსი**, რომელიც დაშავებულია.

სხვა დაპირისპირებებიდან გამოვყოფთ „ვილიარეალისა“ და „რეალ სოსიედადის“ შეხვედრას. მე-3 ადგილზე დამკვიდრებული „ყვითელი წყალქვეშა ნავი“ განაგრძობს ლიდერთა დევნას. აქამდე „ვილიარეალი“ სამ ფრონტზე ომობდა, ახლა კი ევროთასების განახლებამდე „ელ სუბმარინო“ მთლიანად ლა ლიგაზე გადაერთვება. „ელ მადრიგალი“ მათთვის ნამდვილი ციხესიმაგრეა, ახალ სეზონში შინ დაუმარცხებელი მხოლოდ „ვალენსია“ წავიდა, „ლოს ჩემაც“ მხოლოდ ფრეს მიაღწია, რაც ბასკთა შანსებს კიდევ უფრო ამცირებს. **ხუან კარლოს გარიდოს** კვლავ არ ეყოლება ოთხი ლიდერი: **ნილმარი, მარკოს სენა, კარლოს მარჩენა** და **ხუან კარლოსი**, სამაგიეროდ, ორი მატჩის გაცდენის შემდეგ მოედანს უბრუნდება **სანტი კასორლა**. ბასკებს შემტევი ნახევარმცველი **ზურუტუზა** ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

საინტერესო დაპირისპირებაა მოსალოდნელი „მესტალიაზეც“, სადაც მეოთხეადგილოსანი „ვალენსია“ გადასხვაფერებულ „მალაგას“ მასპინძლობს. „ნამდვილ ბრძოლას „ვალენსიასთან“ მატჩით ვიწყებთ“ - განაცხადა ანდალუსიური კლუბის ახალწვეულმა ფორვარდმა **ჟულიო ბაპტიშტამ**.

	მ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	19	17	1	1	61-11	52
2. რეალი	19	15	3	1	47-17	48
3. ვილიარეალი	19	12	3	4	38-20	39
4. ვალენსია	19	11	4	4	29-20	37
5. ესპანიოლი	19	11	1	7	25-25	34
6. ატლეტიკო	19	9	3	7	31-23	30
7. ბილბაო	19	9	2	8	29-31	29
8. ხეტაფე	19	8	3	8	28-29	27
9. მალიორკა	19	8	3	8	23-24	27
10. სევილია	19	8	2	9	26-31	26
11. სოსიედადი	19	8	1	10	29-31	25
12. ერკულესი	19	6	4	9	22-28	22
13. დეპორტივო	19	5	6	8	15-26	21
14. რასინგი	19	5	5	9	15-26	20
15. ოსასუნა	19	4	6	9	17-25	18
16. მალაგა	19	5	2	12	24-41	17
17. სპორტინგი	19	3	7	9	17-27	16
18. სარაგოსა	19	3	7	9	17-32	16
19. ლევანტე	19	4	3	12	19-30	15
20. ალმერია	19	2	8	9	17-32	14

ბომბარდირები: 22 - რონალდო (რეალი); 18 - მესი (ბარსელონა); 14 - ვილია (ბარსელონა); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 10 - პედრო (ბარსელონა), ნილმარი (ვილიარეალი); 9 - როსი (ვილიარეალი), ტრუხეგე (ერკულესი); 8 - კანუტე (სევილია); 7 - ვალდესი (ერკულესი), დ. კასტრო (სპორტინგი), ადურისი (ვალენსია), იგუაინი (რეალი), აგუერო (ატლეტიკო), ჰ. ოსვალდო (ესპანიოლი), ფორლანი (ატლეტიკო), ფ. კაისედო (ლევანტე).

● სამეფო თასი

ეროვნული ბლიოთეკა

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

იქნება საოცნებო ფინალი?

ატლეტიკო-რეალი 0:1 (1:3)

ატლეტიკო (4-2-3-1): დე ხეა - ვალერა, პერეა, უიფალუში, ფ. ლუიში - ასუნსაო, ტიაგო (65. ხუანფრანი) - რეიესი (25. დ. კოშტა), ფ. მერიდა (74. პერეა), ელიასი - ფორლანი.

რეალი (4-4-2): კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი, რ. კარვალიო, არბელოა - დი მარია (68. ვრანერო), ხედირა (82. გაგო), ჩ. ალონსო, მარსელო - რონალდო, იოზილი (74. კაკა).

გოლი: 0:1 რონალდო (23)

ესპანეთის სამეფო თასის ყველა ნახევარფინალისტი გაირკვა, თანდათან გამოჩნდა საოცნებო ფინალის, „რეალი“ „ბარსელონას“ წინააღმდეგ, კონტურები. ოღონდ, საამისოდ „სამეფო კლუბმა“ თასის ამჟამინდელი მფლობელი „სევილია“ უნდა დაამარცხოს ნახევარფინალში, ხოლო „ბარსელონამ“ „ალმერიას“ აჯობოს. საპასუხო მეოთხედფინალების ბოლო შეხვედრა „ვისენტე კალდერონზე“ გაიმართა, „რეალმა“ დერბი **კრიშტიანო რონალდოს** ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო და ორი მატჩის ჯამში სოლიდური უპირატესობით, 4:1 დაჯაბნა „ატლეტიკო“. რონალდომ თასზე მე-6 გოლი გაიტანა და დაენია **გონსალო იგუაინს, ლეო მესის** კი ერთით გაუსწრო.

თამაში ორივე გუნდმა ცოცხლად დაიწყო, **სერხიო აგუეროს** გარეშე მოთამაშე ათლეტები ხშირად ხვდებოდნენ თამაშგარე მდგომარეობაში, „რეალმა“ ბურთის გაკონტროლება დაიწყო, მაგრამ მე-14 წუთზე კინაღამ დაისაჯა - **იკერ კასილიასის** მისამართით გაკეთებული პასი **ხოსე ანტონიო რეიესმა** ჩაჭრა და მეკარისა და მცველების ერთობლივი მცდელობით გოლი არ გავიდა. „რეალმა“ გოლი 23-ე წუთზე გაიტანა, **ჩაბი ალონსომ სერხიო რამოსს** გადააწოდა, რომლის ჩამოწოდებულიც რონალდოს ნადავლი გახდა. ორიოდ წუთში „ატლეტიკომ“ ტრავმის გამო რეიესი დაკარგა, რომლის ნაცვლადაც **დიეგო კოშტა** შევიდა.

ტაიმის ბოლომდე სწორედ დიეგო კოშტა და **დიეგო ფორლანი** ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ ფორვარდები ბოლო ფაზაში სცოდავდნენ. „რეალსაც“ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა, როცა რონალდომ ქუსლით გადააწოდა ბურთი საჯარიმოში **დი მარიას**, მაგრამ ამ უკანასკნელმა მეტისმეტი მოინდომა და მომენტი დაიკარგა.

მეორე ტაიმი თავიდან ცოცხლად დაიწყო „ატლეტიკომ“, საგოლე მომენტები შექმნეს **ფრან მერიდამ, ტიაგომ** და ფორლანმა. „რეალმა“ ერთიც გაიტანა, მაგრამ **მარსელო** თამაშგარეში იმყოფებოდა და ანგარიში არ შეცვლილა.

კიკე ფლორესი (ატლეტიკო): *„ძალიან მაგარ განწყობაზე ვიყავით, შევეცადეთ პირველი მატჩის მარცხი ამოგვექაჩა. ჩვენი ფანები მთელი კვირის განმავლობაში ოცნებობდნენ, რომ შევძლებდით „რეალის“ გაგდებას. უკეთაც ვითამაშეთ, ვიდრე „ბერნაბეუზე“. ბიჭებით კმაყოფილი ვარ, გუნდი წინ მიდის და მაისისთვის სულ სხვა „ატლეტიკოს“ ნახავთ“.*

ჟოზე მოურინიო (რეალი): *„გუნდმა კარგად ითამაშა, მან გააკეთა ყველაფერი, რომ შემდეგ ეტაპზე გასულიყო. ძალიან დაძაბული მატჩი იყო და გამარჯვებაში თავისი წვლილი თითოეულმა რეალელმა შეიტანა. გადავწყვიტე, ფლანგებზე დი მარიას და მარსელოს ემოქმედათ, რომ რონალდოს მეტი სივრცე ჰქონოდა, ამან გაამართლა და მოვიგეთ კიდეც“.*

რონალდოს გოლი

● ტრანსფერი

ლუნა ალმერიაში

„სევილიამ“ სეზონის ბოლომდე იჯარით „ალმერიაში“ გაუშვა მცველი **ანტონიო ლუნა**. ამასთან, „სევილიამ“ გამოაცხადა, რომ „ალმერიას“ 19 წლის ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება არ ექნება. ლუნამ ახლახან 2013 წლამდე გააგრძელა „სევილიასთან“ კონტრაქტი, მაგრამ უკმაყოფილო იყო მცირე სათამაშო დროის გამო.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის წინ

დორტმუნდში შეუჯგარტიც განწირულია?

ლაბადია კლოპს უკოზირად ეთამაშება

დორტმუნდელები მეცხრე ცაზე არიან

გუშინ

ჰამბურგი-აინტრახტი 1:0

დღეს

ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი 18:30
დისკვალიფიკაცია: ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი)
ტრავმა: კროსი, რიბერი, ოლიჩი - შიმუნეკი, რიგიჩი, მიჩანსკი

ბორუსია (დ)-შტუტგარტი 18:30
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ოვომოიელა, ს. ბენდერი, კელი, კრინგე - ბულარუზი, ჩელოცი, აუდელი, კაკაუ, მარიკა

მაინცი-ვოლფსბურგი 18:30
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ხვენსონი (მაინცი)

ფრაიბურგი-ნიურნბერგი 18:30
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: პუპლინი, კრმასი, ტოპრაკი, იეგერი, შუსტერი, ვილიამსი, ბეხმანი, სისე, რაიზინგერი - ნილსონი, ფრანტცი, გიუნდოგანი, ბუნიაკუ

ჰანოვერი-შალკე 18:30
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: მილერი, ანდრეასენი, ბიზლი, კარლიტოსი - ჰუგლანდი, ყენია

კიოლნი-ვერდერი 21:30
დისკვალიფიკაცია: პრიოდლი (ვერდერი)
ტრავმა: მაკინო, შორხი, ჟაჟალო, პეტტი, სანუ - ბიონინი, ნალდო, ბოროვსკი, დ. იენსენი, ვესლი

ხვალ

ბორუსია (მ)-ლევერკუზენი 18:30
დისკვალიფიკაცია: ბობადილია - მ. ფრიდრიხი
ტრავმა: ბრუვერსი - ფერნანდესი, ბარნეტა, ლ. ბენდერი

ჰოფენჰაიმი-ზტ. პაული 20:30
დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: გულდე, ობასი - კალა, ლეხნერი, მორენა, ებერსი

ბუნდესლიგა კვლავ დორტმუნდის „ბორუსიას“ „გარშემო ტრიალებს“ - ერთპიროვნული ლიდერი დღეს „შტუტგარტის“ სახით ბოლოსწინა ადგილზე მყოფ გუნდს უმასპინძლებს. „ბაიერნი“ „კაიზერსლაუტერნზე“ შურისძიებას შეეცდება, ხვალ აუტსაიდერი „გლადბახი“ „ლევერკუზენს“ მიიღებს, „ჰოფენჰაიმი“ კი „ზანკტ პაულის“.

თუ სატურნირო ცხრილის მიხედვით ვიმსჯელებთ, „დორტმუნდს“ „შტუტგარტის“ დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ „ბორუსიას“ ფეხბურთელებს მაინც სიფრთხილე მართებთ. პირველ რიგში იმიტომ, რომ „შტუტგარტს“ გაცილებით მეტი შეუძლია, რაც ყველამ იცის და თანაც, შვაბთა მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** „ახალი ცოცხია, რომელიც ჯერ ჯერობით კარგად გვის.“ „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპს** ისევ არ სურს ჩემპიონობაზე ლაპარაკი - მიუხედავად იმისა, რომ მეორეადგილოსან „ჰანოვერს“ 12 ქულით უსწრებს და თანაც, „ჰანოვერი“ არ არის და ვერც იქნება BVB-ს მთავარი კონკურენტი. დორტმუნდელებს კვლავ არ ეყოლებათ **შინჯი კაგავა**, რომელიც იაპონიის ნაკრებთან ერთად აზიის თასზე თამაშობს. რაც შეეხება „შტუტგარტს“: შვაბებმა მეორე წრე კარგად დაიწყეს, დამარცხეს რა „მაინცი“ (1:0), მაგრამ მიუხედავად ამისა, ლაბადიას გუნდი ჯერ კიდევ გასავარდნ ზონაშია. უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა **კაკაუს** ასპარეზობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლაბადიამ თავდასხმაში **პაველ პოგრებნიაკთან** ერთად **მარტინ ჰარნიკი** უნდა ათამაშოს, რომელიც აქამდე ყოველთვის ჯოკრის როლში იყო. ეს იმიტომ, რომ „შტუტგარტს“ რუმინელი ფორვარდი **ჩიპრიან მარიკაც** ტრავმირებული ჰყავს.

ბაიერნს რევანში სწყურია

გახსოვთ, როგორ მოუგო დებიუტანტმა „კაიზერსლაუტერნმა“ პირველი წრის მეორე ტურში მიუხეხნურ გრანდს (2:0)? სწორედ ამიტომ, ბავარიელები შურისძიებისთვის ემზადებიან. თანაც, **ლუის ვან გაალის** გუნდმა მეორე წრე ცუდად დაიწყო (1:1 ვოლფსბურგთან) და შესაბამისად, რეკორდმაისტერი უბრალოდ ვალდებულია, „ლაუტერნთან“ მხოლოდ სამი ქულა მოიპოვოს. თუმცა მიუხეხნში უკანასკნელ ოპტიმისტებსაც კი აღარ სჯერათ, რომ „ბაიერნი“ ჩემპიონი გახდება. ბავარიელთა რეალური მიზანი ახლა მეორე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირდაპირ მოხვედრაა - ხომ იცით, 2012 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიუნხენში უნდა ჩატარდეს.

მაგრამ „ბაიერნს“ საკადრო პრობლემები არ ელევა. გუნდის „მარგალიტი“ **არიენ რობენი** გამოჯანმრთელდა თუ არა, მეორე „მარგალიტმა“ **ფრანკ რიბერიმ** მაშინვე ტრავმა მიიღო და ფრანგი დრიბლიორი დღეს ვერ ითამაშებს. მიუხედავად ამისა, „კაიზერსლაუტერნთან“ მოგების გარდა ნებისმიერი შედეგი სერიოზულ წარუმატებლობად იქნება მიჩნეული. „ლაუტერნმა“ ოთხშაბათს გერმანიის თასზე ითამაშა და „კობლენცი“ ძალიან მარტივად, 4:1 დაამარცხა. „ბაიერნთან“ „ეშმაკებს“ მთავარი გოლეადორი, **სრდიან ლაკიჩი** არ ეყოლებათ (დისკვალიფიკაცია).

გელზენკირხენშიც შურისძიების მოლოდინია

ჯერ „მაინცი“ იყო, მერე „ფრაიბურგი“, ახლა კი მიმდინარე სეზონის ყველაზე სენსაციური გუნდი „ჰანოვერია“. **მირკო სლომკას** ბიჭები 18 ტურის შემდეგ მეორე ადგილზე არიან და დღეს სლომკას ყოფილ გუნდს, „შალკეს“ მასპინძლობენ. პირველ წრეში „ჰანოვერმა“ გელზენკირხენში 2:1 მოიგო, რის გამოც „შალკეს“ ფანებიც შურისძიებას ითხოვენ. „ხუმარების“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** „ჰამბურგთან“ წაგების შემდეგ შეგირდები ვარჯიშებზე მაგრად „აწამა“ და იმედი აქვს, რომ შედეგს დღევანდელ მატჩში მიიღებს. ფაქტი ერთია: „შალკეს“ ქულები ჰაერივით ესაჭიროება.

ფრაიბურგი სისეს გარეშე

„ფრაიბურგი“ „ნიურნბერგს“ მასპინძლობს და ცხრილის მიხედვით ფავორიტიცაა, მაგრამ ბრაისგაუელებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ და „ფრანკებთან“ თამაში თითქმის ექსპერიმენტალური შემადგენლობით მოუწევთ. თვითონ განსაჯეთ: „ფრაიბურგს“ ლაზარეთში ცხრა ფეხბურთელი ჰყავს. ამ კვირაში „ფრაის“ ორი უაღრესად მნიშვნელოვანი მოთამაშე, საყრდენი ნახევარმცველი **შუსტერი** და მთავარი გოლეადორი **სისე** დაუშავდა. ეს უკანასკნელი კი ის კაცია, ვინც ამ სეზონში „ფრაიბურგის“ გოლების 58.6 პროცენტი გაიტანა. სხვათა შორის, „ფრაიმ“ პირველ წრეში ნიურნბერგში 2:1 მოიგო და ორივე გოლი სისეს ანგარიშზე იყო. ამ კვირაში „ფრაიბურგმა“ სასწრაფოდ **ერიკ იენდრიშეკი** იყიდა (შალკედან), რომელმაც თავდასხმაში სისე უნდა შეცვალოს. სხვათა შორის, საკადრო პრობლემები ნიურნბერგელებსაც აქვთ. განსაკუთრებით მტკივნეული გუნდის ლიდერის, ახალგაზრდა ნახევარმცველ **ილქაი გიუნდოგანის** ტრავმაა.

„მაინცი“ მეორე წრის სტარტზე „შტუტგარტთან“ კი დამარცხდა (0:1), მაგრამ კარნავალელები მაინც რომელიმე ევროტურნირის საგზურს უმიზნებენ. ერთი კვირის წინ **ლუის ჰოლტბიმ** ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო, მაგრამ მაინცელთა მთავარი მწვრთნელის, **თომას ტუხელის** თქმით, „ვოლფსბურგთან“ მატჩისთვის სრულ მზადყოფნაშია. „ვოლფსბურგმა“ წინა კვირას „ბაიერნთან“ ფრე გაახერხა, რაც კარგ შედეგად ჩაითვალა, მაგრამ გუნდის ბოს **დიტერ ჰაინესს** სატრანსფერო სტრესი აქვს. ვან ბომელი, ჰელმესი, ლაკიჩი - ჩვენი გერმანელი კოლეგები „ვოლფსბურგში“ გადასვლას ყოველდღე არაერთ ფეხბურთელს უწინასწარმეტყველებენ.

შაბათი „კიოლნისა“ და ბრემენის „ვერდერის“ მატჩით დაიხურება. კიოლნელებმა წინა ტურში კაცნაკლულ „კაიზერსლაუტერნთან“ მხოლოდ ფრეს მიაღწიეს, „ვერდერმა“ კი „ჰოფენჰაიმი“ დაამარცხა და შესაბამისად, „მუსიკოსებში“ საკმაოდ კარგი განწყობაა.

ხვალ ნაშუადღევს ბოლოადგილოსანი „გლადბახი“ „ლევერკუზენს“ უმასპინძლებს. წინა ტურში მიონხენგლადბახელებმა „ნიურნბერგი“ დაამარცხეს (1:0) და კარგ ხასიათზე არიან, „ლევერკუზენი“ კი „დორტმუნდთან“ დამარცხდა (1:3 საკუთარ „ბაი არენაზე“) და საშინელ ხასიათზეა. შესაძლოა, ბევრს აღარ ახსოვდეს, რომ პირველ წრეში ამ გუნდებმა ლევერკუზენში დიდი სპექტაკლი დადგეს: მაშინ „გლადბახმა“ „ბაიერი“ სტუმრად 6:3 დაამარცხა. იმ თამაშის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მე-18 ტურის შემდეგ მხოლოდ სამი მოგება ექნებოდა. „ფორმაცევტებს“ **ტრანკუილიო ბარნეტა** დაუშავდათ, **მიხაელ ბალაკი** კი ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, ისევ არ იქნება. საღამოს, ერთი კვირის წინ ბრემენში დამარცხებული „ჰოფენჰაიმი“ „ზანკტ პაულის“ მიიღებს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბორუსია (დ)	18	15	1	2	42-11	46
2. ჰანოვერი	18	11	1	6	28-27	34
3. მაინცი	18	11	0	7	30-20	33
4. ლევერკუზენი	18	9	6	3	36-28	33
5. ბაიერნი	18	8	6	4	32-21	30
6. ჰამბურგი	19	9	3	7	29-28	30
7. ფრაიბურგი	18	9	2	7	27-27	29
8. აინტრახტი	19	8	2	9	24-25	26
9. ჰოფენჰაიმი	18	6	7	5	33-24	25
10. კაიზერსლაუტ.	18	6	4	8	28-28	22
11. შალკე	18	6	4	8	25-25	22
12. ნიურნბერგი	18	6	4	8	22-29	22
13. ვერდერი	18	6	4	8	25-36	22
14. ვოლფსბურგი	18	4	8	6	25-26	20
15. ზტ. პაული	18	5	3	10	18-32	18
16. კიოლნი	18	4	4	10	19-34	16
17. შტუტგარტი	18	4	3	11	33-35	15
18. ბორუსია (მ)	18	3	4	11	27-47	13

ბომბარდირები: 15 - სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 12 - გომესი (ბაიერნი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი).

● ბაიერნი

ვან გაალ, მათამაშე!

კლოზემ ხმა აიმაღლა და მწვრთნელს შეუტია

გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის“ თავდამსხმელ **miროსლავ კლოზეს** გასაოცარი სტატისტიკა აქვს: ბუნდესლიგაში 279 მატჩი და 113 გოლი, გერმანიის ნაკრებში კი 58 გოლი, რითაც ის ბუნდესგუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებს შორის მეორე ადგილზეა და მხოლოდ **გერდ მიულერს** ჩამორჩება. მიროს მსოფლიოს ჩემპიონატებზე 14 გოლი აქვს გატანილი, რითაც მუნდიალის ყველა დროის საუკეთესო გოლეადორს, **რონალდოს** მხოლოდ ერთი გოლით ჩამორჩება...

მიუხედავად ასეთი შედეგებისა, კლოზე მიუხეხნის „ბაიერნში“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს. არადა, 32 წლისაა და ჯერ არ გადასულა იმ ასაკში, რომ გვეთქვა, მუხლი აღარ უჭრისო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ კლოზემ ხმა აიმაღლა, სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება კატეგორიულად მოითხოვა და რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** წნეხის ქვეშ მოაქცია.

მირო კლოზე ძირითად შემადგენლობაში თამაშს ითხოვს

„ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაში ვარ, არც მონდომება მაკლია და ვარჯიშებზეც ყველაზე უკეთ გამოვიყურები. შესაბამისად, მაქვს იმის პრეტენზია, რომ „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდე. ჩემი ადგილი სკამზე არ არის!“ - უთხრა კლოზემ გუშინ „ბილდს“.

მოკლედ, დიდხანს ითმინა, თუ ცოტა ხანს, მირომ მაგიდაზე მუშტი დაარტყა და შესაბამისად, **მარიო გომესს** შეუტია, რომელსაც ვან გაალი სასტარტოში ათამაშებს ხოლმე. არადა, 25 წლის გომესი მიმდინარე სეზონში მიუხეხნური კლუბისთვის საუკეთესო ბომბარდირია 12 გოლით. თუმცა სტატისტიკას თუ ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ „ბაიერნის“ ფეხბურთელებს საგოლე მომენტების გამოუყენებლობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ ბუნდესლიგაში (62).

თუმცა მთავარს დავუბრუნდეთ: კლოზე მიუხეხნური ყოფით უკმაყოფილოა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მუნდიალის შემდეგ (კლოზემ სამხრეთ აფრიკაში 4 გოლი გაიტანა) ორი საკმაოდ მძიმე ტრავმა გადაიტანა. შესაბამისად, მისი შედეგები ამ სეზონში ასე გამოიყურება: 7 მატჩი, არცერთი გოლი. ბუნდესლიგაში მირომ ბოლოს 19 დეკემბერს, „შტუტგარტთან“ მატჩში ითამაშა (5:3 „ბაიერნის“ სასარგებლოდ), წინა კვირას კი, „ვოლფსბურგთან“ შეხვედრაში (1:1) 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

„მწვრთნელს უნდა დავუმტკიცო, რომ თამაშის ღირსი ვარ. ვან გაალს ვაჩვენებ, რომ სკამზე ჯდომის ღირსი არ ვარ!“ - ამბობს კლოზე რეკორდმაისტერის მწვრთნელის მისამართით.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კლოზეს „ბაიერნთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება და კლუბის ხელმძღვანელებთან ახალი ხელშეკრულების შესახებ ჯერ არ უსაუბრია. ერთი რამ უკვე გადაწყვეტილია: მირო მიუხეხნს იანვარში არ დატოვებს. „*ზაფხულამდე ნაღდად არსად მივდივარ, რადგან ვიცი, რომ „ბაიერნისთვის“ გოლების გატანა ჯერ კიდევ შემიძლია,*“ - ამბობს მირო.

ვნახოთ, ათამაშებს თუ არა ვან გაალი კლოზეს დღეს თავის მშობლიურ კლუბ „კაიზერსლაუტერნთან“...

● ამბები

მარსელ შმელცერი დორტმუნდის ერთგულია

შმელცერიც დარჩა!

დორტმუნდის „ბორუსიას“ მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი**, რომელიც გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა, დღეს 23 წლის გახდა და იუბილემდე ვესტფალიურ კლუბს ახალ კონტრაქტზე მოურიგდა. „კიკერის“ ინფორმაციით, შმელცერი დორტმუნდელებთან ხელშეკრულებას ორი წლით გააგრძელებს - თუკი აქამდე არსებულ კონტრაქტს ვადა 2012 წლამდე ჰქონდა, ახალი 2014-მდე იმოქმედებს.

ამრიგად, შმელცერიც „ბორუსიას“ ერთგულად რჩება. შეგახსენებთ, რომ გასული წლის მიწურულს BVB-სთან ახალი კონტრაქტები გააფორმეს **კევინ გროსკროიტცმა** და **მარიო გიოტცემ** (ასევე 2014 წლამდე). იანვრის დასაწყისში კი ახალ ხელშეკრულებაზე ხელი მეკარე **რომან ვაიდენფელერმაც** მოაწერა. დორტმუნდელთა მომდევნო მიზანი დაცვის ბურჯ **მატს ჰუმელსთან** კონტრაქტის გაგრძელებაა, რომელსაც „ბორუსიასთან“ ხელშეკრულება 2013 წლამდე აკავშირებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ შმელცერით მიუხეხნის „ბაიერნი“ და „ჰოფენჰაიმი“ იყვნენ დაინტერესებულები.

ზამერმა ჰამბურგი იუარა

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ძიუდო. ბულგარეთის მსოფლიოს თასი.

სოფიაში სამეულით

თბილისის მსოფლიოს თასის პარალელურად, ზუსტად იმავე რიცხვებში ბულგარეთის დედაქალაქი სოფია ანალოგიური რანგის შეჯიბრებას ქალთა შორის უმასპინძლებს. ვიდრე თბილისის ტურნირზე საჭიდაო ნაკრების შემადგენლობა საბოლოოდ გაირკვევა (თუმცა აქაც გადასაწყვეტი მხოლოდ ორი საკადრო საკითხია და ესეც ხვალ საბოლოოდ გახდება ცნობილი), ქალთა ნაკრების თავკაცმა **გია თენაძემ** უკვე დაასახელა სოფიაში წამსვლელთა ვინაობა. იქ ქართული სამეული იჭიდავებს: **შორენა შარაძე** (63), **ნინო ოძელაშვილი** (90) და **ირინა ლეონიძე** (+78).

როგორც თენაძე აცხადებს, მათი მიზანი ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაა, ამ ბრძოლაში კი აქცენტს დასახელებულ სამეულზე გააკეთებს. უფულობამ გარკვეული დაღი მათ წლევანდელ გეგმებსაც დაასვა და საბოლოო კალენდარი ამ დღეებში დამტკიცდება, მანამდე კი გარკვეულია, რომ სოფიის შემდეგ ჩვენები პრაღაშიც იჭიდავებენ ასევე მსოფლიოს თასზე, მერე კი ევროპის ჩემპიონატშიც გამოვლენ.

სოფიაში წამსვლელ სამეულში ყველაზე მოულოდნელი ლეონიძის გამოჩენაა. შარშან ნაკრების ხელმძღვანელობამ გუნდის გაახალგაზრდავების გადაწყვეტილება მიიღო და ძველ წევრებს შანსს ნაკლებად აძლევდნენ. მათი თქმით, აჯობებდა, აქცენტი ახალ თაობაზე გაეკეთებინათ და ტურნირებშიც ძირითადად ისინი გამოეცადათ. შარშან ასეც ხდებოდა, თუმცა წლეულს ლეონიძემ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას - წონას მიხედა და შანსიც მისცეს. ის მაღალია ანუ ბუნებრივი მონაცემი კი გააჩნია, მაგრამ მძიმეწონოსანის კვალობაზე გამხდარია, მასა არ ჰყოფნიდა, ახლა კი წონაში მოიმატა. თუმცა ფიზიკურად მას კიდევ ერთი პრობლემა გააჩნდა - აკლდა ძალისმიერი მომზადება — შტანგაზე ვარჯიში, ჰქონდა სუსტი მკლავები და ამით იჩაგრებოდა. არ ვიცი, ამ კუთხით როგორ ემზადებოდა ბოლო თვეებში, მაგრამ ნაკრების საათავეში თენაძის მოსვლის შემდეგ გუნდი სწორ გზას დაადგა და ვიმედოვნებდით, მდგომარეობა ამ მხრივაც გამოსწორდებოდა. ყოველ შემთხვევაში, თენაძემ სალიცენზიო ტურნირებში მისი ჩართვა შესაძლებლად მიიჩნია. თუმცა ამ საქმეში გუნდის მთავარ იმედად მაინც ოძელაშვილი რჩება. ის წყნეთელია, რასაც გვარიც დაემატა და მეტსახელებიც თავისთავად შეერქვა - „არსენა“ და „მათებიჭი“. ქალთა ძიუდოში მისი ყოველთვის ეიმედებოდათ, თუმცა ჯერჯერობით ყველაზე დიდ წარმატებას სპორტის მონათესავე სახეობაში - სამბოში მიაღწია, როცა შარშან შემოდგომაზე ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ის ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, თან წონასაც მიხედა - ლეონიძისგან საპირისპიროდ, ამან გვარიანად დაიკლო და 70-ს დაუბრუნდა, მოწესრიგდა და მოგვარდა მისი სავარჯიშო გრაფიკიც, ეს ყველაფერი კი მწვრთნელებს იმედით აღავსებს. სავსებით სამართლიანადაც, რადგან ოძელაშვილსაც ძალიან კარგი ფიზიკური მონაცემები გააჩნია. რაც შეეხება შარაძეს, მას შარშან საკმაოდ სტაბილური სეზონი ჰქონდა. მართალია, თანაგუნდელთა მსგავსად, უმთავრეს შეჯიბრებებში მედალი ვერც მან მოიპოვა, მაგრამ შარშან ჩვენმა ნაკრებმა მაინც თვალსაჩინო პროგრესი განიცადა. ეს უკვე აღარ იყო ის გუნდი, რომლის ყველა წევრი პირველივე წრეში აგებდა. შესაბამისად, უკვე აღარც მისი ხელმძღვანელობა ოცნებობდა თუნდაც ერთი ბრძოლის მოგებას. ეს უფროსები, თორემ ახალგაზრდები და განსაკუთრებით - ჭაბუკთა ასაკის ნაკრები ბევრად უკეთ გამოვიდა. აკი ყველაზე უმცროსებში მძიმეწონოსანმა **ელენე ქებაძემ** ანტალიაში ევროპის თასიც მოიგო, მერე კი ამ ნაკრებმა ბაქოშიც კარგად იჭიდავა. იმედია, წლევანდელი სეზონი კიდევ უფრო წარმატებული იქნება და სალიცენზიო ტურნირებში ჩართვის უფლებას სხვებიც დაიმსახურებენ.

ქალთა ნაკრები დღეისათვის დუშეთში გადის შეკრებას, სოფიაში კი 26 იანვარს გაემგზავრება. ასე ადრე იმიტომ, რომ ბულგარეთში ავტობუსით მიდიან.

ირაკლი თავაძე

● ჭადრაკი

გაივაკეს და სიმძაფრემაც იმატა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა, მედლებისთვის მებრძოლთა რიგებში კი ისევ სიმჭიდროვეა. გუშინდელმა მე-11 ტურის შედეგებმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ აუტსაიდერებს შორის მყოფი **მირანდა მიქაძე** (2362) საქართველოს ვერცხლის პრიზიორ **ნინო ხურციძეს** (2436) მოუგებდა, რომელიც 6,5 ქულით **მაია ლომინეიშვილთან** (2345) ერთად ლიდერობდა. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა ქვეყნის ჩემპიონ **სალომე მელიასთან** (2449) დაზავებით 7 ქულას მოუყარა თავი და ერთპიროვნულად დანინაურდა.

ტურნირზე შედეგიანად თამაშობს დიდოსტატი **მაკა ფურცელაძე** (2323), რომელმაც გუშინ **ნინო ბაციაშვილს** (2396) დააყრევინა ფარ-ხმალი. ჩემპიონატზე მეორე გამარჯვება იზეიმა **მერი არაბიძემ** (2315) - 72-ე სვლაზე **სოფიკო ხუხაშვილს** (2437) გააჩერებინა საათი. უშეღავათო გამოდგა **ბელა ხოტენაშვილისა** (2440) და **ნაზი პაიკიძის** (2455) დაპირისპირება. მეტოქეებმა მხოლოდ 98-ე სვლაზე მოანერეს ზავს ხელი. გამოცდილმა **სოფიკო ნიკოლაძემ** (2254) ახალგაზრდა **მარიამ დანელიას** (2254) სძლია.

სატურნირო მდგომარეობა 11 ტურის შემდეგ: **ლომინეიშვილი - 7, ხოტენაშვილი, ხურციძე - 6,5-6,5, ფურცელაძე - 6, ნიკოლაძე, მელია - 5,5-5,5, ჯავახიშვილი - 5, ხუხაშვილი, ბაციაშვილი, მიქაძე - 4,5-4,5, პაიკიძე, დანელია - 4-4, არაბიძე - 2,5 ქულა.**

დღეს პოლოსწინა მე-12 ტურში ითამაშებენ: **ლომინეიშვილი-მიქაძე, ხუხაშვილი-მელია, პაიკიძე-არაბიძე, ბაციაშვილი-ხოტენაშვილი, დანელია-ფურცელაძე, ჯავახიშვილი-ნიკოლაძე, ხურციძე ისვენებს.**

ვაჟა დანელია

მეორე ფინალისტი დღეს გაირკვევა

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატზე ეროვნული ოსტატის — **გიგა ყუფარაძის** სტარტი სენსაციური გამოდგა — პირველსავე რაუნდში მან მედლებისკენ მიმავალ გზას ჩამოაცილა ქვეყნის ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებული **მერაბ გაგუნაშვილი** (1,5:0,5), მერე 2009 წლის ჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე** დაამარცხა (2:0). ნახევარფინალში კიდევ ერთ ტიტულოვან მეტოქეს, ასევე ეროვნული ნაკრების წევრ **ლევან ფანცულაიას** დაუპირისპირდა. მართალია, სამ პარტიაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მას და პაექრობები ყაიმით დამთავრდა, მაგრამ გუშინ გამოცდილებამ თავისი გაიტანა — დიდოსტატმა ლევან ფანცულაიამ გაიმარჯვა და ფინალში გავიდა. გადამწყვეტ მატჩში თუ ვის შეხვდება, ამას დღეს შევიტყობთ: ეროვნულმა ოსტატმა **დავით ზარქუამ** (წინა ორ რაუნდში **მიხეილ მჭედლიშვილსა** და **გიორგი მარგველაშვილს** აჯობა) **ლუკა პაიჭაძესთან** ნახევარფინალის პირველსავე ტურში მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა — გუშინდელ მე-4 შეხვედრაში დამარცხდა და წონასწორობა აღდგა — 2:2. ამ წყვილში უძლიერესს დღევანდელი ტაიბრეიკები გამოავლენს: ჯერ ორი 25-წუთიანი პარტია გათამამდება, თუ საჭირო გახდება, ბლიცებსაც ჩართავენ.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

● ● ● ლიტერატურული ბიბლიოთეკა



ვახტანგ ცხადაძის

სანარდო (არა მარტო) იუმორი

ერთხელ **როინ მეტრეველი** მომიყვა. იმერული ზაფხულია, ცხელა. ჩეროში სუფრა ეწყობა. შორიახლო ნარდს აგორებენ. ერთი ლამაზი, ახოვანი, კოხტად ულვაშგადაგრეხილი კაცი თამაშობს, მაგრამ თავი ჭურისთავებისკენ გაურბის, სადაც ოცკაციანი სუფრა ეწყობა, იმ ოც კაცში თუ ვერ მოხვდი, მერე აქეთ სადღაც მზეზე დაგსვამენ. დაუბაჩარს იგებს და წესით, მთელი ყურადღება ნარდისკენ უნდა ჰქონდეს, მისი გაგორებაა და ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: რაჟდენ! აუ, დაჟდენო? წამოხტა ეს დარბაისელი კაცი, ნარდის თამაში მიატოვა და ჭურისთავებისკენ გაიქცა.

☺☺☺

საქართველოში ნარდის პირველი ჩემპიონატი, მგონი 1989 წელს, სასტუმრო „ივერიაში“ ჩატარდა და მონაწილეები იქვე ცხოვრობდნენ. ოფიციალური შეჯიბრება ხომ თავისთავად, მაგრამ საღამოობით ვესტიბიულში ისეთი თამაშები იმართებოდა, უცხოელი სტუმრები გაგიუებულები იყვნენ. მაშინ ცოტა რეჟიმული სასტუმრო იყო და უშიშროების ხალხი მეკითხებოდა, რა ხდება მანდაო. მე ვპასუხობდი, საშიშროება არ არისმეთქი.

☺☺☺

„ივერიაში“ მუშაობის პერიოდში, სასტუმროდან რომ გამოვედი, წინ ხომ დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა და, ერთი კაცი გადამეკიდა, არ ჰგავს ეს აღმაშენებელსო. ვიფიქრე, შარზეა ეს კაციმეთქი და პასუხი არ გავეცი, ერთი სული მქონდა, მანქანაში შემესწრო, მეგობრები მელოდებოდნენ. წინ არ გადამიდგა?! არ ჰგავს, ბატონო ვახტანგ, დავით აღმაშენებელსო. ვეღარ მოვითმინე და გადმოვედი მანქანიდან. როდის ნახე ბოლოს აღმაშენებელი-მეთქი, აქეთ შევუტიე. იმის მერე ის კაცი აღარ მინახავს.

☺☺☺

ტელევიზიაში ნარდზეა გადაცემა, მე და ნუგზარ ჯღუღელი საჩვენებელ პარტიას ვთამაშობთ. გადაცემა ზურა შარიას მიჰყავდა და მეკითხება, ნარდი როგორი სპორტია, ტრავმა თუ იცისო. რას ჰქვია, არ იცის-მეთქი. შეიძლება ნარდი დაგამხონ თავზე, ან კამათელი მოგხვდეს თვალში და შუშის თვალის ჩასმა დაგჭირდეს. მთლად მშვიდობიანი სპორტი არ არის, საკმაოდ სახიფათოა-მეთქი. მეტოქესთან კონტაქტში არ შედიხარ, მაგრამ... რა იცი...

☺☺☺

მეგობრები მეკითხებიან, „ივერიაში“ აღარა ხარ, რას შვრები, ალბათ გიჭირსო. როგორ გეკადრებათ, ნარდით ვირჩენ-მეთქი, ბატონო, თავს, ვპასუხობ.

☺☺☺

პაატა ბურჭულაძის მამას, ბატონ შუქურას ძალიან უყვარდა ნარდი. ღამე, ძილის წინ დავურეკე. შუქურა, ვეუბნები, შაში იაქეზე ისეთი სვლა ვისწავლე, წყალი არ გაუვა, შედი პირდაპირ, კარი არ აიღო-მეთქი. უ, შე გაფუჭებულო, შემომძახა. ერთხელ პაატამ დამირეკა, ბიჭო, დაანებე თავი ამ მამაჩემს, ღამე არ სძინავს, რას ერჩიო.

ჩაიწერა **დავით ჭელიძეს**

● სუმოს სამყარო. ჰანვუ ბაშო. 9-23 იანვარი

ყველა მაკე კოში

მას შემდეგ, რაც ჭიდაობის ამ იაპონური სახეობით ქართველებიც დაინტერესდნენ, ასეთი წარუმატებელი ბაშო არ გვახსენდება - სამივე ჩვენებური უარყოფითი ბალანსით ასრულებს ტურნირს. სულ ბოლოს **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** დანებდა, რომელმაც მონღოლ **შოტენროსთან** ნააგო. შოტენრომ შეამჩნია, რომ დაჯახების შემდეგ გაგამარუმ მეტად დაბლა დახარა თავი, კისერზე ხელი ჩამოარტყა და თავად მარცხნივ გადახტა. გაგამარუს 5-8 ბალანსი აქვს და ბოლო ორი ორთაბრძოლა ვეღარ გამოუსწორებს ბალანსს. ისე, დღეს გაგამარუს მეტოქე მისივე თანამემამულე იქნება - **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)**, რომელმაც გუშინ სულ რაღაც მეორე გამარჯვება იზეიმა ბაშოზე. მე-10 მარცხი განიცადა ბაშოზე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**.

გუშინ დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** ჩემპიონ **კოტოოშუს** აჯობა და კიდევ უფრო მიუახლოვდა იმპერატორის თასს. ჰაკუჰოს 12 მოგება აქვს, მას ერთი გამარჯვებით ჩამორჩება მე-13 მაეგაშირა **ოკინოუმი**.

XIII დღე: **ჰაკუჰო-კოტოოშუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კაიო (უვატედაშინაგე), ბარუტო-კისენოსატო (იორიტაოში), კოტოშოგიკუ-ჰომაშო (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ტამავაში (ოშიდაში), ტოკუსეგავა-კაკურიუ (იორიკირი), ტოიოოშიმა-არანი (იორიკირი), გოეიდო-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოჩინოშინი-იოშიკაძე (იორიტაოში), ასასეკირიუ-შიმოტორი (იორიკირი), კოტოკასუგა-კიოკუტენჰო (იორიკირი), შოტენრო-გაგამარუ (ჰიკიოტოში), ტაკეკაძე-კოკაი (უვატენაგე), ტოსაიუტაკა-სოკოკურაი (ცურიდაში), კიტატაიკი-ტოჩინონადა (ცუკიდაში), ტოიოძაკურა-ტოკიტენკუ (ოშიდაში), ტაკამისაკარი-კიმურაიამა (ოკურიდაში), ტოიოჰიბიკი-ვაკანოსატო (ოშიტაოში), მოკონამიმიაბიამა (უვატენაგე), ოკინოუმი-ჰაკუბა (ოშიდაში), კორიუ-ვაკაკოიუ (ოკურიდაში).**

სატურნირო მდგომარეობა

12-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), **11-2:** ოკინოუმი (მაეგაშირა 13), **10-3:** კოტოშოგიკუ (სეკივაკე), **9-4:** კოტოოშუ (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), გოეიდო (მ 5), ტოიოჰიბიკი (მ 15), ტოჩინონადა (მ 16)... **5-8:** გაგამარუ (მ 6)... **3-10:** კოკაი (მ 15)... **2-11:** ტოჩინოშინი (მ 2).

XIV დღე: ჰაკუჰო-ბარუტო, კაიო-კოტოოშუ, კოტოშოგიკუ-ჰარუმაფუჯი, ოკინოუმი-კისენოსატო, კაკურიუ-ტამავაში, ტოჩიოძანი-ჰომაშო, არანი-ამინიშიკი, ტოიოოშიმა-ტოკუსეგავა, ასასეკირიუ-იოშიკაძე, ტოჩინოშინი-გაგამარუ, გოეიდო-ტოკიტენკუ, კიოკუტენჰო-ვაკანოსატო, ჰაკუბა-ტოსაიუტაკა, ტაკეკაძე-ტოჩინონადა, კიტატაიკი-სოკოკურაი, ტაკამისაკარი-კოტოკასუგა, მიაბიამა-ტოიოძაკურა, შიმოტორი-ტაკაისუ, შოტენრო-ვაკაკოიუ, კოკაი-მოკონამი, კორიუ-ტოიოჰიბიკი, საკაიზავა-კიმურაიამა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჩოგბურთი

პირველ ჩოგანს მოუგო

ფრანგულ ანდრეზიო-ბუტეონში (25 ათასი $) წარმატებით ასპარეზობს 28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (257). მერვედფინალში მაკამ ტურნირის პირველ ჩოგანს, პოლონელ **მაგდა ლინეტეს** (176) აჯობა - 7:5, 1:6, 7:6 (3). ეს შეხვედრა 2,5 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მეოთხედფინალში ჩახნაშვილის მეტოქე ავსტრიელი **ნიკოლა ჰოფმანოვაა** (246).

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ბრძოლა წესების გარეშე

ელბრუსზე ასასვლელად ემზადებიან

თბილისის სპორტის სასახლეს არაერთი საინტერესო პაექრობისთვის უმასპინძლია, მათ შორის ორთაბრძოლებისთვის წესების გარეშე. დღეს გულშემატკივრები კიდევ ერთ ამგვარ შეჯიბრებას იხილავენ: PROFC-ის ორგანიზებით ჩვენს დედაქალაქში საერთაშორისო თანამეგობრობის თასის გათამაშების მე-12 ეტაპი გაიმართება. ხუთ-ხუთკაციანი ოთხი გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს. ნახევარფინალში მასპინძელთა „ჯეო ფაიტი“ ნალჩიკის „ელბრუსს“ შეხვდება, ფინალის მეორე საგზურისთვის კი აზერბაიჯანის „ნეფტჩი“ და პოლონეთის TEAM MMA ROCKS-ი გაარკვევენ ურთიერთობას.

გუშინ საბოლოოდ დაზუსტდა ქართველთა გუნდისა და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების შემადგენლობა. რინგზე საკუთარი გუნდის წარმატებისთვის იბრძოლებენ:

70 კგ. ოლეგ ბოგოვი (რუსეთი)-**დიმიტრი რობაქიძე** (საქართველო)

76 კგ. ალბერტ ტუმენოვი (რუსეთი)-**გოჩა სმოიანი** (საქართველო)

84 კგ. რატმირ კარაცუკოვი (რუსეთი)-**ლუხუმ ხილელიძე** (საქართველო).

93 კგ. აზრეტ შუგუშევი (რუსეთი)-**დიმიტრი ჭუმბურიძე** (საქართველო).

+93 კგ. იბრაგიმ იბრაგიმოვი (რუსეთი)-**ლადო ჩოჩიშვილი** (საქართველო)

ვაჟა დანელია

შვილები მეგი, დალი, დისშვილი გიორგი მახათაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქ. გაგრიდან დევნილი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

ნოდარ გვასალია

პანაშვიდი: 22, 23, 24, 01; 15 საათიდან. დაკრძალვა 25.01; 14 საათზე წმინდა ბარბარეს საბურთალოს ეკლესიიდან.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, გაგრის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

ნოდარ გვასალია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

● მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი

თსუ-ს ტრადიციული გასრული

ფინალი: სოხუმი VS თსუ

21 იანვარი, რუსთავი

ქიმიკოსების დარბაზი

A ჯგუფი

აგრარული-სამედიცინო 91:89 (ც 77:77)

24:16, 11:25, 18:20, 24:16, 14:12

აგრარული: ტეტელაშვილი (2ქ), ნანიტაშვილი (3ქ), სიგუა (10ქ), ჩაჩანიძე (27ქ), ხანიაშვილი (26ქ), გემაზაშვილი (10ქ), ჯავახიშვილი (5ქ), მუმლაძე (4ქ), არწივიძე (4ქ)

სამედიცინო: გულისაბედაშვილი (12ქ, 6ჩ), ჩაჩიბაია (2ქ), ი. ლეჟავა, თავართქილაძე (5ქ, 9პ), ბექაური (8ქ), ნინიაშვილი (4ქ), კეიდია (5ქ), ჭოჭუა (15ქ, 6პ), დვალიშვილი (21ქ, 7მ), თენიეშვილი (17ქ, 8მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, კ. კუპატაძე

კომისარი: გ. სანაძე

შსს-თსუ 77:82

17:16, 20:23, 17:17, 23:26

შსს: ლაფანაშვილი (6ქ), ბ. ლეჟავა (30ქ), ნიკოლაძე (2ქ), კოტონი (8ქ), მარკოიშვილი (2ქ), ტუჯანი (8ქ, 12მ), ბარბაქაძე (6ქ), იმნაძე (2ქ), წივნივაძე (13ქ, 5მ, 6პ), ტომარაძე.

თსუ: გაფრინდაშვილი (12ქ, 8მ, 8პ), კოხრეიძე (7ქ, 8მ, 3ჩ), ლონდარიძე (14ქ, 3ჩ), კორკოტაძე (20ქ), ჩიტაშვილი (5ქ), მათიაშვილი (9ქ, 17მ, 3 დ), მ. ბერიშვილი (15ქ, 8მ, 4პ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: რ. ხომერიკი

	თ	მ	წ	სხ	ქ
1. თსუ	3	3	0	267:224	6
2. შსს	3	2	1	259:196	5
3. აგრარული	3	1	2	233:282	4
4. სამედიცინო	3	0	3	213:265	3

B ჯგუფი

დინამო-სტუ 62:68

21:10, 14:23, 18:13, 9:22

დინამო: ივანეიშვილი (3ქ), ეძგვერაძე (13ქ), პატარაია (10ქ), თვბური (7ქ), გლუნჩაძე, ბალიკიანი, ალხანაიძე (1ქ), თავამაიშვილი (21ქ, 7მ), გულდედავა (2ქ), ჩაველაშვილი (5ქ).

სტუ: ჭოხონელიძე, ვ. ბერუაშვილი (11ქ, 12მ), ჩიკვილაძე (11ქ), გასიტაშვილი (4ქ), მაჩალაძე (2ქ) თევზაძე, კობიძე (8ქ, 12მ), ჯანგველაძე (14ქ), ლაშქარაძე (7ქ), ძიძიგური (4ქ), ახალკაცი (7ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: გ. სანაძე

ენერჯი-სოხუმი 57:84

10:21, 7:24, 20:20, 20:19

ენერჯი: **მაჭავარიანი (2ქ), ბერუაშვილი, მებურინეანი, აბაიშვილი (18ქ), გუგავა (4ქ), ზედელაშვილი (10ქ); ლამუ (9ქ, 11მ), თვარაძე, გ. არაბული (12ქ), ობგაიძე.**

სოხუმი: **ფარღალავა (23ქ), ჰარისი (9ქ, 5ჩ), ჩლაიძე (4ქ), კვეტენაძე (4ქ), შანიძე (13ქ, 10მ), სორდია (9ქ), კანკია (5ქ), კოპალიანი (2ქ), რ. დამუსი (7ქ, 1მ), ანთაძე (9ქ, 8მ), კვარაცხელია.**

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: რ. გელოვანი

	თ	მ	წ	სხ	ქ
1. სოხუმი	3	3	0	279:195	6
2. ენერჯი	3	2	1	207:201	5
3. სტუ	3	1	2	227:242	4
4. დინამო	3	0	3	168:233	3

თსუ ტრადიციას არ ღალატობს - ფავორიტებს ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებს. შეიძლება, ვინმემ იკითხოს: ნუთუ, თსუ არ მოიხსენიებოდა მემორიალის ფავორიტთა შორის? საქმე ისაა, რომ უშუალოდ შსს-თსუ-ს დაპირისპირებაში ფავორიტები ძალოვნები იყვნენ: სტუდენტებს გუშინ ტრავმების გამო აკლდათ ორი წამყვანი კალათბურთელი **მიხეილ ფანჩულიძე** და **გიორგი მარხვაშვილი.** შესაბამისად, ორი კარგი მოთამაშითა და ერთი მწვრთნელით გაძლიერებული შსს-ს წინააღმდეგ მხოლოდ შვიდმა სტუდენტმა ითამაშა. თუმცა, **ნუგზარ ჭეიშვილის** გაწვრთნილმა გუნდმა გმირულად იბრძოლა და ძალოვნებს დრამატული მატჩი მოუგო. სტუდენტებმა უდიდესი მონდომების, ერთსულოვნებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე იმარჯვეს.

პირველ ნინადადებაში სიტყვა „ტრადიცია“ შემთხვევით არ გვიხსენებია: თსუ-მ შარშან საქართველოს თასის მეოთხედფინალიდან შსს (82:80) გამოთიშა, ხოლო ნახევარფინალში „ენერჯის“ აჯობა (84:75), თუმცა ფინალში **გიორგი ცინცაძით** გაძლიერებულ „აგრარულთან“ დათმო. თსუ-მ თასზე შარშანწინაც სენსაცია „გამოაცხო“ - ნახევარფინალში მანამდე უძლეველი „ენერჯი“ დაამარცხა, მაგრამ იმ შემთხვევაშიც ფინალში დათმო. ფავორიტად შერაცხულ თსუ-ს მიერ ძლევის კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება...

რაც შეეხება ქორქია-საკანდელიძის მემორიალს, ამ შეჯიბრებას წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება - ტურნირი აქამდე არც თსუ-ს მოუგია და არც „სოხუმს“.

■ ■ ■

მართალია, ჯერ თსუ-სა და შსს-ს მატჩზე მოგითხრეთ, მაგრამ ფინალის საგზური პირველმა „სოხუმმა“ მოიპოვა. სოხუმელთა და რუსთაველთა მატჩში წინასწარ შეიძლებოდა გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა: „ენერჯი“ სუპერლიგის პირველი წრის შემდეგ საგრძნობლად დასუსტდა და ახალგაზრდებით ცდილობს ფონს გასვლას. **მიხეილ ბერუაშვილის** გუნდმა სანყის ორ ტურში გაიმარჯვა, თუმცა გუშინ შედარებით გამოცდილ „სოხუმთან“ ვერას გახდა.

ყველაფერი, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში გადანყდა, რომელიც სოხუმელებმა 45:17 მოიგეს. სტუმართა შორის შესანიშნავად თამაშობდა **ლაშა ფარღალავა,** რომელმაც წინა ტურის მატჩი („დინამოსთან“) გამოტოვა და დასვენებულმა რუსთაველებს დიდი პრობლემები შეუქმნა. ფარღალავა სამქულიანებსაც აგდებდა და თანაგუნდელებს პასებითაც კარგად ამარაგებდა...

■ ■ ■

მართალია, ფინალში მოხვედრის შანსი აღარ ჰქონდათ „სამედიცინოსა“ და „აგრარულს“, მაგრამ მოტივაცია მაინც საკმარისი შერრათ - 2011 წელს პირველი გამარჯვების წყურვილით სტუდენტები ერთმანეთს თავიდანვე მედგრად შეებნენ. როგორ თანაბრადაც დაიწყო შეხვედრა, ისევე დასრულდა - 77:77.

„აგრარულის“ რუსთაველ გამთამაშებელ **დავით არწივიძეს** ძირითად დროშივე შეეძლო თანაგუნდელთათვის მოგების მოტანა, მაგრამ საფინალო სირენამდე 1 წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე დამდგარმა 2-დან მხოლოდ 1 ტყორცნა გამოიყენა, ანგარიში გათანაბრდა და დამატებითი დრო დაინიშნა.

ოვერტაიმის პირველივე წუთზე „აგრარულმა“ სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. მედიკოსებმა არასპორტული და ტექნიკური შენიშვნები მიიღეს, **სიგუამ** ოთხივე საჯარიმო ჩააგდო, რასაც **ჩაჩანიძემ** ზუსტი სამქულიანი მოაყოლა და აგრარული უნივერსიტეტის გუნდი 8 ქულით დანინაურდა. მედიკოსებს ყველაზე სარგებლიანი მოთამაშე **დვალიშვილი** საჯარიმოების ლიმიტის ამონურვის გამო გამოაკლდათ, ხოლო დამატებით დროში ანალოგიური მიზეზის გამო **ჭოჭუაც** გავარდა.

„აგრარულის“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს რევაზ ჩაჩანიძემ (16 ქულა) და **გიორგი ხანიაშვილმა** (26).

■ ■ ■

მიუხედავად ფინანსური შეჭირვებისა, უხელფასოდ მოთამაშე დინამოელები ყველა მატჩში ბოლომდე იბრძვიან. მათ ეს ყველაზე კარგად გუშინ გამოუვიდათ - სტუ-სთან თავიდანვე მოიპოვეს 11-ქულიანი ფორა (21:10).

მეორე მეოთხედში ტექნიკოსებმა თამაში გამოასწორეს და ჩამორჩენა 2 ქულამდე დაიყვანეს. მესამე ათწუთეულიდან **თეიმურაზ თავამაიშვილის** აქტიურობით „დინამომ“ ინიციატივა კვლავ ხელთ იგდო და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 7 ქულით დანინაურდა. თუმცა სტუ-მ არ დაანება და გუნდური თამაშის წყალობით ბოლო ათწუთეულში 22:9 იმარჯვა, რითაც საბოლოოდ სასურველ შედეგს მიაღწია - 68:62.

ქორქია-საკანდელიძის ფინალი კვირას 16 საათზე რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზში გაიმართება.

● ლეგიონერები

გისენის სენი

ზედიზედ მეცამეტედ

ლაშა გამყრელიძის გერმანული კლუბი „გისენი“ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ მიინევს. გისენელებმა ზედიზედ მე-13 მატჩი წააგეს, ამჯერად სტუმრად „ბრაუნშვაიგთან“ - 75:87.

მასპინძლებმა შეხვედრის ბედი სანყის სამ პერიოდში გადაწყვიტეს და მეოთხეში „გისენს“ თავისუფლად თამაშის უფლება მისცეს. ბოლო ათწუთეულში სტუმრებმა 24:14 მოიგეს, თუმცა 12-ქულიან მარცხს თავი მაინც ვერ დააღნიეს.

„გისენის“ ახალგაზრდა მწვრთნელი, **ვლადიმირ ბოგოიევიჩი** (1976 წელსაა დაბადებული), მდგომარეობის გამოსწორებას ათასგვარი ხერხით ცდილობს. თავიდან ამბობდა, ტრავმირებული **სმიტი** რომ დაგვიბრუნდება, მაშინ გვეშველებაო, მაგრამ ხსნა არც სმიტში აღმოჩნდა. ბოლო ორი მატჩია მწვრთნელი ქართველ გამთამაშებელს უნდობლობას უცხადებს - ლაშა წინა შეხვედრის მსგავსად, „ბრაუნშვაიგთანაც“ 6 წუთი ათამაშა (2 პასი, 1 ფოლი, 1 შეცდომა). „გისენის“ თავკაცს, ალბათ, ავიწყდება, რომ სეზონის სტარტზე 5 მატჩის მოგებაში (დღემდე 5 გამარჯვება აქვს) გამყრელიძეს დიდი წვლილი მიუძღვის, 10-12 ქულას აგდებდა და 6-6 პასს ასრულებდა...

დღევანდელი მონაცემებით, „გისენი“ ცხრილში მე-16 ადგილზეა (5 გამარჯვება, 15 წაგება), გასავარდნ ზონაში მყოფ ორეულს ერთი მოგებით უსწრებს. თუ გისენელებმა თამაში არ გამოასწორეს, ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდებათ.

ცინცაძე გუნდშიც პირველია და ცხრილშიც

ბალტიისლიგაზე ლიტვური „რუდუპისის“ წინააღმდეგ მატჩის წინა დღეს „ტარტუ როკის“ მწვრთნელმა **ინდრიკ ვესპაანუმ** შეგირდები სათითაოდ დაახასიათა. ზოგს კომპლიმენტი უძღვნა, ზოგზე თქვა - მეტს ველოდიო... ამ უკანასკნელთა რიცხვში მოხვდა ქართველი გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე.** ცხადია, ესტონურ გაზეთებში გამოქვეყნებულ მწვრთნელის ნააზრევს გიორგიც გაეცნობოდა და „რუდუპისთან“ ისე ითამაშა, რომ ვესპაანუ საკუთარი სიტყვების სისწორეზე დააფიქრა. „ბუ“ (ცინცაძის მეტსახელი) 22 წუთში 18 ქულით „როკის“ ბომბარდირი გახდა, თითქმის უშეცდომოდ ისროლა - 7-დან 5 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო. ამასთან, ოქმში გიორგის გასწვრივ 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 2 პასი, 2 შეცდომა და 3 ფოლი ჩაიწერა. იგი თანაგუნდელთა შორის მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვითაც (20) საუკეთესო იყო.

ბუს ეფექტური თამაში მეტად იმიტომაც დაფასდა, რომ მისმა გუნდმა ტარტუში ლიტველები დაამარცხა. პირველ ტაიმში სწორედ ცინცაძის სიზუსტის წყალობით (საწყის 20 წუთში 12 ქულა ჩააგდო) „ტარტუ როკმა“ 10-ქულიანი ფორა დაიბევა - 40:30.

ესტონელებმა სტუმრებს თამაშის ხალისი მესამე პერიოდში დაუკარგეს, რომლის ბოლოსაც 25 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ (65:40). საფინალო სირენამ „ტარტუს“ დამაჯერებელი გამარჯვება დააფიქსირა - 86:62.

დასაწყისში უნდა გვეთქვა, რომ პრიენაის „რუდუპისი“ ბალტიის ლიგის სათავეში „როკთან“ ერთად იდგა, ურთიერთშეხვედრამდე ორივეს 10-10 მოგება ჰქონდა, თუმცა გუშინდელი მატჩის შემდეგ „როკერები“ ერთპიროვნულად ვალიდერდნენ - 11 გამარჯვება, 5 მარცხი. ცინცაძის გუნდი ბალტიის ლიგაზე 5 თებერვლამდე დაისვენებს, მანამ ესტონეთის ჩემპიონატში შეეცდება პირველობის განმტკიცებას. შიდა ასპარეზზე ტარტუელები დღეს (შაბათს) „რაპლასთან“ სტუმრად ითამაშებენ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

რა კაცი დაემშვიდობა ფეხბურთს

სირცხვილი და თავის მოჭრა: სულ არ ვიცოდით, **რენე იგიტა** აქამდე თუ თამაშობდა ფეხბურთს. თურმე, მშობლიურ კოლუმბიაში, „დეპორტივო პერეირას“ კარს იცავდა. სულ რაღაც ერთი თვის წინათ გამოაცხადა, ხელთათმანები ლურსმანზე უნდა ჩამოვკიდოო. აი, ასე, 43 წლის დაემშვიდობა საფეხბურთო მოედანს გოლკიპერი, რომელსაც კარიერის განმავლობაში 57 გოლი აქვს... გატანილი. მათგან 8 კოლუმბიის ნაკრების შემადგენლობაში.

რატომ ახსოვს იგიტა მსოფლიოს? რატომ ეღიმება ყველას, როდესაც მის სახელს ახსენებენ? „მორიელის დარტყმის გამო“. მას მეტსახელად „მორიელების მეფეც“ კი უწოდეს. სტაჟიან გულშემატკივარს ამ ეფექტურ სისულელეს რა დაავიწყებდა: კარში დარტყმულ ბურთს მეკარე არ იჭერს, ელოდება, რომ თავზე გადააფრინდეს, მერე კი წინ ხტება და უკნიდან აქნეული ტყუპი ქუსლით იგერიებს. ეს ილეთი კოლუმბიელმა 1995 წელს „უემბლიზე“, ინგლისის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისასაც შეასრულა - **ჯეიმი რედნაპს** არ გაატანინა.

კიდევ, იგიტამ ერთი ძალიან ცნობილი სისულელე გააკეთა: 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, კამერუნთან შეხვედრის დამატებით დროში. როდესაც ანგარიში 0:0 იყო, იგიტამ კამერუნელ ვარსკვლავ **როჟერ მილას** თავის ნახევარზე ფინტით გაბრუება მოუნდომა, მან კი ბურთი ნაართვა და დაუცველ კარში შეაგდო. ის თამაში კამერუნმა 2:1 მოიგო. კოლუმბია შეჯიბრებიდან გავარდა. იგიტა მოედანს გარეთაც „გამორჩეული“ კაცი იყო. 1993 წელს ადამიანის გატაცებაში მონაწილეობდა, 2004 წელს კი ორგანიზმში კოკაინი აღმოუჩინეს.

აი, ასეთი კაცი დაემშვიდობა ფეხბურთს...



1968 წელი. მეხიკო (მექსიკა). XIX ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი

თურმე...

ნაპოლეონ ბონაპარტეს ეშინოდა ცხენების (ჰიპოფობია), აგრეთვე თეთრი ფერის (ლეიკოფობია). სასაცილოა, რომ ზოგიერთი მხატვარი მას თეთრ ცხენზე ამხედრებულს ხატავს. მის თავლაში არასოდეს ყოფილა თეთრი ცხენი.

თანამედროვე შტანგა გამოიგონა ფრანგმა პროფესორმა **დესბონემ** მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. მისი იდეის საფუძველზე იგი დაამზადა ვინმე **განემ.** იმავე პერიოდში პარიზსა და ბრიუსელში გაიხსნა ძალოსნობის სკოლები. ძალოსნობის პირველი ასოციაცია კი ჩამოყალიბდა გერმანიაში 1880 წელს.

1643 წელს ჩინეთში გამოცემულა ვანგ იუნ-ჩანგის ილუსტრირებული წიგნი ფეხბურთის მსგავსი თამაშის (ციუ ჩიუ) შესახებ.

ვინ რა თქვა...

პლატინი იყო ფეხბურთელი, რომელიც თავისი თამაშით ადამიანს იშვიათ სიამოვნებას ანიჭებდა. ცხოვრებაში არსებობს საუცხოო მომენტები, მაგრამ ისინი საუცხოოა და ამიტომ იშვიათი.

სიდიადე კი უიშვიათესი ნიჭია. ამ ნიჭით პლატინი იყო დაჯილდოებული.

მაიკლ ჰედერსონი,
„გარდიანი“

არ ვიცი, რომელი ფეხბურთია უკეთესი, უბრალოდ, კარგი ფეხბურთი მიყვარს. გაცილებით ოლია ფეხბურთელს ტაქტიკა და ინდივიდუალური ოსტატობა შეასწავლო, ვიდრე მათი ხასიათი გამოაწრთო და მებრძოლი თვისებები შესძინო. დემოკრატიით მწვრთნელი ვერაფერს მიაღწევს. ფეხბურთელების აზრი ნაკლებად მაინტერესებს, მხოლოდ რამდენიმე გამოცდილ მოთამაშეს თუ მოვუსმენ.

როი ჰოჯსონი,
„ფულჰემის“ და „ლივერპულის“ ყოფილი თავკაცი

მასალები მოამზადა **გიორგი ფულარიანმა**

თარიღი. 22-28 იანვარი

22.01.1920 წ. დაიბადა **ალფ რამსეი** — ფეხბურთი, მწვრთნელი (ინგლისი).
22.01.1973 წ. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ფრე გაუქმდა (დაწესდა მატჩისშემდგომი პენალტები).
23.01.1879 წ. აშშ-ში დაარსდა მშვილდოსანთა ეროვნული ასოციაცია.
24.01.1961 წ. დაიბადა **გვიდო ბუხვალდი** — ფეხბურთი (გერმანია).
25.01.1924 წ. საფრანგეთის ქ. შამონში გაიხსნა ზამთრის I ოლიმპიური თამაშები.
26.01.2007 წ. უეფას პრეზიდენტად აირჩიეს **მიშელ პლატინი.**
26.01.1956 წ. კორტინა დ'ამპეცოში (იტალია) გაიხსნა ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები.
27.01.1904 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია).
28.01. 1942 წ. დაიბადა **დინო ძოფი** — ფეხბურთი, მეკარე (იტალია).
28.01.1944 წ. დაიბადა **ზეპ მაიერი** — ფეხბურთი, მეკარე (გერმანია)

ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

1. წყალბურთის სამშობლოა...
ა - უნგრეთი
ბ - იტალია
გ - ინგლისი

2. თავდაპირველად ხელბურთს თამაშობდნენ
ა - მხოლოდ გოგონები
ბ - მხოლოდ ქალები
გ - მხოლოდ მამაკაცები

3. მძლეოსნობა ოლიმპიურ პროგრამაში პირველი თამაშებიდანვე (1896) შედის. იყო თუ არა საერთაშორისო ფედერაციის თანხმობა?
ა - იყო
ბ - არ ყოფილა
გ - მაშინ ეს ფედერაცია არც არსებობდა

4. დაასახელეთ სპორტის სახეობა, რომელშიაც მონაწილეობის უფლება 1948 წლამდე ოლიმპიურ თამაშებში ჰქონდათ მხოლოდ სპორტსმენ ოფიცრებს.
ა - თანამედროვე ხუთჭიდი
ბ - ცხენოსნობა
გ - ველოსპორტი

5. სპორტის რომელ სახეობაში გახდა 8-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი რეი იური?
ა - ცურვაში
ბ - აფროსნობაში
გ - ძალოსნობაში

პასუხები მომდევნო ნომერში

პირველი, პირველმა, პირველად

პირველი სერიოზული ტიტული, რომელიც **ჟოზე მოურინიომ** თავის სამწვრთნელო კარიერაში მოიპოვა, იყო ჩემპიონთა ლიგა. მან ეს უპრესტიჟულესი ტურნირი „პორტოს“ თავკაცის რანგში მოიგო 2004 წელს.

პირველმა ფეხბურთელთა შორის „ოქროს ბურთი“ **სტენლი მეტიუზმა** მიიღო. ეს პატივი მას 1956 წელს ხვდა წილად.

პირველად ლონდონის „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ებრაელმა მწვრთნელმა **ავრაამ გრანტმა** გაიყვანა, თუმცა მოსკოვის „ლუჟნიკებზე“ გამართულ პაექრობაში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხდა თერთმეტმეტრიანებში - 6:5.

ღვთისავარ ანთაძის კუთხე

ფეხბურთი ახლო ხედით

თავისუფალი დარტყმა

თავისუფალი დარტყმა არის მინდორზე უძრავ მდგომარეობაში მყოფ ბურთზე დარტყმა მსაჯის მიერ მონიშნული ადგილიდან. მას მსაჯი ნიშნავს მაშინ, როდესაც ავჯარიმებს გუნდს და იმ მოთამაშეს, რომელმაც თამაშის ტექნიკური წესები დაარღვია. საჯარიმო დარტყმით გუნდს უშუალოდ შეუძლია გაიტანოს ბურთი მონინააღმდეგის კარში, თავისუფალი დარტყმის შემდეგ კი ბურთი გატანილად ჩაითვლება, თუკი მას რომელიმე სხვა მოთამაშე შეეხება. თავისუფალი დარტყმა სრულდება იმ ადგილიდან, სადაც მსაჯი მიუთითებს. წესით, ეს ის ადგილია, სადაც დარღვევა მოხდა, მაგრამ გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც მოთამაშე არასწორად შემოვიდა.

მსაჯს შეუძლია ინდივიდუალურადაც დასაჯოს ფეხბურთელი, თავისუფალ დარტყმასთან ერთად. თავისუფალი დარტყმის დროს ჩვეულებრივ მოქმედებს თამაშგარე მდგომარეობის წესი. თავისუფალი დარტყმის დროს მონინააღმდეგე მოთამაშეები უნდა იდგნენ ბურთიდან 9,1 მეტრ მანძილზე.

თავისუფალი დარტყმა მსაჯმა შეიძლება დანიშნოს იმ დროსაც, როდესაც მოთამაშე შეუფერებლად მოიქცევა თანაგუნდელის მიმართაც. ასევე, თამაშგარე მდგომარეობის და არასპორტული საქციელის დროსაც. ამ დროს მსაჯმა ხელი მაღლა უნდა ასნიოს დარტყმის შესრულებამდე.

თავსატეხი „ანთა“. მეჩვიდმეტე ამოცანა

„ანთა“ ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A									6-2	9	I
B									4-1	4	II
C									2-4	2	III
D									2-7	1	IV

წინა ამოცანის პასუხი

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A		1:0	5:3	2:0	3	3	0	0	8-3	9	I
B	0:1		2:0	1:0	3	2	0	1	3-1	6	II
C	3:5	0:2		0:0	3	0	1	2	3-7	1	III
D	0:2	0:1	0:0		3	0	1	2	0-3	1	IV

გვერდი მოამზადეგულია **თენგიზ თომაშვილის** პროექტით

კროსვორდი



თარაზულად: 1. გამოჩენილი ამერიკელი მოკრივე, რომელმაც დაუმარცხებელმა დატოვა პროფესიული რინგი; 4. სსრკ-ში ჩამოყალიბებული საბრძოლო ხელოვნება; 8. "რეინჯერსის" ქალაქი; 9. ლეგენდარული ვეტერანი უკრაინელი ფალავანი; 11. საჭადრაკო რეიტინგების სისტემის ავტორი; 12. რომლის საფეხბურთო კლუბია "შინიკის" ქალაქი; 13. ზოგიერთ სპორტულ თამაშში თავდასხმის ერთ-ერთი ტექნიკური ილეთი; 15. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ... რაულ კუპერი; 16. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, რომელსაც 2009 წელს თემურ ქეცბაია ნვრთნიდა; 22. სპორტის სახეობა – ჭიდაობა წყალქვეშ; 23. "მილანის" ცენტრალური მცველი; 24. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 26. გამოჩენილი რუსი მწვრთნელი ფიგურულ ციგურაობაში; 29. ლეგენდარული პარაგვაელი ფეხბურთელი; 30. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, მეტსახელად "აირნინაღი"; 32. ჭადრაკში მსოფლიოს ერთადერთი ჩემპიონი, რომელიც დაუმარცხებელი გარდაიცვალა; 33. ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი 1900 წელს.

შვეულად: 1. ჭიდაობის ფანდი – მონინააღმდეგის თეძოზე გადმოგდება; 2. საფეხბურთო კლუბ "დეპორტივოს" სტადიონის სახელწოდება; 3. ლეგენდარული ჩეხი ჰოკისტი; 5. პორტუგალიელი ფეხბურთელი, მცველი; 6. ჩოგბურთის ინვენტარის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 7. აზერბაიჯანის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 10. "რივერ პლეიტის" გულშემატკივართა კერპის, ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლის მეტსახელი; 14. ორნინჩბიანი სპორტული ნავი; 17. ბასკების ეროვნული სპორტის სახეობა; 18. ყაზახეთის საფეხბურთო კლუბი; 19. პელეს "მშობლიური" კლუბი; 20. ყოფილი ფრანგი ფეხბურთელი; 21. ჩოგბურთელ საბატინის სახელი; 25. "სელტიკის" ლეგენდარული მწვრთნელი, რომელიც კლუბს 43 წლის განმავლობაში ნვრთნიდა; 27. განის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი, მეტსახელად პელე; 28. დროის ნახევარი ფეხბურთის მატჩში; 31. ფიფას პრეზიდენტი ... ბლატერი.

პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

ლეგიონერები

ორი პლეი ოფშია, სამი იბრძვის

ევროთასების გათამაშების ჯგუფური ტურნირი დღეს დასრულდება. ქართველ მორაგებთა გუნდებიდან პლეი ოფში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს „ტულონმა“ და „ბრივმა“. დანარჩენ ოთხს კი ბოლო ტურის წინ, მეტ-ნაკლები შანსი ჰქონდათ.

ბოლო ტური „ემლინ ჩელენჯ კაპზე“ **ბექა შეყლაშვილის** „აჟენის“ მატჩით გაიხსნა. ჩვენებურის გუნდმა, რომელიც E ჯგუფში ასპარეზობს, სტუმრად ითამაშა ინგლისურ „გლოსტერთან“ და დიდი ანგარიშით დამარცხდა - 7:60. აჟენელებმა საბოლოოდ 15 ქულა დააგროვეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ. შეყლაშვილმა სრულად ითამაშა.

ჯგუფში პირველი ადგილი მეორე ფრანგულმა კლუბმა „ლა როშელმა“ დაიკავა, რომელმაც ბოლო ტურში შინ გაანადგურა აუტსაიდერი იტალიური „როვიგო“ - 71:17.

E ჯგუფი

გლოსტერი-აჟენი 60:7, ლა როშელი-როვიგო 71:17

საბურნირო მდგომარეობა

ლა როშელი - 24 ქულა, გლოსტერი - 21, აჟენი - 15, როვიგო - 0.

B ჯგუფში პირველი ადგილი და მეოთხედფინალის საგზური ერთი ტურით ადრე გაინაღდა **დავით ზირაქაშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა“. ჩვენებურთა გუნდმა 23 ქულა დააგროვა და მეორეადგილოსან ინგლისურ „სეილ შარქსს“ შვიდი ქულით უსწრებს. ბრიველები ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშებიან იტალიურ „პადოვას“. მატჩს არანაირი სატურნირო ღირებულება არ გააჩნია და „ბრივი“, სავარაუდოდ, იტალიაში სათადარიგო გუნდით წარდგება.

ამავე ჯგუფში „სეილ შარქსი“ სტუმრად ეთამაშება ესპანურ „ელ სალვადორს“ და, სავარაუდოდ, დიდი ანგარიშით დაამარცხებს, რითაც საშუალება მიეცემა საუკეთესო მეორე ადგილი დაიკავოს.

B ჯგუფი

პადოვა-ბრივი, ელ სალვადორი-სეილ შარქსი

საბურნირო მდგომარეობა

1. ბრივი - 23 ქულა, 2. სეილ შარქსი - 16, 3. პადოვა - 5, 4. ელ სალვადორი - 4.

C ჯგუფში ლიდერი **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეა“. ჩვენებურთა გუნდი, რომელიც ნლეუულს ყველა ფრონტზე წარმატებით ასპარეზობს, ბოლო ტურში უშუალო კონკურენტს, ინგლისურ „ექსეტერს“ შინ ეთამაშება.

„მონპელიეს“ 17 ქულა აქვს და მეტოქეს ორი ქულით უსწრებს. მონპელიელებს პლეი ოფში გასასვლელად ფრეც ჰყოფნით. ჩხაიძე და შველიძე სათადარიგოთა შორის არიან, გორგოძე, ჟღენტი და ნარიაშვილი არ ითამაშებენ.



გოდერძი შველიძე

ამავე ჯგუფში უშანსოდაა დარჩენილი მესამეადგილოსანი ინგლისური „ნიუკასლი“, რომელიც სტუმრად ეთამაშება ფრანგულ „ბურგუენს“.

C ჯგუფი

მონპელიე-ექსეტერი, ბურგუენი-ნიუკასლი

საბურნირო მდგომარეობა

მონპელიე - 17 ქულა, ექსეტერი - 15, ნიუკასლი - 9, ბურგუენი - 6.

ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში, როგორც უკვე ვთქვით, პლეი ოფის საგზური **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“ მოიპოვა. ტულონელებმა პირველი ადგილი საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში დაიმსახურეს. ხუთი მატჩიდან ოთხი მოგება და ერთი ნაგება დიდოსტატური შედეგია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუბრიაშვილი და კომპანია თასისთვის ბრძოლაში წარმატებას მიაღწევენ.

„ტულონი“ ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება უელსურ „ოსფრიზს“, რომელსაც ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსი აქვს. ქუბრიაშვილი განაცხადში არ არის.

ამავე ჯგუფში მეორე ადგილისთვის იბრძვის ირლანდიური „მანსტერიც“, რომელიც შინ დაუპირისპირდება ინგლისურ „ლონდონ აირიშს“.

C ჯგუფი

მანსტერი-ლონდონ აირიში, ოსფრიზი-ტულონი

საბურნირო მდგომარეობა

ტულონი - 17 ქულა, მანსტერი - 11, ოსფრიზი - 10, ლონდონ აირიში - 9.

A ჯგუფში ინგლისური „ნორსჰემპთონი“ მეტოქეთაგან მიუწვდომელია. ინგლისელებმა 21 ქულა დააგროვეს და პლეი ოფის საგზური ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მოიპოვეს. „ნორსჰემპთონი“ ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს“, რომელმაც 11 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზეა.

კასტრელები მოგების შემთხვევაში მეორე ადგილს განიმტკიცებენ, თუმცა ეს, შესაძლოა, პლეი ოფში მოხვედრისთვის საკმარისი არ აღმოჩნდეს. ფეიქრიშვილი და გიორგაძე სათადარიგოთა შორის არიან.

მეორე ადგილის დაკავების შანსი აქვს უელსურ „კარდიფ ბლუზსაც“, რომელიც „კასტრს“ ერთი ქულით ჩამორჩება და ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება უმოტივაციო შოტლანდიურ „ედინბურგს“.

A ჯგუფი

კასტრი-ნორსჰემპთონი, ედინბურგი-კარდიფ ბლუზი

საბურნირო მდგომარეობა

ნორსჰემპთონი - 21 ქულა, კასტრი - 11, კარდიფი - 10, ედინბურგი - 7.

B ჯგუფში პლეი ოფში გასვლის ყველაზე უკეთესი შანსი ირლანდიურ „ლენსტერს“ აქვს, რომელიც 19 ქულით პირველ ადგილზეა და სტუმრად უმოტივაციო პარიზულ „მეტრო რასინგს“ ეთამაშება. ამ ჯგუფში 14 ქულით მეორეადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“. „ჯულკანები“ ბოლო ტურში სტუმრად დაუპირისპირდებიან ინგლისურ „სარასენზს“, რომელიც 6 ქულით ბოლო ადგილზეა.

მოვლენათა სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში „კლერმონს“ პირველი ადგილის დაკავებაც შეუძლია. თუმცა ადვილი შესაძლებელია, როგორც საუკეთესო მეორეადგილოსანი, პლეი ოფში მაინც გავიდეს. ზირაქაშვილი განაცხადში არ არის.

B ჯგუფი

მეტრო რასინგი-ლენსტერი, სარასენზი-კლერმონი

საბურნირო მდგომარეობა

ლენსტერი - 19 ქულა, კლერმონი - 14, მეტრო რასინგი - 9, სარასენზი - 6.

ბექა შეყლაშვილი

22 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

1922 წელი

უელსის ნაკრებმა კარდიფში „არმს პარკზე“ ინგლისის ეროვნული გუნდი გაანადგურა - 28:6. მასპინძლებმა მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს. „პომების“ შემადგენლობაში ითამაშა ლეგენდარულმა **ვეველ ვეკეფილდმა**, თუმცა „მფრინავ“ უელსელებს ვერაფერი დაუპირისპირა.

1933 წელი

უელსის ნაკრებმა „თვიქნემზე“ პირველად დაამარცხა ინგლისის ეროვნული გუნდი - 7:3. მატჩის გმირი გარემარბი **რონი ბუნი** გახდა, რომელმაც ერთი ლელო და ერთიც არეკნი მიითვალა. ეროვნული ნაკრების კვართით, ეს მისი ბოლოსწინა მატჩი იყო.

1950 წელი

უელსის ნაკრებმა „პომებს“ სტუმრად სძლია 11:5 და 39-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად შეასრულა დიდი სლემი. უელსელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა **ლუის ჯოუნზს,** რომელმაც იმავე წელს „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში სამჯერ ითამაშა.

1956 წელი

მაიკ სმითმა პირველად და უკანასკნელად ითამაშა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მგეზავის პოზიციაზე. „პომებმა“ იმ დღეს შინ წააგეს უელსის ეროვნულ გუნდთან - 3:8. სმითმა, მოგვიანებით, სახელი გაითქვა როგორც უბადლო მოკრიკეტემ. ის ერთადერთი ინგლისელია, რომელსაც როგორც მორაგებთა, ისე მოკრიკეტეთა ნაკრებშიც უთამაშია.

მაიკ სმითმა ინგლისის კრიკეტის ნაკრებში 50 შეხვედრა გამართა და ყველასათვის შიხაბაში - იყო. - ხშირი ტრავმების მიუხედავად, ის უკან არაფერზე იხევდა და მეტოქეს ბოლომდე თავდადებით ებრძოდა.

1961 წელი

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა სტუმრად, „მერიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებს მოუგო - 12:5. „ბოკემ“ ზედიზედ მეოთხედ შეასრულა დიდი სლემი. სამხრეთაფრიკელებმა ჯერ უელსის ნაკრებს მოუგეს - 3:0, მერე „სამყურები“ დაამარცხეს - 8:3. შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან მატჩამდე კი „პომებს“ სძლიეს - 5:0.

„სკოტებთან“ მატჩში გაიბრწყინა „ბოკეს“ ლეგენდარულმა რვა ნომერმა **დაგ ჰოპვუდმა**, რომელმაც ერთი ლელო დადო.

1978 წელი

შოტლანდიის ნაკრებმა დუბლინში, ირლანდიის ეროვნულ გუნდთან 9:12 წააგო. მატჩი დრამატული გამოდგა, „სკოტების“ კაპიტანმა, ქომაგთა ნებიერამ **დაგი მორგანმა** მატჩის ბოლო წუთზე საჯარიმო ვერ გაიტანა. არადა, იქამდე მორგანი უზადო ფეხჩუბინობით გამოირჩეოდა.

2009 წელი

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა „ბრიტანელ ლომებთან“ მატჩის წინ ეროვნული ნაკრების კვართის დიზაინის შეცვლის შესახებ განაცხადა. კავშირის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ემბლემა, რომელზეც ქურციკია გამოსახული, კვართზე მარცხნიდან მარჯვნივ გადაიტანეს. მისი ადგილი კი სამხრეთ აფრიკის ეროვნული სპორტის ემბლემამ დაიკავა.

დაგ ჰოპვუდი

მეტოქეები

რუსებმა ქენთერბერისაც აჯობეს

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, რუსეთის ეროვნულმა გუნდმა ახალ ზელანდიაში გამართული საწვრთნელი შეკრება სამხრეთ ქენთერბერის გუნდთან მატჩით დასრულა. რუსთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც ორი ქართველი მორაგბე, **კარლო მაღლაკელიძე** და **ვალერი ცნობილაძე** თამაშობდა, მეტოქე 31:7 დამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ერთა თასის პირველ ტურში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები 5 თებერვალს სტუმრად ითამაშებენ ესპანეთის ნაკრებთან. „ბორჯღალოსნები“ კი რუსებს 19 მარტს სოჭში დაუპირისპირდებიან.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ანდრეი ოსტროუმკო

განცხადება

30 იანვარს, 13 საათზე სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართება საქართველოს რაგბის კავშირის ნლიური საანგარიშო ყრილობა.

msy.gov.ge

● ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲐ. TOP 16. II ᲢᲣᲠᲘ

E ᲯᲒᲣᲤᲘ

ლ. რიტასი-პანათინაიკოსი 59:80

21:18, 12:11, 8:24, 18:27

ლ-რ: ბიელიცა (11+8 მოხსნა), ელ ამინი (10+3 ჩაჭრა), ბაირამოვიჩი (10).

პ: ბატისტი (26), კაიმაკოგლუ (16+9 მოხსნა), ცარცარისი (12), ნიკოლასი (10).

უნიკახა-კ. ლაბორალი 71:76

19:21, 16:20, 18:17, 18:18

უ: ფრილენდი (16+7 მოხსნა), ხიმენესი (13+7 მოხსნა), ბლეკნი (13+4 პასი), ბლანკო (11+5 მოხსნა).

კ-ლ: უერტასი (19+4 პასი), სან ემეტერიო (14), ტელეტოვიჩი (13+8 მოხსნა), ლოგანი (11), ბატისტა (10+14 მოხსნა+4 პასი).

F ᲯᲒᲣᲤᲘ

ბარსელონა-მაკაბი 81:71

21:16, 20:21, 22:16, 18:18

ბ: ნავარო (24+5 პასი), ანდერსონი (16), პეროვიჩი (12+6 მოხსნა), მორისი (11+3 ჩაჭრა), ვასკესი (10).

მ: პერკინსი (13+8 მოხსნა), ჰენდრიქსი (13), შორცანიდისი (12+6 მოხსნა).

რომა-ოლიმპია 63:64

19:18, 16:15, 14:14, 14:17

რ: დაშიჩი (18+11 მოხსნა), ჯედოვიჩი (10+7 მოხსნა).

ო: გრეგორი (19+14 მოხსნა), ოზბოლტი (16).

G ᲯᲒᲣᲤᲘ

ეფესი-მონტეპასკი 60:58

18:17, 11:10, 18:13, 13:18

ე: რაკოჩევიჩი (17), ტორნტონი (12+9 მოხსნა).

მ: რაკოვიჩი (16+8 მოხსნა), კაუკენასი (12), ცისისი (9+5 მოხსნა+5 პასი).

რეალი-პარტიზანი 78:58

17:18, 26:9, 15:13, 20:18

რ: ლული (21+4 პასი), ტაკერი (18).

პ: ჯერელსი (12+4 პასი), ჯავაი (12+5 მოხსნა), ვესელი (11), გისტი (9+9 მოხსნა).

H ᲯᲒᲣᲤᲘ

ვალენსია-ვალგირისი 73:59

20:21, 19:10, 15:19, 19:9

ვ: სავანოვიჩი (20), კლავერი (14+3 ჩაჭრა).

ჟ: პოჩიუსი (9), იანკუნასი (8), უოტსონი (8+5 მოხსნა).

ოლიმპიაკოსი-ფენერბაჰჩე 70:84

18:16, 15:17, 25:22, 12:29

ო: პაპალუკასი (15+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სპანულისი (14+4 პასი), ერცეგი (10).

ფ: ტომასი (19), უკიჩი (17+4 პასი+3 ჩაჭრა), ონანი (14).

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲐᲛ მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშედ ლიუბლიანის „ოლიმპიას“ მცველი **კენი გრეგორი** დაასახელა. „რომასთან“ სტუმრად მოგებულ მატჩში (64:63) ამერიკელმა ბოლო წამებზე ორი საჯარიმო გამოიყენა და თავის გუნდს გაამარჯვებინა. სულ გრეგორის ანგარიშზე 19 ქულა, 14 მოხსნა, 2 შედეგიანი პასი და 1 ჩაჭრა მოდის. გარდა ამისა, მეტოქე კალათბურთელები მასზე 5-ჯერ დაჯარიმდნენ. საბოლოოდ, კენის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 30 ქულა შეადგინა.

პირველი ტურის საუკეთესო კალათბურთელებში მოხვდნენ: **ბუტსი ტორნტონი** („ეფესი“), **ხუან კარლოს ნავარო** („ბარსელონა“), **მაიკ ბატისტი** („პანათინაიკოსი“) და **მარსელინიო უერტასი** („კახა ლაბორალი“).

● ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲘᲕᲔᲠᲡᲝᲜᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲙᲔᲗᲔᲑᲡ

თურქეთის „ბეშიქთაშის“ მცველ **ალენ აივერსონს** ოპერაციას 26 იანვარს გაუკეთებენ. ამერიკელ კალათბურთელს მარჯვენა ფეხზე სიმსივნეს მოაშორებენ, რომელიც მას თამაშში ხელს უშლიდა.

NBA-ის ყოფილი ვარსკვლავის მენეჯერი **გერი მური** ამტკიცებს, რომ მისი კლიენტი არ აპირებს უახლოეს მომავალში პროფესიული კარიერის დასრულებას და გამოჯანმრთელებისთანავე დაბრუნდება თურქეთში კარიერის გასაგრძელებლად.

ᲙᲔᲛᲑᲘ ᲡᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ცენტრმა **მარკუს კემბიმ** წარმატებით გადაიტანა ოპერაცია მარცხენა ფეხზე და სამი კვირა მოუნევს კალათბურთისგან დასვენება. არადა, ექიმები თავდაპირველად ოთხკვირიან პაუზას ვარაუდობდნენ. ამის შესახებ კალათბურთელმა „ტვიტერზე“ დანერა.

ამ სეზონში კემბიმ 39 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 6 ქულა, 11.3 მოხსნა და 1.9 დაფარება დააგროვა.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲝᲚ ᲡᲢᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

თეგერვალში NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში „ყველა ვარსკვლავის უქმეების“ გამო პაუზაა დაგეგმილი. სწორედ ამ პერიოდში ლიგის ხელმძღვანელობა და მოთამაშეთა პროფკავშირი კიდევ ერთხელ შეეცდებიან კონსენსუსის მიღწევას ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ.

NBA-ის პრესოფიცერმა **ტიმ ფრენკმა** განაცხადა, რომ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი 18-20 თებერვალს ლოს ანჯელესში შედგება. შეგახსენებთ, რომ მოქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებას 30 ივნისს ეწურება ვადა და თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ლიგას გაფიცვა ემუქრება.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲑᲣᲠᲗᲖᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ

ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა ორი ცნობილი ველომრბოლი არ დაუშვეს 2011 წელს ფრანგულ ველომარათონში. მათ ლიცენზია არ მისცეს ველოჯგუფ Geox-ს, რომლის რიგებში ირიცხებიან ჯირო დ'იტალიასა და ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონები - რუსი **დენის მენშოვი** და ესპანელი **კარლოს სასტრე**.

თუმცა ამ ველომრბოლებს ჯერ კიდევ შეუძლიათ ტურ დე ფრანსზე გამოსვლა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ისინი სხვა გუნდში გადავლენ, ოღონდ ამისთვის Geox-სთან კონტრაქტებში სპეციალური პუნქტი უნდა იყოს შეტანილი.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ (EHF) საკლუბო ხელბურთის ფორუმს (ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო არენაზე კლუბების ინტერესებს იცავს) ევროთასების განვითარების პროექტი წარუდგინა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჩემპიონთა ლიგის პოპულარიზაციისთვის უდიდესი სამუშაო ჩატარდა და ახლა სხვა ტურნირების რეფორმის დრო დადგა.

2012-13 წლების სეზონიდან აპირებენ EHF-ის თასისა და თასების თასის გაერთიანებას (საფეხბურთო ევროპის ლიგის მსგავსად). ახალი ტურნირი ჯგუფური ეტაპისგან, პლეი ოფის რაუნდისგან და „ოთხთა ფინალისგან“ იქნება შემდგარი.

რაც შეეხება გამონვევის თასს, ეს ტურნირი დღევანდელი სახით დარჩება და ისევ დაბალი რანგის კლუბებს მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას.

NBA. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘᲐ


ერიკ გორდონი

არასტაბილურ თამაშს აგრძელებს „დალას მავერიქსი“. ორი დღის წინ საკუთარ მოედანზე „ლეიკერსის“ დამარცხების შემდეგ „კოვბოებმა“ აღმოსავლური ტურნე დაიწყეს და სტუმრად „ჩიკაგოს“ ეწვივნენ. „დალასმა“ გუშინ არა „ხარებთან“, არამედ უშუალოდ **დერიკ როუზთან** წააგეს. **კარლოს ბუზერის** არყოფნაში „ჩიკაგოს“ შეტევა ერთი მსახიობის თეატრს დაემსგავსა, სადაც მთავარი როლი „ბულზის“ გამთამაშებელს ეკუთვნოდა. საკმარისია იმის თქმა, რომ როუზი თავის გუნდში ერთადერთი იყო, ვინც ათქულიანი ზღვარი გადალახა.

„დალასი“ ბოლომდე იბრძოდა. ამ გუნდის ლიდერ **დირკ ნოვიცკის** პარტნიორებისგან უფრო მეტი დახმარება ჰქონდა, ვიდრე როუზს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატების მისაღწევად. „მავერიქსს“ შეეძლო ამ მატჩის გადარჩენა, თუმცა **ჯეისონ ტერიმ** საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე სამქულიანი ააცილა და შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა.

ასევე სულ მცირედი არ ეყო „ფილადელფიას“. „სიქსერზმა“ გუშინ „შარლოტის“ შეტევებს ვერ გაუძლო. თითქმის მთელი დრო მოედანზე თანაბარი თამაში მიდიოდა, მაგრამ ამასთან, „ბობკეტსი“ მუდმივად ინარჩუნებდა ანგარიშში მცირე უპირატესობას. „შარლოტის“ რიგებში მოულოდნელად მთავარი დამრტყმელი ძალა გახდა **დი ჯეი ოგუსტინი** - 31 ქულით ის ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. მიმდინარე სეზონში „შარლოტის“ დაცემის ერთ-ერთ მიზეზად **რეიმონდ ფელტონის** „ნიუ იორკში“ გაშვებასა და აქცენტის ოგუსტინზე გადატანას მიიჩნევდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში დი ჯეი ამტკიცებს თავის კლასს. სხვა საქმეა, რომ ამ კალათბურთელს ჯერ სტაბილურობა აკლია.

რაც შეეხება „ფილადელფიას“, მატჩის ბოლოს მან მინიმუმ ოვერტაიმის შანსი გაუშვა ხელიდან და ამაში დამნაშავე **ანდრე იგუოდალა** იყო. საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე, 91:94-ზე „სიქსერზის“ ლიდერმა სამი ჯარიმის უფლება მიიღო, პირველი ორი ჩააგდო, მესამე ააცილა და ამის შემდეგ სტუმრები მეტოქეს ვეღარ დაეწიენ.

დღის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი კი **ერიკ გორდონი** გახდა. „კლიპერსის“ მცველმა „პორტლენდთან“ მატჩში ზუსტი სამქულიანების რაოდენობით პირადი რეკორდი დაამყარა - მან 11-დან 7 შორეული ტყორცნა გამოიყენა, სულ თამაშიდან 13-ჯერ (26-დან) ჩააგდო და 35 ქულა დააგროვა. თუმცა ვერც მისმა შედეგიანობამ და ვერც **ბლეიკ გრიფინის** მორიგმა ფანტასტიკურმა ორმაგმა დუბლმა ვერ უშველა „კლიპერსს“. საფინალო სირენამდე 4 წუთითა და 39 წამით ადრე კალიფორნიელებმა 9:2 გაქცევა მოაწყვეს და სამ ქულამდე შეამცირეს სხვაობა (89:92), მაგრამ შემდეგ „პორტლენდის“ საფინიშო სპურტი გამოეპარათ (16:4). ასე შეწყდა „კლიპერსის“ სამმატჩიანი მოგებათა სერია, „ბლეიზერსმა“ კი ზედიზედ მეოთხედ მოიგო.

შარლოტი-ფილადელფია 100:97

30:27, 26:23, 18:18, 26:29

შ: ოგუსტინი (31+8 პასი), მუჰამედი (15+7 მოხსნა), ჯექსონი (14), ჰენდერსონი (11).

ფ: იანგი (21+6 მოხსნა), იგუოდალა (19+5 მოხსნა+5 პასი), ჰოლიდეი (13+7 პასი), ბრენდი (12+10 მოხსნა), უილიამსი (11+6 პასი).

ჩიკაგო-დალასი 82:77

19:20, 25:15, 12:25, 26:17

ჩ: როუზი (26+9 პასი+7 მოხსნა), ტომასი (9+11 მოხსნა), დენგი (7+12 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (19), ჩენდლერი (12+12 მოხსნა), სტივენსონი (12), ტერი (12).

პორტლენდი-კლიპერსი 108:93

23:27, 32:23, 29:21, 24:22

პ: ოლდრიჯი (28+8 მოხსნა), მეტიუზი (28+5 პასი), ფერნანდესი (17), მილერი (15+8 მოხსნა+7 პასი), ბატუმი (10).

კ: გორდონი (35+5 მოხსნა), გრიფინი (20+18 მოხსნა), დევისი (16+6 პასი).

ᲞᲔᲭᲐ ᲓᲐᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ

„ტორონტო რეპტორზის“ სერბი ფორვარდი **პეჯა სტოიაკოვიჩი** „დალას მავერიქსში“ გააგრძელებს კარიერას. კანადურმა კლუბმა გადაწყვიტა გამოისყიდოს ევროპელი ლეგიონერის კონტრაქტი, რაც სტოიაკოვიჩს თავისუფალი აგენტის სტატუსით ნებისმიერ კლუბში გადასვლის საშუალებას მისცემს.

საბოლოოდ, „ტორონტო“ ასეც მოიქცა და სტოიაკოვიჩმა მაშინვე ზეპირი თანხმობა განაცხადა „დალასში“ გადასვლაზე. „მავერიქსმა“ სერბისთვის ადგილის გასათავისუფლებლად „რეპტორზში“ თავისი მეოთხე ცენტრი, ფრანგი **ალექსის აჯინკა** გაუშვა.

სერბისთვის ეს კარიერის განვითარების საუკეთესო ვარიანტია - „ტორონტოსგან“ კომპენსაციის სახით 15 მილიონი დოლარი მიიღო და გადავიდა ერთ-ერთი ფავორიტის შემადგენლობაში, რომელიც ტრავმირებული **კერონ ბატლერის** შემცვლელს ეძებდა.

სტოიაკოვიჩი NBA-ში მე-13 სეზონს ატარებს და მართალია, ბოლო ხუთი წელია ტრავმები აწუხებს, მაინც 40 პროცენტი სიზუსტით ისვრის სამქულიანებს, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია ლიგის ისტორიაში.

■ ■ ■

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, „ნიუ ჯერსი ნეტსმა“ თავი ვერ მოაბა „დენვერ ნაგეტსის“ ლიდერ **კარმელო ენტონის** ტრანსფერის საკითხს. ამის შემდეგ NBA-ის ვარსკვლავს ახალი პრეტენდენტები გამოუჩნდნენ.

პეჯა სტოიაკოვიჩი

რამდენიმე ამერიკულმა გამოცემამ დაწერა, რომ „ჩიკაგო ბულზი“ ისევე დაინტერესდა კარმელოთი. ილინოისური კლუბი ერთხელ უკვე განიხილავდა ენტონის ტრეიდის საკითხს, მაგრამ „დენვერმა“ მაშინ **ჟოაკიმ ნოა** მოითხოვა, ამაზე კი „ხარების“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა.

ვნახოთ, ამჯერად ვის შესთავაზებს „ჩიკაგო“ ენტონის საანცვლოდ.

ᲙᲝᲑᲘ ᲐᲜᲢᲘᲠᲔᲙᲝᲠᲓᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ


კობი ბრაიანტი

საინტერესოგამოკვლევა ჩაატარა ESPN-ის ჟურნალისტმა ჯონ ჰოლინგერმა. ის წერს: *„სავარაუდოდ, კობი 2013-14 წლების სეზონში ლეგენდარული ბოსტონელის ჯონ ჰავლიჩეკის რეკორდს დაამხობს. თუმცა ეს ის რეკორდი არ არის, რომლითაც კალათბურთელმა უნდა იამაყოს. საქმე ეხება თამაშიდან აცილებულ ტყორცნებს.*

სტატისტიკის მიხედვით, ბრაიანტი სეზონში საშუალოდ 866 ტყორცნას აცილებს. ჰავლიჩეკის რეკორდამდე მას 2204 გაფუჭებული სროლა აშორებს და ახალი რეკორდი უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში უნდა შედგეს.

მაგრამ ამ თითქოსდა არასასიამოვნო რეკორდსაც აქვს თავისი ხიბლი. „ლეიკერსის“ ლიდერი პირველი იქნება ასოციაციის ისტორიაში შესრულებული ტყორცნების რაოდენობით, ასეთი რამ კი მხოლოდ უდიდეს კალათბურთელებს შეუძლიათ“.

კობი ბრაიანტი სხვა მხრივაც იქნება პირველი. ის გახდება ისტორიაში პირველი სპორტსმენი, ვინც ჰოლივუდის სახელგანთქმულ ბულვარზე თავის ნაკვალევს დატოვებს. ამით ბრაიანტი შეუერთდება მსოფლიო კინემატოგრაფიის ვარსკვლავებს - **მერილინ მონროს, ჯონ უეინს, ჰარისონ ფორდს, ბრედ პიტს, უილ სმიტსა** და სხვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მომენტისთვის ბრაიანტი რეჟისორ **რობერტ როდრიგესის** ახალ მოკლემეტრაჟიან ფილმში მონაწილეობს. *„ასეთი ვარსკვლავების გვერდით ყოფნა უდიდესი პატივია, - ამბობს ბრაიანტი. - ვამაყობ იმით, რომ პირველი სპორტსმენი გავხდები, ვინც აქ თავის კვალს დატოვებს“.*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ევგენი ნაბოკოვი

დეტროიტმა მეკარე იპოვა

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთმა ფავორიტმა „დეტროიტ რედ უინგზმა“ მეკარის პრობლემა მოაგვარა. ამერიკულმა კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა 35 წლის რუს გოლკიპერ **ევგენი ნაბოკოვთან**, რომელმაც დაახლოებით ერთი თვის წინ გაწყვიტა ხელშეკრულება სანკტ-პეტერბურგის სკა-სთან და თავისუფალი აგენტი გახდა. ახალ კლუბში ნაბოკოვის ხელფასი 570 ათასი დოლარი იქნება.

თუმცა რუსის „დეტროიტში“ თამაში ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ნაბოკოვს ე. წ. „უეივერის“ პროცედურის გავლა მოუწევს, როცა მეკარეს ტრანსფერზე დააყენებენ და თუ სხვა გუნდი არ მოისურვებს რუსის აყვანას, „დეტროიტთან“ კონტრაქტი ძალაში შევა.

ბუნებრივია, ასეთი დონის მეკარის ასეთ დაბალ ფასში შეძენას არაერთი კლუბი მოისურვებს, ამიტომაც „დეტროიტმა“ ფანდი იხმარა. ამ კლუბის მენეჯმენტი მოილაპარაკა „ნიუ ჯერსის“: „ეშმაკები“ პირველები აიყვანენ ნაბოკოვს (ეს უფლება მათ ლიგის ბოლო გუნდის სტატუსის მიხედვით აქვთ), შემდეგ კი გაუცვლიან „დეტროიტს“ რომელიმე ახალგაზრდა ჰოკეისტში ან დრაფტზე სასურველი მოთამაშის არჩევანის უფლებაში.

■ ■ ■

სერიოზული დანაკლისი განიცადა პლეი ოფის საგზურისთვის მებრძოლმა „კოლორადო ეველანშმა“. ამ გუნდმა სეზონის ბოლომდე დაკარგა ჩეხი ფორვარდი **ტომაშ ფლიშმანი**. 26 წლის ჰოკეისტს ბოლო დროს სუნთქვის პრობლემები შეექმნა და ექიმებმა მოთამაშეს ფილტვის თრომბი დაუდგინეს. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში უახლოეს თვეებში მოედანზე დაბრუნება გამორიცხულია.

კლუბმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ფლიშმანი მიმდინარე ჩემპიონატში არ ითამაშებს.

ფლიშმანმა წლევანდელი სეზონი „ვაშინგტონში“ დაიწყო, შემდეგ კი ტრეიდის მეშვეობით „კოლორადოში“ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქურ კლუბში მან 23 მატჩში მხოლოდ 10 ქულა დააგროვა, „კოლორადოში“ გადასვლის შემდეგ კი 22 შეხვედრაში 21 ქულა (8 შაიბა+13 შედეგიანი პასი) მიითვალა.

ვანკუვერი-სან ხოსე 1:2 (ბ)

1:0, 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ჰ. სედინი-10 (დ. სედინი-33, ჰამჰუისი-11), 1:1 კუტური-21.

ბულიტები გაიტანეს: პაველსკი (სან ხოსე).

ლოს ანჯელესი-ფინიქსი 0:2

0:0, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 ჰანდალი-10 (რეი უიტნი-24, იენდლი-31), 0:2 სტემპნიაკი-12.

კაროლინა-რენინჯერსი 4:1

2:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 ლაროზი-10 (სკინერი-22, ტ. რუუტუ-26), 2:0 ი. იოკინენი-12 (კორვო-16, ტ. რუუტუ-27), 3:0 სატერი-8 (სამსონოვი-12), 3:1 პრუსტი-6 (კოლარიკი-1, მაკდონაპი-1), 4:1 სკინერი-17 (ლაროზი-10).

ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 2:0

2:0, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 როლსტონი-4 (ელიაში-23, გრინი-14), 2:0 პალმიერი-3.

ატლანტა-ვაშინგტონი 1:2

0:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ჩიმერა-7 (ოვეჩკინი-31, ბექსტრიომი-32), 0:2 ბექსტრიომი-12 (ოვეჩკინი-32, ჯ. კარლსონი-15), 1:2 გრაბნერი-12 (ბეილი-9).

ფილადელფია-ოტავა 6:2

2:0, 1:2, 3:0

გოლები: 1:0 ბრიერი-25 (მეზაროში-15, ო'დონელი-10), 2:0 მ. რიჩარდსი-16 (ქობურნი-9, ნოდლი-9), 3:0 მ. რიჩარდსი-17 (პრონგერი-12, ტ. ჰეინონენი-22), 3:1 მიხალეკი-11 (ი. რუუტუ-7), 3:2 ფოლინო-8 (ფიშერი-8, ალფერდსონი-14), 4:2 ბარტნეკი-16 (ბრიერი-18, ლეონი-25), 5:2 ვან რიმსდიკი-11 (მ. რიჩარდსი-26, პრონგერი-13), 6:2 მეზაროში-3 (ტორუ-23, მ. რიჩარდსი-27).

ბორნოსბო-ანაჰაიმი 5:2

1:1, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 სექსტონი-3 (ვიშნოვსკი-32, ბელესკი-7), 1:1 მაკარბური-15 (კეფელი-13, ბოჟაკი-12), 1:2 მაკმილანი-5 (ლუპული-7), 2:2 გუნარსონი-3 (მაკარბური-24), 3:2 ბოჟაკი-8 (კეფელი-14, ფანოფი-8), 4:2 გრაბოვსკი-19, 5:2 გრაბოვსკი-20 (მაკარბური-25).

სტ. ლუისი-დეტროიტი 3:4 (ო)

0:1, 1:2, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 ივანი-13 (ზეტერბერგი-36), 0:2 ბერტუჩი-8 (ფილპულა-17, ჰუდლერი-11), 0:3 კინდლი-1 (ფილპულა-18, ჰუდლერი-12), 1:3 ოში-2 (ბერგლუნდი-16, პოლაკი-3), 2:3 ბერგლუნდი-10 (სობოტკა-16, პიეტრანჯელო-17), 3:3 ბეკსი-15 (ბოიესი-13, სტინი-19), 3:4 ჰელმი-5 (ჰუდლერი-13, კრონვალი-15).

კოლორადო-ნეშვილი 1:5

0:2, 0:0, 1:3

გოლები: 0:1 ს. კოსტიცინი-12 (ერატი-14, გოკი-12), 0:2 ფრანსონი-6 (ჰორნკკისტი-12, ლეგვანდი-11), 0:3 ჰალიშუკი-1 (ო'ბრინი-6, დუმონი-8), 0:4 ლეგვანდი-6 (ჰორნკკისტი-13, ფრანსონი-11), 0:5 კ. უილსონი-12 (მ. უებერი-21, კლაინი-10), 1:5 დუშენი-19 (შატენკირკი-17, ს. სტიუარტი-15).

ედმონტონი-დალასი 2:4

1:1, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 ბენი-13 (ბარიში-3, რობიდასი-19), 1:1 რ. ჯონსი-11 (კოლიანო-11), 1:2 რიბეირო-10 (გროსმანი-7), 1:3 ნილი-19 (ბენი-19), 2:3 პეტრი-1 (მმიდი-6, პაიარვი-12), 2:4 ბარიში-6.

ბოსტონი-ბაფალო 2:4

1:0, 1:2, 0:2

გოლები: 1:0 საიდენბერგი-4 (მ. სტიუარტი-3, სავარი-8), 1:1 მაკორმიკი-7 (ტიმ კონოლი-14, ენისი-13), 2:1 გ. კემპბელი-7 (მ. ტორნტონი-5, ველერი-12), 2:2 გერბე-3 (მიერსი-13, ენისი-14), 2:3 ვანეკი-18, 2:4 პომინვიდი-10 (ვანეკი-21, ჰეხტი-11).

ანაჰაიმი-ბანფალო 2:3 (ბ)

1:1, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ბერგფორსი-10 (მეიერი-1, დეიგსი-1), 1:1 სტემკოსი-36, 2:1 ე. სტიუარტი-11 (ანტროპოვი-16, სოპელი-5), 2:2 სტემკოსი-37 (დაუნი-16, კუბინა-15).

ბულიტები გაიტანეს: ლიტლი (ატლანტა), ა. ჰოლი (ტამპა ბეი), მური (ტამპა ბეი).

ჩემპიონთა ლიგას აღადგენენ

გუშინ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ ავსტრიის, ბელარუსის, ჩეხეთის, ფინეთის, გერმანიის, რუსეთის, სლოვაკეთის, შვეიცარიისა და შვედეთის ეროვნულ ფედერაციებს, ლიგებსა და კლუბებს ჩემპიონთა ლიგის ახალი პროექტი წარუდგინა. ამ ტურნირის აღდგენა 2011-12 წლების სეზონშია ნავარაუდები.

პროექტის თანახმად, ტურნირში მონაწილეობას 16 გუნდი მიიღებს. პირველი სამი წლის განმავლობაში განახლებულ ჩემპიონთა ლიგაში 17.6 მილიონი შვეიცარიული ფრანკი იქნება ინვესტირებული. კლუბებმა 17 თებერვლამდე უნდა მისცენ დასტური ფედერაციას. თუ პროექტი დამტკიცდა, ტურნირი 2011 წლის ოქტომბერში აიღებს სტარტს, „ოთხთა ფინალი“ კი 2012 წლის იანვარში გაიმართება.

ბოლოს ჩემპიონთა ლიგა 2008-09 წლების სეზონში გათამაშდა. გამარჯვებული გახდა შვეიცარიის „ციურიხი“

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

აზიის თასი

1/4 ფინალი

იაპონია-კატარი	3:2
უზბეკეთი-იორდანია	2:1

ამხანაგური მაჩაჩები

ლილესტრიომი-ჰიონეფოსი	1:1
გრასჰოპერსი-ტიროლი	0:2
სიონი-სტრიომსგოდსეტი	1:0
სკივე-ოლბორგი	0:4
იანგ ბოიზი-ლეხი	2:1
კრისტიანსუნდი-მიოლდე	3:4
კონგსვინგერი-ჰამ კამი	2:2
სტარტი-ჰალმსტადი	2:0

ინგლისი

II ლიგა

საუთენდი-ბერი	1:1

იტალია

სერია B

ლივორნო-ალბინოლეფე	1:2

ესპანეთი

II დივიზიონი

ხერესი-ელჩე	0:0

გერმანია

ჰამბურგი-აინტრახტი	1:0

II ბუნდესლიგა

ინგოლშტადტი-დუისბურგი	1:1
ოსნაბრიუკი-მიუნხენი	0:1
პადერბორნი-აუბსბურგი	1:1

საფრანგეთის თასი

1/16 ფინალი

სოშო-პარიზი	2:1

პოლანდია

დენ ჰაგი-ჰერენვეენი	3:1

II დივიზიონი

როსენდაალი-ვოლენდამი	0:2
ომნივორლდი-ვაალვიკი	1:3
ემენი-სპარტა	2:1
დენ ბოში-ვეენდამი	1:2
დორდრეჰტი-ფორტუნა	3:0
ეინდჰოვენი-ტელსტარი	1:0
ცვოლე-აპელდოორნი	4:0
მაასტრიხტი-იგლზი	4:3

ბელგია

ეუპენი-ბრიუგე	1:4

პორტუგალია

II დივიზიონი

ლეიძსოეში-ფეირენსე	2:1

თურქეთი

ბეშიძთაში-ბუკა	5:1

უელსი

ბალა-ეგერისტვიტი	2:3
ჰავერფორდ.-პორტ ტელბ.	გადაიდო
ნიუთაუნი-ეირბასი	გადაიდო

ჩრ. ირლანდია

ნიური-დუნგანონი	გადაიდო

ავსტრალია

ადელაიდა-ნ. ძუინსლენდი	8:1

კალათბურთი

საფრანგეთი

გრაველენი-ლიმოჟი	87:73
პო ორტეზი-პარიზი	103:70
რანი-ლე მანი	90:76

პოკეი

კალ

ავანგარდი-აკ ბარსი	4:3 (ო)
ბარისი-ნეფტიხიმიკი	1:2
იუგრა-ავტომობილისტი	6:2
ლოკომოტივი-მეტალურგი (ნ)	3:2
სევერსტალი-მეტალურგი (მ)	4:3 (ო)
სკა-ტრაქტორი	3:4
ტორპედო-სიბირი	4:3
ატლანტა-ამური	5:3
სპარტაკი-ს. იულიაევი	1:3

ავსტრია

ზაგრები-კლაგენფურტი	3:4 (ბ)
ვილახი-ზალცბურგი	4:5
გრაცი-აკრონი	2:0
ლინცი-ალბა	2:1 (ბ)
ოლიმპია-ვენა	0:4

გერმანია

აისბარენი-კიოლნი	3:2 (ბ)
აუგსბურგი-ინგოლშტადტი	4:6
კრეფელდი-ანაჰაიმი	0:1 (ბ)
მიუნხენი-იზერლონი	0:4
ნიურნბერგი-ჰანოვერი	5:2
შტრაუბინგი-ვოლფსბურგი	0:2
ჰამბურგი-დიუსელდორფი	6:3

დანია

როდოვრე-ჰვიდოვრე	3:0
ოდენსე-ჰერნინგი	2:6
ოლბორგი-ფრედრიკშავნი	3:2
სონდერიისკი-ესბერგი	1:0

სლოვაკეთი

ჟილინა-ბისტრიცა	1:6
ზვოლენი-ტრენჩინი	5:1
ნიტრა-სკალიცა	3:4 (ო)
სლოვანი-კოშიცე	4:1
პოპრადი-მარტინი	4:2

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი	4:2
კლადნო-ტრშინეეცი	4:6
ბოლესლავი-ბუდეიოვიცე	3:2
პარდუბიცე-ლიტვინოვი	4:2
ბრნო-ჟლინი	2:4
სპარტა-სლავია	3:0

შვეიცარია

ლანგნაუ-კლოტენი	1:2
სერვეტი-ცუბი	3:4 (ბ)
ლუგანო-ამბრი	2:4

● TV ჰროგრამა

22 იანვარი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

18:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი (LIVE).
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი (LIVE).
23:45 იტალიის ჩემპიონატი. რომა-კალიარი (LIVE).

მზე

14:30 იმედის ფსონი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-შალკე (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ლევანტე (LIVE).
23:40 იტალიის ჩემპიონატი. რომა-კალიარი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
14:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კიტცხბუელი. ავსტრია (LIVE).
15:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 15 კმ. ოტეპპა. ესტონეთი (LIVE).
18:25 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. შო-ნიოვი. საფრანგეთი (LIVE).
19:20 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS 134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
23:10 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. შვედეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე. მელბურნი (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი (LIVE).
21:10 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. შვედეთი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალაგა (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).

HTB-პლუსი (კლასიკა)

21:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ვერდერი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

17:55 რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-სპარტაკი (LIVE).
07:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-გოლდენ სტეიტი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

11:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე. მელბურნი (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).

SPORT+

13:10 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. 10 კმ. ოტეპპა. ესტონეთი (LIVE).
15:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. 15 კმ. ოტეპპა. ესტონეთი (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შტუტგარტი (LIVE).
20:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ბრეშა (LIVE).
00:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ბოსტონი (LIVE).

EUROSPORT

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე. მელბურნი (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კიტცხბუელი. ავსტრია (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. ანტოლეცი. იტალია (LIVE).
18:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მას-სტარტი. კაცები. ანტოლეცი. იტალია (LIVE).
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS 134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).

EUROSPORT-2

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე. მელბურნი (LIVE).
13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
14:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე. მელბურნი (LIVE).
16:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. შო-ნიოვი. საფრანგეთი (LIVE).
17:00 სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სნოუბორდკროსი. ფინალი. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
18:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. შო-ნიოვი. საფრანგეთი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. აზიის თასი. 1/4 ფინალი. ირანი-ს. კორეა. კატარი (LIVE).
00:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
01:30 ექსტრემალური სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ზამთრის სახეობები. I დღე. კილინგტონი. აშშ (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).

23 იანვარი. კვირა

GMG-ფეხბურთი

15:30 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ინტერი (LIVE).
18:00 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-იუვენტუსი (LIVE).
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სოსიედადი (LIVE).

მზე

14:30 იმედის ფსონი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

15:25 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ინტერი (LIVE).
17:25 პოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-ტვენტე (LIVE).
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სოსიედადი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
14:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
15:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. შო-ნიოვი. საფრანგეთი (LIVE).
16:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
17:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. შო-ნიოვი. საფრანგეთი (LIVE).
18:50 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS 134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
21:10 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. შვედეთი (LIVE).
03:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL. პლეი ოფი. AFC-ის კონფერენციის ფინალი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ლევერკუზენი (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-სანკტ პაული (LIVE).
00:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL. პლეი ოფი. NFC-ის კონფერენციის ფინალი (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).

HTB-პლუსი (კლასიკა)

23:10 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. შვედეთი (LIVE).
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

11:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).

SPORT+

12:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები, კაცები. სპრინტი. ოტეპპა. ესტონეთი (LIVE).
15:25 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-აიაქსი (LIVE).
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-იუვენტუსი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჩეზენა (LIVE).

EUROSPORT

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).
17:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ანტოლეცი. იტალია (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).

EUROSPORT-2

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე. მელბურნი (LIVE).
13:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები, კაცები. სპრინტი. ოტეპპა. ესტონეთი (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. შო-ნიოვი. საფრანგეთი (LIVE).
16:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. კიტცბუელი. ავსტრია (LIVE).
18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. შო-ნიოვი. საფრანგეთი (LIVE).
23:00 ფრენბურთი. იტალიის თასი. კაცები. ფინალი (LIVE).
01:00 ექსტრემალური სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ზამთრის სახეობები. II დღე. კილინგტონი. აშშ (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე. მელბურნი (LIVE).

ჩოგბურთი

აგასი დიდების დარბაზშია

ანდრე აგასი

„დიდი სლემის“ ტურნირების რვაგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ანდრე აგასი** ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს. ამის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ მიიღეს.

დიდების დარბაზში შეყვანის ოფიციალური ცერემონია 9 ივლისს, ამერიკის ქალაქ ნიუპორტში გაიმართება. 40 წლის ამერიკელმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ ამით მისი ოცნება ასრულდა. *„უბედნიერესი ადამიანი ვარ იმის გამო, რომ ჩოგბურთის ისტორიაში უდიადესი მოთამაშეების გვერდით დავდგები“*, - აღნიშნა აგასიმ, რომელიც საერთო ჯამში 101 კვირის განმავლობაში ლიდერობდა ATP-ის კლასიფიკაციას.

ანდრემ კარიერა 2006 წელს დაასრულა. ის იმ შვიდ მოთამაშეს შორის შედის, ვისაც კარიერის განმავლობაში „დიდი სლემის“ ოთხივე ტურნირი მოუგიათ. ამერიკელის გარდა ამ ჯგუფში არიან: **როჯერ ფედერერი, დონ ბაჯი, როი ემერსონი, როდ ლეივერი, ფრედ პერი** და **რაფაელ ნადალი**.

სულ აგასის ATP-ის 60 ტურნირი აქვს მოგებული, აგრეთვე ორჯერ გახდა დეივისის თასის მფლობელი.

ისევ რუსული სკანდალი

კიდევ ერთი რუსი ჩოგბურთელია ეჭვმიტანილი ჩაწყობილი თამაშის ორგანიზებაში. ეს გახლავთ რუსი **თეიმურაზ გაბაშვილი**. ბუკმეიკერებმა ეჭვი აიღეს გასული წლის 25 ოქტომბერს, სანკტ-პეტერბურგის ტურნირზე გამართული მატჩის შედეგზე. იმ შეხვედრაში გაბაშვილის მეტოქე იტალიელი **ფილიპო ვოლანდრი** იყო. დღეისთვის ამ თამაშის გარემოებებს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაა (ATP) სწავლობს.

ვოლანდრისა და გაბაშვილის შეხვედრა პირველი წრისა იყო და რუსმა ის სამ სეტში მოიგო - 3:6, 6:3, 6:2. არ ზუსტდება, რაში შეეპარათ ეჭვი ბუკმეიკერებს, მაგრამ, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში საქმე ეხება მატჩზე შესული ფსონების არანორმალურად დიდ რაოდენობას.

ასოციაციამ ვოლანდრისგან და გაბაშვილისგან მოითხოვა ჩოგბურთელთა სატელეფონო ზარების ჩამონათვალი და საბანკო ანგარიშების მონაცემები. გარდა ამისა, ATP არკვევს იტალიელისა და რუსის კავშირს ტოტალიზატორებთან.

ჩოგბურთში ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებული ყველაზე ხმაურიანი სკანდალი ასევე რუს ჩოგბურთელს უკავშირდება. 2007 წელს ეჭვი გაუჩნდათ **ნიკოლაი დავიდენკოსა** და არგენტიელი **მარტინ ვასალო-არგელოს** მატჩის შედეგზე. შეხვედრა პოლონეთში, ქალაქ სოპოტში გაიმართა. დავიდენკომ ის შეხვედრა ტრავმის გამო არ დაასრულა. ბუკმეიკერები დააეჭვა კლასით გაცილებით დაბლა მყოფი არგენტინელის მოგებაზე შესულმა ძალიან დიდმა თანხამ. მოგვიანებით ჩოგბურთელებს მოუხსნეს ეჭვმიტანილის სტატუსი.

სამთო-სათხილამურო სპორტი

ავსტრიელი კომაშია

გრუგერი კლინიკაში მიჰყავთ

მძიმე მდგომარეობაშია ავსტრიელი სამთო მოთხილამურე **ჰანს გრიუგერი**, რომელმაც ორი დღის წინ, კიტცბუელის ტრასაზე ვარჯიშის დროს თავისა და გულმკერდის არეში უმძიმესი ტრავმები მიიღო. გრიუგერი ვერტმფრენით ინსბრუკის ერთ-ერთი კლინიკაში გადაყვანეს, სადაც მას თავის ტვინზე ოპერაცია გაუკეთეს.

ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან ოპერაციის შემდეგ ავსტრიელის მდგომარეობაზე. სათხილამურო სახეობების ფედერაციის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ დაცემის შემდეგ 29 წლის სპორტსმენი გამაღიზიანებლებზე არ რეაგირებდა.

2004-07 წლებში გრიუგერმა ოთხჯერ მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი: ორჯერ სწრაფდაშვებაში და ორჯერ - სუპერგიგანტში.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გრიუგერი მესამე მოთხილამურეა, ვინც კიტცბუელის ტრასაზე სერიოზული ტრავმა მიიღო. 2008 წელს დაშავდა ამერიკელი **სკოტ მაკარნი**, 2009 წელს - შვეიცარიელი **დანიელ ალბრეხტი**. ორივეს სამკურნალოდ ხელოვნური კომაში შეყვანა გახდა საჭირო. მათ მოახერხეს მოგვიანებით დიდ სპორტში დაბრუნება.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ფინალისტი შინ წავიდა

ანზარენკა ჯერ იოლად იგებს

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ღია პირველობაზე მესამე წრე დაიწყო და ამ ეტაპის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა გუშინ გაიმართა - შარშანდელი ფინალისტი **ჟუსტინ ანენი** რუს **სვეტლანა კუზნეცოვას** ხვდებოდა.

ამ ჩოგბურთელებს ურთიერთშეხვედრათა მდიდარი ტრადიცია აქვთ - აქამდე ისინი 18-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ბელგიელს სრული უპირატესობა ჰქონდა: 16:2. თუმცა ეს ყველაფერი ანენის სპორტიდან წასვლამდე ხდებოდა, ჟუსტინის დაბრუნების შემდეგ კი ისინი პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბელგიელს კიდევ ერთი სტატისტიკური მაჩვენებელი უმაგრებდა ზურგს - მას კარიერაში არასოდეს წაეგო „დიდი სლემის“ ტურნირის მესამე წრეში.

შეხვედრა არც ისე ხარისხიანი ჩოგბურთით დაიწყო. მეტოქეები ბევრს ცდებოდნენ და კორტზე ნერვული ბრძოლა მიდიოდა. ჟუსტინის შემთხვევაში ეს გასაგებია - მას სათამაშო პრაქტიკა აკლია, რადგან შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ პირველ ოფიციალურ ტურნირს თამაშობდა. კუზნეცოვამ კი ბოლო წლებში მიაჩვია თავისი გულშემატკივრები არასტაბილურ გამოსვლას. მეშვიდე გეიმში რუსმა ბრეიკი გააკეთა, ამის შემდეგ ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

მეორე სეტის სტარტზე ანენმა გამოასწორა თამაში და კორტზე მოვლენები მისი კარნახით მიდიოდა. მაგრამ შემდეგ ბელგიელმა ისევ უმატა შეცდომებს, ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა, რისი წყალობითაც კუზნეცოვამ მორიგი ბრეიკი მოიპოვა. რა თქმა უნდა, ბელგიელი ასე იოლად არ ნებდებოდა და წინააღმდეგობას უწევდა რუსს. მიუხედავად ამისა, სვეტლანამ ორი ურთულესი გეიმი აიღო და მატჩზე ჩაწოდებისთვის გაემზადა. სწორედ აქ იჩინა თავი მისმა მთავარმა სენმა - არასტაბილურმა თამაშმა. რუსმა დათმო საკუთარი გეიმი, შემდეგ ისევ გააკეთა ბრეიკი და ისევ მატჩზე აწოდებდა... და კვლავ ბელგიელმა გაათანაბრა ანგარიში. ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც რუსს სეტბოლის მოგერიებამ მოუწია, თავად კი მეოთხე მატჩბოლიდან მიაღწია საწადელს და უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო.

მერვედფინალში კუზნეცოვას მეტოქე როლან გაროსის ჩემპიონი **ფრანჩესკა სკიავონე** იქნება. იტალიელს პირველ ორ წრეში რანგით დაბალ მეტოქეებთან სამსეტიანი მატჩების ჩატარება მოუხდა, გუშინ კი იოლად ორ სეტში მოუგო **მონიკა ნიკულესკუს**.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა გუშინ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაკიმ**. მან გასულ კვირას სიდნეის ტურნირზე განცდილი მარცხისთვის რევანში აუღო სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვას**. რევანში სრულფასოვანი იყო - საათ-ნახევარში დანიელმა ზედიზედ ორი სეტი აიღო - 6:4, 6:3. სლოვაკი უფრო აქტიურად თამაშობდა და შეტევის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ასეთ ტაქტიკას შეცდომაც ბევრი მოსდევს და ასე მოხდა ციბულკოვას შემთხვევაში. მეოთხე წრეში დანიელს **ანასტასია სევასტოვა** ელის, რომელიც კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირზე ასე შორს. ამისთვის მას საათზე ნაკლები დასჭირდა რუსი **ვესნა მანასიევას** გასანადგურებლად - 6:1, 6:3.

ასევე იოლად მოიგეს თავიანთი მატჩები მე-8 და მე-9 ნომრებმა **ნა ლიმ** და **ვიქტორია აზარენკამ**, თუმცა მეტოქეებიც სუსტი ჰყავდთ - **ბარბორა ზახვალოვა** და **შანელ სხეპერსი**.

სამაგიეროდ, უფრო რთული გამოცდის ჩაბარებამ მოუწია **მარია შარაპოვას**. წავიდა ის დრო, როცა რუსი კლასით დაბალ მეტოქეებს იოლად უგებდა. დღეს მარიას ყოველ მატჩში რთული ბრძოლის გადატანა უწევს. ახლაც გერმანელ **იულია გორჯესთან** მატჩში მდევრის როლში აღმოჩნდა. მართალია, შარაპოვამ პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ სეტი მაინც დათმო - 4:6.

ერთადერთი, რაც მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს შერჩა - ხასიათის სიმტკიცეა. სწორედ ამის ხარჯზე გადაარჩინა მან მეორე სეტის სტარტზე საკუთარი გეიმი და ამის შემდეგ საბოლოოდ დაეუფლა ინიციატივას. მარიამ ბრეიკი გააკეთა და პარტიის ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა, მესამეში სეტში კი 4:0 დაწინაურდა და პრაქტიკულად გადაწყვიტა მატჩის ბედი. ერთადერთი, რაც გერმანელმა შეძლო, სხვაობის მინიმუმამდე შემცირება იყო, მაგრამ 5:4-ზე შარაპოვამ მატჩზე წარმატებით ჩაანოდა და მერვედფინალში გავიდა.

იქ რუსს კიდევ ერთ გერმანელთან - **ანდრეა პეტკოვიჩთან** დაპირისპირება ელის. მას გუშინ ყველაზე მეტად გაუმართლა - **ვენუს უილიამსთან** მატჩში სასტარტო გეიმი მოიგო, მეორეში ამერიკელ მარჯვენა ფეხზე კუნთის ტრავმა გაუმიზეზდა და ბრძოლა შეწყვიტა.

■ ■ ■

ნაკლებად საინტერესო იყო გუშინ მამაკაცთა შეხვედრები. იქ არანაირი სენსაცია არ მომხდარა. **ტომაშ ბერდიხმა** მოლოდინისამებრ მოუგო **რიშარ გასკეს**, რომელიც ისევ ვერ იყენებს თავის ნიჭს. **ენდი როდიკმა** იოლად დათმო პირველი სეტი შესანიშნავად მოთამაშე **რობინ ჰაასესთან**, მაგრამ შემდეგ ჰოლანდიელი დაიღალა და ზედიზედ სამი სეტი დათმო. **როჯერ ფედერერმა** საათ-ნახევარზე ოდნავ მეტი დახარჯა **ქსავიე მალისეს** გასანადგურებლად, **ტომი რობრედომ** კი როდიკის მსგავსად პირველი სეტი წააგო, მაგრამ შემდეგ ბრძოლის ბედი თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა. წინა ეტაპებზე წვალების შემდეგ **ფერნანდო ვერდასკომ** ხარისხიანი ჩოგბურთი აჩვენა და სამ პარტიაში დაამარცხა ნიჭიერი იაპონელი **კეი ნიშიკორი, გაელ მონფილსმა** კი პირველი სეტის მოგების შანსი გაუშვა და შემდეგ თითქმის უბრძოლველად დანებდა **სტანისლას ვავრინკას**. არ გაამართლა სერბულმა დერბიმ - **ვიქტორ ტროიცკიმ** პირველი სეტი წააგო **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** და მუცლის კუნთის ტრავმის გამო აღარ გააგრძელა თამაში.

III წრე

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6)-რიშარ გასკე (საფ, 28) 6:2, 7:6(3), 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 9)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:2, 6:4, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 14)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 17) 6:4, 7:6(8), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 29) 6:2 უარი; **ენდი როდიკი (აშშ, 8)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 2:6, 7:6(2), 6:2, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)**-გაელ მონფილსი (საფ, 12) 7:6(4), 6:2, 6:3; **ტომი რობრედო (ესპ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 5:7, 6:2, 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ქსავიერ მალისე (ბელ) 6:3, 6:3, 6:1.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

კაროლინ ვოზნიაკი (დან, 1)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 29) 6:4, 6:3; **ანასტასია სევასტოვა (ლატ)**-ვესნა მანასიევა (რუს) 6:1, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 23)**-ჟუსტინ ანენი (11) 6:4, 7:6(8); **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:0, 7:6(2); **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 30)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 4) 1:0 უარი; **მარია შარაპოვა (რუს, 14)**-ჯულია გორჯესი (გერ) 4:6, 6:4, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 9)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:2, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:3, 6:3.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კვირის ბოლოს

რინგისკენ ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი